პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კალოუბ (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პრ[illegible], 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის [illegible] დაწესებულებებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—48.

დღიური

— ვარშავაში გამოცხადებული ა სამხედრო წესები.
— ბრიანის მთავრობა წარსდგა დეპუტატთა პალატის წინაშე.
— გამწვავდა მდგომარეობა გერმანიასა და [illegible] შორის.
— ჩინეთში გაიმართა მუშათა მრავალრ[illegible] ცია.
— გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის მთავრობის ახალი დებულება მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.

ხუთშაბათი, 1 ივლისი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 148 (1603)

„კომუნისტი"
მიიღება ხელისმოწერა
ივლისისათვის

თემთა პალატამ მიიღო კანონი 8 საათის სამუშაო დღის შესახებ

სამთამადნო მუშები არავითარ დათმობაზე არ მიდიან

მთავრობა ცდილობს გამოსავალი მონახოს შექმნილ მდგომარეობიდან

ჩემბერლენი იზიარებს ჩერჩილის გამოსვლებს

კამათი თემთა პალატაში

ლონდონი, 29 ივნისი. თემთა პალატაში, რვა საათის სამუშაო დღის შესახებ, მთავრობის კანონპროექტის გარშემო კამათის დროს გამოვიდა სანახშირო მრეწველობის საქმეთა მინისტრი ლეინ ფოკსი, რომელმაც განაცხადა, რომ კანონპროექტი მრავალგვარ შეთანხმებას დაუშვებს.

თუ, განაცხადა მან, კანონპროექტი იქმნა მიღებული, არაფერს არ მოახვევენ თავს არც ერთ სამთამადნო მუშას. თუ შესაძლო გახდა სამუშაო ხელფასის არსებული რაოდენობის შენარჩუნება, მაშინ დანარჩენი მუშების დიდი უმრავლესობისათვის მხოლოდ მცირეოდნად შემცირდება სამუშაო ხელფასი და არც ერთ მუშას სამუშაო ხელფასი არ შეუმცირდება 10 პროცენტზე მეტად.

მუშათა პარტიის წევრები აცხადებენ, რომ სამთამადნო მუშები არასოდეს არ დასთანხმდებიან სამუშაო დროის გადიდებაზე.

თუ მუშათა პარტიის წევრები მართლაც ასე ფიქრობენ, სთქვა ლეინ ფოკსმა, მაშინ რატომ იჩენენ ისინი ასეთ დაინტერესებას. მე მგონია, ამის მიზეზი ისაა, რომ მათ იციან, რომ სამთამადნო მუშებს შორის არსებობს მიმდინარეობა, რომელიც სცნობს, რომ ეს ზომა არ შეიძლება იქმნას გატარებული.

ყველასათვის ცნობილია, რომ წინადადება, რომელიც შეიძლება იქმნას მიღებული 8 საათის სამუშაო დღის საფუძველზე, გაცილებით უკეთესია იმაზე, რომელიც შეიძლება იქმნას მიღებული 7 საათის სამუშაო დღის საფუძველზე.

თუ სამთამადნო მუშები მოითხოვენ სამუშაო ხელფასის არსებული დონის შენარჩუნებას, მაშინ აუცილებელი გახდება მრავალი მუშის დათხოვა. იმ შემთხვევაში, თუ ეს კანონპროექტი განხორციელდა, შესაძლო იქნება მაღაროების უმრავლესობაში სამუშაოს გაგრძელება.

მუშათა ფრაქციის წევრი უიტლი, ჯანმრთელობის ყოფილი მინისტრი მაკდონალდის კაბინეტში აღნიშნავს, **რომ მთავრობა, სანახშირო მრეწველობის კონფლიქტში ცხადად და გარკვეულად დაადგა ერთი მხარის ინტერესების დაცვის ნიადაგზე.**

უიტლიმ დასძინა, რომ თუ პროექტი კანონის ძალას მიიღებს, მაშინ ამის აუცილებელი შედეგი იქნება უმუშევართა რიცხვის გაზრდა სამთამადნო მუშათა შორის. სულ ცოტა 150.000 სამთამადნო მუშა იქნება გადასროლილი უმუშევართა ბირჟაზე.

8 საათის სამუშაო დღე

ლონდონი, 30 ივნისი. **თემთა პალატამ მიიღო კანონი 8 საათის სამუშაო დღის შესახებ.**

ამავე დროს სამთამადნო მუშების ფედერაციის აღმასკომმა დაადგინა ყოველ მხრივ წინააღმდეგობა გაუწიოს სამუშაო საათების რიცხვის გადიდების, ან სამუშაო ხელფასის შემცირების ცდას.

მუშები მტკიცედ არიან

ბერლინი, 29 ივნისი. გერმანიის სამთამადნო მუშათა პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარე **მუზემანმა** საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებები სამთამადნო მუშათა ინტერნაციონალის ლონდონის კონფერენციის შესახებ, რომელსაც ის დაესწრო გერმანიის წარმომადგენლის სახით. მუზემანმა კონფერენციაზე დაიგვიანა ერთი დღით, რადგან ინგლისის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გააჭიანურა ნებართვის მიცემა ინგლისში შესასვლელად.

მუზემანის სიტყვით, სამთამადნო მუშების სოლიდარობის საერთაშორისო გაფიცვის გამოცხადების საკითხი კონფერენციას კონკრეტიულად არ გადაუწყვეტია. მუზემანი აღნიშნავს, რომ **ინგლისის სამთამადნო მუშების ბრძოლის უნარი და სოლიდარობის გრძნობა მტკიცე და ურყევია.** გაზეთების ცნობა სამთამადნო მუშათა ძალების დაქუცმაცების შესახებ სიმართლეს მოკლებულია. შემდეგ მუზემანმა აღნიშნა, რომ გერმანიის სანახშირო სინდიკატები არც კი ცდილან დაედვათ ხელშეკრულებები ნახშირის გაგზავნის შესახებ ინგლისში. ინგლისში უმთავრესად ნახშირი იგზავნება პოლონეთიდან. მუზემანის სიტყვით, **მახლობელ დღეებში გერმანიის სამთამადნო მუშათა კავშირი ინგლისელ ამხანაგებს გაუგზავნის მორიგ ფულად დახმარებას ადგილობრივ შეკრებილ თანხებიდან. გერმანიის სამთამადნო მუშებმა ინგლისის მემაღაროეებს გაუგზავნეს 5.000 გირ. სტერლინგი.**

არ მოსწონთ

ლონდონი, 30 ივნისი. ერთერთმა დიდმა მაღაროს მეპატრონემ ლორდ ლონდონდერრიმ სავაჭრო პალატაში განაცხადა, რომ სწორედ კუკი და სმიტი არიან პასუხისმგებელნი შექმნილ მდგომარეობისათვის. მის სიტყვით, საჭიროა, რომ სამთამადნო მუშების ფედერაციამ სხვა ბელადები აირჩიოს. მაღაროს მეპატრონეების მოვალეობაა—განამტკიცონ და გააუმჯობესონ ხელშეკრულების პირობები და დახურონ არაპროდუქტიული მაღაროები.

ჩემბერლენის განცხადება

ლონდონი, 29 ივნისი. ლიბერალ ვეჯვუდის შეკითხვაზე—შეიტყო თუ არა ჩერჩილმა გარეშე საქმეთა სამინისტროს აზრი, სანამ გაფრთხილებით მიმართავდა იმ პირთ, რომელთაც სავაჭრო ურთიერთობა აქვთ საბჭოთა კავშირთან—ჩემბერლენმა უარი სთქვა მიეცა ცნობა, თუ რაში მდგომარეობდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა სამინისტროებს შორის და განაცხადა:

„მე სრულ პასუხისმგებლობას ვიღებ თავის თავზე ჩემ კოლეგების სიტყვებისათვის".

მუშათა პარტიის წევრ **ტაილორის** საპასუხოდ ჩემბერლენმა განაცხადა:

„ჩერჩილის სიტყვაში არ ყოფილა არაფერი ისეთი, რაც ეწინააღმდეგებოდეს ჩემს სიტყვას თემთა პალატაში, რომელიც მე წარსულ კვირას წარმოვსთქვი".

შტრეიკბრეხერებს დაიცავენ

ლონდონი, 29 ივნისი. სამთამადნო მუშათა ფედერაციის აღმასკომის სესიის გახსნის გამო მთავრობის რადიო იუწყება:

„სესია განიხილავს მთავრობის კანონპროექტს სამუშაო დღის გადიდების შესახებ. ამ კანონპროექტის მიღების შემდეგ სამთამადნო მუშების ფედერაციამ ანგარიში უნდა გაუწიოს მდგომარეობის მნიშვნელოვნად შეცვლას, რადგან მაღაროს პატრონები თავის წარმოებებში გამოაკრავენ განცხადებებს მუშაობის განახლების პირობების შესახებ. **სამუშაო ხელფასის განაკვეთი,** რომელსაც წარმოადგენენ მაღაროს პატრონები სამუშაო დღის 1 საათით გადიდების შემდეგ, **ისეთივე იქნება,** როგორიც იყო ქვანახშირის მრეწველობაში კონფლიქტის დაწყებამდე. ამგვარად დატოვებულ იქნა სამუშაო ხელფასის წინანდელი განაკვეთები და სამუშაო დღე გადიდდება 1 საათით. შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ის დაიცავს იმ სამთამადნო მუშებს, რომელნიც განაახლებენ მუშაობას.

ზოგიერთი გაზეთი აღნიშნავს, რომ ამასთან დაკავშირებით, სამთამადნო მუშათა ფედერაციის აღმასკომი შეეცდება დროულად განაახლოს მოლაპარაკება.

არნოტის განცხადება

ლონდონი, 29 ივნის. იმის გამო, რომ ხმები დადის, თითქოს სწარმოებს კერძო მოლაპარაკება და შესაძლებელია სანახშირო მრეწველობაში მომხდარი კონფლიქტის ლიკვიდაცია, საბჭოთა საკავშირო ტელეგ. სააგენტოს კორესპონდენტს საუბარი ჰქონდა სამთამადნო მუშების ფედერაციის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების ხელმძღვანელთან—**არნოტთან.**

არნოტმა განაცხადა, რომ არ შეეფერება სინამდვილეს ის ხმები, თითქოს ინგლისის პრესა ლაპარაკობდეს შეთანხმების შესაძლებლობისა და სამთამადნო მუშების ლიდერების შემარიგებელ ტონის შესახებ. არნოტმა ხაზი გაუსვა, რომ **კუკმა და სმიტმა** თავის უკანასკნელ გამოსვლებში არაფერი არა სთქვეს ახალი; მათ განცხადებას იმის შესახებ, რომ უმჯობესია სამუშაო ხელფასის შემცირება, ვიდრე სამუშაო დღის გადიდება, მხოლოდ ის მიზანი ჰქონდა, რომ ხაზი გაესვა იმ გარემოებისათვის, რომ **სამთამადნო მუშები კატეგორიულ უარს ეტყვიან 7 საათზე მეტის მუშაობაზე.**

ამ ცნობებს მიზნად აქვს დაამშვიდოს ბურჟუაზია და შეჰქმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს სამთამადნო მუშების ფედერაცია ფიქრობს უკან-დახევაზე.

„ჯავშნოსანი პოტიომკინი"

ბერლინი, 29 ივნისი. რეაქციონერ წრეების ცდა აკრძალოს საბჭოთა კინოფილმის **„ჯავშნოსანი პოტიომკინ"-ის** ჩვენება **დიდ აღშფოთებას და პროტესტს იწვევს გერმანიის ინტელიგენციის მოწინავე ელემენტების მხრივ.** ბერლინში გაიმართა მასიური საპროტესტო მიტინგი, რომელზედაც სიტყვები წარმოსთქვეს პროფესორებმა ვალენტინმა, სტეფანმა, გრიუსმანმა, ვოლფმანგმა, ჰეინემ და სხვებმა.

ფილმის დასაცავად გამოქვეყნდა მოწოდება, რომელსაც ხელს აწერენ მერგ ბრანგარდტი, **„ფოსიშე ცეიტუნგი"**-ის რედაქტორი, პროფესორი **ეინშტეინი, გერლიახი, ალფერდ კერი,** რეიხსტაგის თავმჯდომარე, **ლებე, ერნსტ ტოლერი** და სხვები.

გამოსავალს დაეძებენ

ლონდონი, 30 ივნისი. ზოგიერთი გაზეთები იტყობინებიან, რომ სწარმოებს არა ოფიციალური მოლაპარაკება მდგომარეობიდან გამოსავლის მოსანახავად, მაგრამ აქამდის ამ მოლაპარაკებას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

ბრიან[illegible] პალატის წინაშე

მთავრობის დეკლ[illegible]

პარიზი, 30 ივნისი. გუშინ ახალი კაბინეტი წარსდგა დეპუტატების პალატის წინაშე, რომელმაც 292 [illegible]თა უმრავლესობით 130 ხმის წინააღმდ[illegible] საერთო კამათი გადასდო მომავალ კვირისთვის.

პარიზი, 30 ივნისი. 130 ხმა ბრიანის კაბინეტის წინააღმდეგ კომუნისტების და სოციალისტების ხმებიდან შესდგება. კენჭის ყრის დროს თავი შეიკავა 124 დეპუტატმა: 3 რადიკალმა, 6 მემარცხენე რესპუბლიკანელმა, 93 დეპუტატმა მარენის ჯგუფიდან, 6 დემოკრატმა და 16 უპარტიო დეპუტატმა.

გაზეთი ძვირდება

პარიზი, 30 ივნისი. **პირველ ივნისიდან ფრანგული გაზეთების ფასი 25 სანტიმამდე გაიზარდა.**

სესხს დაეძებენ

პარიზი, 29 ივნისი. საფრანგეთის ბანკი მოლაპარაკებას აწარმოებს ამერიკის სარეზერვო და ინგლისის ბანკთან სესხების გაღების შესახებ. ფინანსთა სამინისტრო უარყოფს ხმებს, რომ მოლაპარაკებას მიზნად აქვს 500 მილ. [illegible]გის გარანტიით მიღება ოქროს მარაგის [illegible] პრესის [illegible] ქვეშ.

მელონ-ბერანჟე[illegible] კაიო არ გაილაშქრებს [illegible]მდეგ ვალების საქმის შეთანხმების წინააღ[illegible] უარს არ იტყვის ინგ[illegible] შესახებ [illegible]ბის დადებაზე, თუ [illegible] შეთანხმე[illegible] ლონდონი მხარს დაუჭერს [illegible]ძიებებს, რომლებსაც ფრანგ[illegible] [illegible]ლიზაცია აქვს მიზნად.

მთავრობის დეკლარაცია

პარიზი, 29 ივნისი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ ახალი მთავრობის დეკლარაციაში ხაზგასმულია, რომ მთავრობა უკან რიგში აყენებს პოლიტიკურ ხასიათის ყოველგვარ მოსაზრებებს და იმედოვნებს, რომ პალატა უზრუნველჰყოფს მთავრობისათვის ერთგვარ სიმტკიცეს.

ოპერაციების წარმატებით დამთავრება მაროკოსა და სირიაში, ნათქვამია დეკლარაციაში, ბიუჯეტის წონასწორობის განხორციელება და შეურყეველი ნებისყოფა მომჭირნეობის რეჟიმის გასატარებლად, ყოველივე ეს იძლევა იმედს, რომ მთავრობა გადასახადის გადამხდელებს ახალ მოთხოვნილებებს არ წარუდგენს.

მთავრობამ გადასწყვიტა შეუდგეს ფრანკის სტაბილიზაციას, ვინაიდან აუცილებელია ფრანკის კურსის განუწყვეტელი დაცემის შეჩერება და გარიგებათა უშიშროების დაცვა საფრანგეთში.

მთავრობა საემისიო ბანკთან იმოქმედებს, რომლის დამოუკიდებლობა მომავალში მტკიცედ იქნება დაცული, მთავრობა შეეცდება აგრეთვე საერთაშორისო დახმარების მიღებას, მაგრამ ამან ოდნავადაც არ უნდა შეარყიოს სახელმწიფოს სუვერენიტეტი.

საგარეო პოლიტიკის საკითხებში მთავრობა განაგრძობს წინანდელ მთავრობათა გეზს. შინაურ პოლიტიკის საკითხებში იგი მოითხოვს, რომ კვლავ იქმნას აღდგენილი არჩევნების სისტემა ოლქების მიხედვით. მთავრობა ფიქრობს, დრო არ უნდა იკარგებოდეს მსჯელობებზე, საჭიროა სწრაფად მოქმედება. ამ მიზნისათვის პარლამენტმა მას უნდა მისცეს უფლებები და საშუალებანი.

* * *

სამხედრო წესები ვარშავაში

დეპუტატების დაპატიმრება

ვარშავა, 30 ივნისი. იმ არეულობის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ ცოტა ხნის წინად, **გამოცხადებულია სამხედრო წესები 31 ივლისამდე** (გამოტოვებულია). დაპატიმრებულია 10 დეპუტატი, რომელთაც ბრალდებათ შეთქმულებაში მონაწილეობა.

კონსტიტუციის შეცვლის გარშემო

ვარშავა, 29 ივნისი. კონსტიტუციის შეცვლის საკითხის ირგვლივ გაცხოველებული მოლაპარაკებები სწარმოებს კულისებში. **რატაიმ** მოიწვია მემარჯვენე პარტიების წარმომადგენლები, რომლებმაც შესწორებები შეიტანეს თავიანთ პროექტებში მთავრობის პროექტთან შეთანხმებისა და ერთი საერთო პროექტის საფუძვლად მიღების მიზნით.

ბარტელმა მოიწონა მემარჯვენეთა პროექტის ის ნაწილი, რომელიც წლოვანებითი ცენზის გადიდებას მოითხოვს.

გერმანია და პოლონეთი

ვარშავა, 29 ივნისი. პოლონეთის პრესაში აქვეყნებენ ცნობებს,—რომ პოლონეთსა და გერმანიას შორის ახალ გაუგებრობებს აქვს ადგილი. პოლონეთის პრესა უკმაყოფილოა მით, რომ შტეტინ-ჰამბურგის გზით შეზღუდულ იქნა პოლონეთის ნახშირის ექსპორტი. „ექსპრეს პორანნი" ეხება რეიხსტაგის გადაწყვეტილებას, რომ გერმანიიდან 70.000 პოლონელი მუშა უნდა იქმნას გადასახლებული და მოითხოვს გერმანელების პოლონეთიდან გადასახლების შეჩერების შესახებ დადგენილების გაუქმებას. პოლონეთის მთავრობამ დაავალა ელჩს, რომ პროტესტი გადასცეს გერმანიის მთავრობას.

სამეურნეო კონიუნქტურის შეფასებისათვის

(„პრავდა"-ს მოწინავე)

საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება სამეურნეო მუშაობის შედეგებისა და პერსპექტივების შესახებ, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა, მიზნად ისახავს, რომ ფართო მასსები გააცნოს 1925—26 წლის პირველი ნახევრის კონიუნქტურის მიღებულ დასკვნებს.

ამ დადგენილებაში მოყვანილია შედეგები იმ დიდი მუშაობის, რომელიც სწარმოებდა ჩვენი მეურნეობის სხვადასხვა დარგების გამოკვლევად.

ამ დოკუმენტის გაცნობა პირველ-ყოვლისა ჩვენი სამეურნეო პირობების უკიდურეს სირთულის შეგნებას სტოვებს. არც ერთ ქვეყანას (ვლაპარაკობთ, რასაკვირველია, კაპიტალისტურ ქვეყნებზე), არ ესაჭიროება ეკონომიური ანალიზის ასეთი დანაწილება, რომელსაც ჩვენ მივმართავთ. მეურნეობის ყოველი დარგის მიმართ ჩვენ ცალკე ვსვამთ კარდინალურ საკითხს „ვინ—ვის": ჩვენ მაქსიმალურად საძლებელი სისწორით ვითვალისწინებთ სოციალისტურ ელემენტების ხვედრით წონას. ძნელი არაა იმის დანახვა, რომ ანალიზის სირთულე გამომდინარეობს სამეურნეო ურთიერთობათა თავისებურებიდან, რომლებიც გამოხატავენ ბრძოლას მოპირდაპირე ძალებისას, დაწყებული ახალ საბჭოთა წყობილებისათვის უცხო ელემენტებისა და მისი აშკარაობიდან, გათავებული გარდამავალ ფორმებით, რომელნიც სოციალისტურ სამეურნეო ფორმებს უახლოვდებიან.

სამეურნეო პირობების სირთულის და თავისებურობის ფონზე ნათლად სჩანან ჩვენი მიღწევანი. სახელმწიფო მრეწველობამ წლის პირველ ნახევარში წლიური გეგმის 50,1% შეასრულა. საქონლის მასსა, რომელიც ფართო ბაზარზე გამოვა მეორე ნახევარში, მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ცნობებით, 1924—25 წ. მეორე ნახევრის საქონლის მასსაზე მეტი იქნება დაახლოებით 250 მილ. მანეთით. თუ კი შესაძლო საფეიქრო და ტყავეულის მრეწველობისათვის ნედლეულის დამატებით შეტანა უცხოეთიდან, მაშინ სახელმწიფო მრეწველობის საქონლის ფონდები საგრძნობლად გაიზრდება.

სასოფლო-მეურნეობაში განვლილი პერიოდის განმავლობაში ჩვენ გვაქვს საქონლის პროდუქციის მნიშვნელოვანი ზრდა.

ეს ორი ძირითადი ფაქტი: მრეწველობისა და სასოფლო-მეურნეობის შეუჩერებელი განვითარება, [illegible] მიუხედავად სიძნელეთა, ნათლად გამოირკვა სახელმწიფოს და პარტიის ხაზის უეჭველი სისწორე, რომელიც მრეწველობის ძირითად დარგებში აღმავალ პროცესს უზრუნველყოფს.

მაგრამ ყოველივე ესეთ უფრო მეტი ყურადღების მიქცევას ავალებს ნაკლოვანებებისადმი. ობიექტიურ ხასიათის დაბრკოლებათა გარდა, რომელიც მრეწველობისა და სასოფლო-მეურნეობის შორის [illegible] დარჩენილ დისპროპორციის მდგომარეობს, კაპიტალისტურ გარემოცვისა და ჩვენი სამეურნეო და კულტურულ ჩამორჩენილობის პირობებში ერთ-ერთ უმთავრეს ნაკლად უნდა ჩაითვალოს [illegible] და [illegible] აპარატების სუსტი ორგანიზაცია და შემცდარი ვარაუდი, რომელსაც ჰქონდა ხოლმე ადგილი გასული სამეურნეო წლის დამდეგს.

შემოდგომაზე შემცდარად ნავარაუდევი იყო მრეწველობის გაფართოების გეგმის შესრულება, რამაც გამოიწვია კაპიტალურ აღმშენებლობის ერთგვარი შემცირება. ვაჭრობის დარგში ზედმეტი ემისიამ, რომელიც მოხმარდა პურის დამზადებას, ხელი შეუწყო პურის ფასების ზრდას და მაშასადამე გააძლიერა შეუსაბამობა სოფლის სყიდვითი უნარიანობისა და მოთხოვნილებისა, მრეწველობის სიდიდესა და პროდუქციას შორის.

წარმოების ორგანიზაციის დარგში ჩვენ უნდა აღვნიშნოთ განვლილ პერიოდში თვითღირებულების დაკლების ტემპისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის შენელება.

ვაჭრობის დარგში ჩვენს სერიოზულ ნაკლს კვლავ წარმოადგენდა სახელმწიფო და კოოპერატიული აპარატის ზედმეტი სიდიდე და პარალელიზმი მის მუშაობაში.

დადგენილებაში მოყვანილია მთავრობის სასწრაფო ღონისძიებანი დეფექტების აღმოსაფხვრელად. ეჭვს გარეშეა, რომ ამ ღონისძიებათა გატარების დროს მოვიჩენთ ისეთსავე შეუპოვრობას და სიმტკიცეს, რომელიც ახასიათებს შეცდომების გამოსწორებას ფინანსიურ დარგში.

მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ უმნიშვნელოვანეს დაბრკოლებათა ნაწილი, მაგალითად, ისეთები, რომელნიც დისპროპორციიდან გამომდინარეობენ, ხანგრძლივ ზეგავლენას სჭიდებენ. ასეთი პირობები, როგორიცაა არახელსაყრელი მსოფლიო კონიუნქტურა სასოფლო მეურნეობის საქონლისათვის, შეიძლება დაძლეულ იქნას მხოლოდ თანდათანობით და განსაზღვრულ ვადებში ჩვენი სასოფლო მეურნეობის წარმოების გაიაფებისა და მოთხოვნილებასთან შეფარდების გზით. დაბოლოს, საზღვარგარეთიდან ფინანსების [illegible]ება და მთელი რიგი ამგვარ დაბრკოლებათა არ შეიძლება დაძლეულ იქნას ყოველ მომენტში და სურვილის მიხედვით.

მით უფრო მეტი ენერგია უნდა იქნას ჩადებული იმის გამოსასწორებლად, რაც შეიძლება იქნას გამოსწორებული, დაუკეთესო საგარეო პირობების [illegible].

ამისთვის აუცილებელია ძლიერი ნებისყოფა, ხანგრძლივი დრო, მაქსიმალური გეგმიანობა და მოქნილობა დასახული მიზნების განსახორციელებლად. მეურნეობის რეჟიმი, გამოქვეყნებულ დადგენილების მიხედვით, მუდმივი ძირითადი ნაწილია იმ მუშაობის, რომელიც მიმართულია ტექნიკის აწევისა, ჩვენი მეურნეობის ორგანიზაციისა და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისაკენ.

თუ ახალი სამეურნეო წლის კონიუნქტურის კარგი ნიშნები გამართლდა და მიღებული ზომების შედეგებით ბაზრის [illegible] გაჯანსაღება განმტკიცდა, მაშინ ჩვენ შევძლებთ უახლოეს წელში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავსდგათ სოციალიზმის მშენებლობის გზაზე.

გადმოცემულია ტელეგრაფით.
მოსკოვი, 30 ივნისი.

1926-27 წ. სოფლო-მეურნეო გადასახადის კამპანია

მაისის ბოლო რიცხვებიდან დაიწყო სახ.-სამ. გადასახადის კამპანია. ამჟამად მიმდინარეობს დასახვედ ობიექტების აღრიცხვა, რაც შეადგენს მთავარ მომენტს კამპანიის, რადგან სწორ აღრიცხვისგან არის დამოკიდებული მთელი შემდეგი მუშაობა და გადასახადის აკრეფის ბედი. თუ სწორად იქნა აღწერილი აღრიცხული ესა თუ ის მეურნეობა, გადასახადიც სწორად იქნება გაწერილი; თუ კი აღრიცხვის დროს დაშვებული იქნა შეცდომები, ე. ი. აღრიცხულ იქნა დასახვედი ობიექტების მეტი ან ნაკლები რაოდენობა, ცხადია, გადასახადიც გაიწერება არა სწორად, რაც გამოიწვევს მრავალ არასასურველ გაუგებრობას და ჩივილებს; ამასთან თუ მეურნეობას გაეწერება მეტი გადასახადი, რაც მის რეალურ შესაძლობას აღემატება, ცხადია, მისი აკრეფაც გაძნელდება.

ასეთ არასასურველ შედეგის თავიდან ასაცილებლად მიღებულია ყველა ზომები: საქ. ფინსახკომმა მიამაგრა მაზრებზე და ავტ. რესპუბლიკებზე სპეციალური ინსტრუქტორ-რევიზორები, რომელნიც უწევენ ადგილებს საერთო ხელმძღვანელობას. ადმინისტრატიულ ერთეულებში (მაზრა, თემი) შექმნილია საგადასახადო და სააღრიცხვო [illegible], რომლებშიც შედიან დაინტერესებულ [illegible] და გლეხების წარმომადგენლები. და თემებში და სოფლის საბჭოებთან საბ. კომისიების დაარსება, თემის აღმასკომის, [illegible] და გლეხების წარმომადგენლებისაგან, აგრეთვე სამეურნეო [illegible], უთუოდ ხელს შეუწყობს აღრიცხვის სწორად ჩატარებას. ყოველ მაზრა და ავტ. რესპუბლიკას აღნიშნულ კამპანიის [illegible] დროებითი შტატი აღმრიცხველების (საშუალოდ 8 კაცი თითო მაზრას).

ამჟამად აღრიცხვა მიმდინარეობს რესპუბლიკის მასშტაბით [illegible] 1 [illegible]. შემდეგ კი დაიწყება გადასახადის კონტინგენტის გამოანგარიშება და საგადასახადო ფურცლების დარიგება.

იმ ცნობებიდან, რაც მოეპოვება საქ. ფინსახკომს, სჩანს, რომ აღრიცხვის კამპანია მიმდინარეობს [illegible]. გლეხობა [illegible] შეხვდა [illegible] არავითარ გაუგებრობას [illegible] არ ქონებია. დასახვედი ობიექტების [illegible] მატულობს, რაც ამტკიცებს როგორც სოფლის მეურნეობის ზრდას, იმას, რომ გლეხობა წინანდელზე [illegible] და სწორად აცხადებს როგორც მიწის, აგრეთვე სხვა ობიექტების რაოდენობას.

ამას ხელი შეუწყო გარემოებამ, რომ [illegible], აგრეთვე საბჭოთა და სხვა [illegible] ორგანოები. მაგალითად, ქუთაისში, [illegible] აღრიცხვის შედეგად [illegible] სახ.-სამ. გადასახადის [illegible] ხელმძღვანელებს, [illegible].

საქ. ფინსახკომმა [illegible] შემდეგი სახ. [illegible] საშუალო [illegible] ნორმები რესპუბლიკისათვის: 1 დესეტინა მიწაზე [illegible] წლიური [illegible] შემოსავალი [illegible] 80 მაზრებზე 170 მ., სხვა[illegible]ზებზე 155 მ., ბოსტანზე 120 მ., კარტოფილზე 80 მ., სათიბზე 18 მ., თამბაქოზე 180 მ., ვაზ 49 მ., ჩაის პლანტაციებზე 160 მ., შინაურ ცხოველებზე: თითო სულ ხარზე და კამეჩზე აღმოსავლეთ საქართველოსათვის დაწესებულ წლიური შემოსავლის ნორმად 18 მ. 85 კ., დასავლეთ საქართველოსათვის 13 მ., ძროხა აღ. საქ. 13 მ. 25 კ., დასავლეთ საქ. 10 მ. 50 [illegible] თხაზე და ცხვარზე აღმ. საქ. 2 მ. 55 კ., დასავ. საქ 1 მ. 55 კ., ცხენზე, ჯორზე და [illegible] 15 მ., ვირზე 5 მ. და ღორზე 5 მ.

[illegible] რესპუბლიკაური ნორმების მიხედვით შემუშავებულ იქნა მტკიცე ნორმები თვითეული მაზრისათვის და ავტ. რესპუბლიკისათვის, რასაც საფუძვლად დაედო ამა თუ იმ მაზრის შემოსავლიანობა, ამა თუ იმ კულტურის გავრცელება, ბაზრის და რკინიგზის სიახლოვე და სხვ., ასე რომ ზოგ მაზრისთვის ნორმა დაწესებულ იქნა მეტი, ვიდრე რესპუბლიკანური, ზოგისთვის კი ნაკლები. ასეთი წესით მაზრებმა და ავტ. რესპუბლიკებმა, თანახმად ზემოაღნიშნულ პრინციპისა, უნდა დაყონ მაზრა [illegible] და დააწესონ საშუალო ნორმები ამათთვის იმ პირობით, რომ საშუალო, მათთვის დაწესებული ნორმა არ უნდა შეიცვალოს.

უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან მევენახეობას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს [illegible], მასზე დაწესებულ იქნა გაცილებით [illegible] საშემოსავლო ნორმა, ვინემ სინამდვილეში. ეს აიხსნება იმით, რომ მევენახეობა მოითხოვს წაქეზებას და მისი დაბეგვრა მაღალი ნორმით არ იქნებოდა მიზანშეწონილი. გარდა ამ[illegible] დაწესებულ იქნა აგრეთვე საშემოსავლო [illegible] (საორიენტაციო) ნორმები სპეციალურ სამეურნეო დარგებისათვის: ერთ ფუთ აბრეშუმის პარკზე 11 მან. და ერთ ძირ [illegible] 5 მან., [illegible] 2 მ.

შეიძლება მიწათმოქმედების გარეშე შემოსავ[illegible]: შინა მრეწველობას, [illegible], [illegible] და სხვა, ამათზე საშუალო საშემოსავლო ნორმების დაწესება ეკისრება ადგილობრივ საგადასახადო კომისიებს; აღნიშნული [illegible] თითონ ადგილობრივ პირობების მიხედვით ვარაუდობენ და ანგარიშობენ, თუ რამდენი შემოსავალი აქვს ამა თუ იმ მეურნეს მიწათმოქმედების გარეშე წყაროებიდან.

მეურნეობის სპეციალური დარგები (მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა) დაბეგვრა გადასახადით წელს პირველად ხდება, პირველათ იბეგრება აგრეთვე მიწათმოქმედების გარეშე შემოსავალი. წინა წლებში აღნიშნული დარგები [illegible] არ იყო მიღებული მხედველობაში და არ იბეგრებოდნენ, რაც უთუოდ დიდი ნაკლი იყო, რადგან ამ დარგებს ჩვენს სინამდვილეში დიდი მნიშვნელობა აქვთ და მათი განთავისუფლება გადასახადისაგან იწვევდა გადასახადის [illegible] განაწილებას. წელს ეს ნაკლი გასწორებულია და იმედი უნდა ვიქონიოთ, [illegible] გადასახადი წელს განაწილებული იქნება სწორად, ე. ი. მეურნეს გადასახადი შეხვდება [illegible] ქონების და შემოსავლის მიხედვით.

[illegible] განაწილებულია 8 კატეგორიად [illegible] პროგრესით. მეურნეობის საერთო [illegible] რიცხვის რაოდენობის [illegible] და გადასახადი ხდება შემდეგი [illegible] თითო შემოსავლის პირველ 20 მანეთიდან თითო მომხმელზე უნდა გადაიხადოს თითო მანეთიდან 2 კ. 20 მანეთის ზევით 30 მანეთამდე თითო მანეთზე—3 კაპ., 30 მან.—40 მანეთამდე—5 კაპ., 40-დან—50 მან.—10 კ., 50-დან—60 მან. 17კ., 60-დან —80 მან.—21 კ., 80-დან—100 მან.—23 კაპ., 100 მანეთს ზევით კი ყოველ მანეთიდან იხდის—25 კ.

ასეთი პროგრესი საშუალებას იძლევა გადასახადის სიმძიმის უფრო შეძლებულ მეურნეობაზე გადატანისათვის, რაც უფრო სამართლიანია და შეეფერება არსებულ ხელისუფლების [illegible]. გარდა ამისა, რათა დაცულ იქნეს ღარიბ გლეხობის ინტერესები, დაწესებულია ერთგვარი საშემოსავლო მინიმუმი, სულზე—25 მან. და ოჯახზე—75 მან., ე. ი. სახ. სამ. გადასახადით არ იბეგრება ან სრულიად თავისუფლდება ისეთი მეურნეობა, სადაც თვითეულ მომხმელზე წლიური შემოსავალი არ აღემატება 25 მან., ანუ ოჯახზე 75 მან. ამნაირად, ღარიბი გლეხობა სრულიად თავისუფლდება გადასახადისაგან.

სახ. სამ. გადასახადის გადახდისთვის დაწესებულია სამი ვადა, გადამხდელი სამ ნაწილად იხდის გადასახადს: ა.-წ. 1 ნოემბრისთვის უნდა გადაიხადოს მთელი შეწერილი გადასახადიდან 35%, 1927 წ. 1 იანვრისთვის 50%, და 1927 წ. 1 თებერვლისთვის დანარჩენი 15%. გადასახადის ასეთი ნაწილობრივად გადახდა გაუადვილებს გლეხს გადასახადის შეტანას და ერთბაშად მძიმე ტვირთად არ დააწვება მას.

გადასახადიდან შემოსული ფული ნაწილდება შემდეგი წესით: მთელი გადასახადის 40%, ანუ ორი მეხუთედი ნაწილი მთლად ჩაირიცხება თემის ბიუჯეტში, ადგილობრივ საჭიროებებისათვის გაწეულ ხარჯების დასაფარავათ, 16%, ანუ ერთი მეექვსედი მთელი შემოსული გადასახადისა ჩაირიცხება მაზრის ბიუჯეტში, სამაზრო ბიუჯეტის გასამაგრებლად, 10%, ანუ ერთი მეათედი მთელი გადასახადიდან შემოსული ფონდისა მიდის საქ. სახ. კომისართა საბჭოს განკარგულებაში, რომელსაც ის ანაწილებს მაზრებსა და ავტ. რესპუბლიკებს შორის მათი ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობის მიხედვით.

ამრიგად, სასოფლო სამეურნეო გადასახადიდან მთელი შემოსავლის $66\,{}^{2}/_{3}\%$ ხმარდება ადგილობრივ საჭიროებას.

მ. ჯ.

* * *

გაბედული ნესმელოვი

ნესმელოვი ანუ გეიერი საკმაოდ ცნობილი კაცია კინჩხის თემში. ცნობილია არა მარტო იმით, რომ ის „ყაზანის უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორია" და სახელგანთქმული „ექიმი", ცნობილი ის უმთავრესად იმით არის, რომ „ყაზანის უნივერსიტეტში პროფესორად ყოფნის დროს, თვით ამხ. ლენინს მკურნალობდა" თურმე.

ყოველ შემთხვევაში ასე აცხადებს მოქალაქე ნესმელოვი, ანუ იგივე გეიერი, „ყაზანის უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორი", ანუ „ექიმბაში" ნესმელოვი არც თუ ახალი კაცია კინჩხის თემში. მას საკმაოდ მდიდარი და ღირსშესანიშნავი წარსული აქვს, თუმცა არც აწმყოს უნდა ემდუროდეს მაინცა და მაინც.

ეს ამბავი ჯერ კიდევ მაშინ იყო, როდესაც მოქალაქე ნესმელოვი 15 წლით უფრო ახალგაზრდა იყო, ვიდრე ახლა არის, და ჯერ კიდევ ნესმელოვის გვარს არ ატარებდა, ყაზანის უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორი არ იყო და არც ამხ. ლენინის მკურნალი გამხდარიყო. მაშინ ის უბრალო ექიმი გეიერი იყო.

ერთ მშვენიერ მზიან, თუ უმზეო დღეს, კინჩხის საზოგადოებას (მოგეხსენებათ თემი მაშინ არ არსებობდა) სამეგრელოდან, კოხტად გამოწყობილი თავმომწონე ყმაწვილი კაცი მოადგა. ცალ ხელში მას პატარა ჩემოდანი ეჭირა, მხარზე ტყავის საექიმო საკვოიაჟი გადაეკიდა, ხოლო მეორე ხელში სტეტოსკოპი (სასინჯი) დაეკავებია (ალბად ტროსტის მაგიერ) და მოხდენილად აბრიალებდა.

მან თავაზიანად მოიკითხა სოფლის მამასახლისი, ჯერ კარგად ყოფნა უსურვა, შემდეგ აცნობა, რომ ის, გეიერი „წმინდა წყლის" ექიმია, და დიდი სურვილი აქვს გააბედნიეროს თავის სამკურნალო დახმარებით კინჩხის მოსახლეობა. თავაზიან „წმინდა წყლის ექიმს" რასაკვირველია უარს როგორ ეტყოდენ, დიდი პატივით მიიღეს, დააბინავეს და გაიჩარხა საქმე.

კმაყოფილი იყო წმინდა წყლის ექიმი და კმაყოფილი იყო კინჩხის გლეხობაც...

მართალია „ექიმის" მოსვლის შემდეგ სიკვდილიანობა თემში რაღაც გახშირდა, მაგრამ აბა „წმინდა წყლის" ექიმს ვინ რას გაუბედავდა, სანამ...

მაგრამ სჯობს ამბავის დაწვრილებით მოყოლა.

ერთ მშვენიერ დღეს კინჩხის თემში არაჩვეულებრივი ამბავი მოხდა.

ექიმი გეიერი სადღაც გაქრა და თვალის დახამხამებაში გაჩნდა ფერშალი გეიერი. (თვით გეიერი არსად დაკარგულა, მაგრამ ექიმის მაგივრად კინემატოგრაფიული სისწრაფით იქცა ფერშლათ).

საოცრებაც სწორედ ასეთ ფერისცვალებაში მდგომარეობდა.

სოფელში დაიწყეს ლაპარაკი, ვიღაცამ ფერისცვალებულ ფერშალს სიკვდილიანობის გახშირებაც დააბრალა, ვიღაცამ უჩივლა კიდეც, მაგრამ ყველგან არის ცნობილი, რომ სოფელში „პატიოსან" კაცს უსათუოდ უნდა მოსდევან რაიმე შარი. გეიერს შეაგნებიეს ალბად, რომ მისებრ განათლებულ ადამიანს არ ეცხოვრებოდა „ყრუ" სოფელში და, რამდენადაც გვახსოვს, ის გამასწორებელ სახლში მოათავსეს. დიდი შრომით დაქანცულს, დასვენების საშუალება მიანიჭეს.

სოფელმა ბევრი იგლოვა ასეთი წარჩინებული ადამიანის დაკარგვა, თხოვნაც კი მიართვა ხელისუფლების სათანადო ორგანოებს კარგად და ხანგრძლივად მოისვენებიათ „მოქანცული" გეიერი გამასწორებელ სახლში, მაგრამ შემდეგ „ეს საქმე ჩქარა მისცა დავიწყებას და მით ჩვეულებრივი სოფლური „უმადურება" გამოიჩინა.

ეს იყო, ვიმეორებთ., 15 წლის წინ.

15 წლის განმავლობაში ექიმ-ფერშალ გეიერის გზა და კვალი არსად სჩანდა.

ამბობენ, ქვეყანაზე სასწაული არ ხდებაო, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ ამის მთქმელს ვერ დაუჯერებთ: კინჩხის თემში მოხდა სასწაული.

ერთ მშვენიერ დღეს, კინჩხის თემში ისევ გაჩნდა ექიმ-ფერშალი გეიერი... უკაცრავად, გეიერი კი არა, ნესმელოვი. ამ საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მას ფერი ეცვალა, როგორც გარეგნულად, ისე სახელწოდებითაც...

ამჟამად ის, ე. ი. მოქ. ნესმელოვი (იგივე გეიერი) „ყაზანის უნივერსიტეტის ყ. პროფესორია", „ლენინის ყოფილი მკურნალი" და „დამსახურებული ექიმი დოსტაქარი".

მას ბუზივით ესევა ხალხი. ხუმრობა ხომ არ არის? კაცი, თვით ლენინს მკურნალობდა თურმე.

უნდა ითქვას, მისდა სასახელოთ, რომ „დოსტაქარი" ქირურგიის უახლესი წესით ახდენს ოპერაციებს. ახალი წესის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ საჭირო არ არის ჰიგიენურ პირობების დაცვა. გარდა ამისა, ის სრულიად მარტივ საოპერაციო იარაღებს ხმარობს: რთული ოპერაციისათვის საკმარისია სოფელში ნაჭედი დანა, რომელსაც პატივცემული „დოსტაქარი" საკუთარი ხელით ლესს, ხოლმე ჩარხზე. სხვა უპირატესობაც აქვს ახალ წესით მკურნალობას. მოგეხსენებათ, ამჟამად ყველგან მომჭირნეობის რეჟიმი ტარდება.

დოსტაქარს სავსებით შეუგნია ამ კამპანიის მნიშვნელობა და ამიტომ არის, რომ ახალი წესით ოპერაციის დროს, ის არ ხმარობს სადეზინფექციო საშუალებებს, საოპერაციო მაგიდას და სხვა ამგვარ „ფუფუნების" საგნებს.

ავადმყოფს ის სიმინდის რბილ ჩალაზე აწვენს და ალესილ დანით სჭრის როგორც მოესურვება.

ამბობენ, რომ ასეთ ოპერაციის შემდეგ ავადმყოფი პირდაპირ (ესეც მომჭირნეობა უნდა იყოს!) მიემგზავრება იქ, საიდანაც უკვე აღარავინ ბრუნდება, მაგრამ ასეთი წვრილმანი აქ რა მოსატანია. ადამიანი ერთხელ ხომ უნდა მოკვდეს მაინც, ხოლო როდის მოკვდება აბა ამას რა მნიშვნელობა აქვს.

მთავარია აქ ოპერაციის სისწრაფე, სიმარტივე და სიიაფე.

— „დოსტაქარი" ნესმელოვი უსათუოდ ღირსია ყურადღების.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქუთაისის ჯანმრთელობის ინსპექცია მიაქცევს ყურადღებას ესოდენ დამსახურებულ ადამიანს.

— ჩვენ მომხრე ვართ იმის, რომ ნესმელოვი, (იგივე გეიერი) სახაზინო ხარჯით იქნეს გამოწერილი ქუთაისში, სადაც მას უნდა დაევალოს ლექციის წაკითხვა ოპერაციების მარტივი წესით გაკეთების შესახებ და ამ წესების დემონსტრაცია, საკუთარი ხელით ჩარხზე ალესილ დანით, თავის საკუთარ თავზე ან მეუღლეზე, იმის და მიხედვით, როგორც მას ურჩევნია.

ვ. არველაძე.

* * *

საბჭოთა პრესა

სოციალური დაზღვევის ფინანსიური მდგომარეობა

სოციალური დაზღვევის საქმე ამჟამად ფინანსიურ კრიზისს განიცდის. დამზღვევ სალაროების ხარჯები აღემატებოდა შემოსავალს, ფულადი მარაგი თანდათან ილევა. მაგ., ა. წ. მარტში შემოსულა დასაზღვევი გამოსაღებები 37 მილიონი 408 ათ. მან., ხოლო დახარჯულა 42 მილ .783 ათ. მან. (საბჭოთა კავშირის მასშტაბით). 1925—26 წლის ბიუჯეტით უნდა დახარჯულიყო წლის პირველ მეოთხედში 88 მილ. მან.; მეორეში—100 მილ. მან., ნამდვილად კი დაიხარჯა პირველ მეოთხედში 98 მილ. მან.; ხოლო მეორეში—116 მილ. მან. ა.-წ. პირველ იანვრისათვის დამზღვევ სალაროებში იყო თავისუფალი თანხა 77 მილ. 874 მან. რითაც შეიძლებოდა საბჭოთა კავშირის ყველა დამზღ. სალაროების ხარჯების დაფარვა ორი თვის განმავლობაში, პირველ აპრილისათვის კი ეს ჯამი შემცირდა 65 მილ. 596 ათ. მანეთამდე, რომელი ფულებით შეიძლება დამზღ. სალაროების მხოლოდ 12 დღის ხარჯების გასტუმრება. ბოლო ხანებში დამზღ. სალაროების ფინანსიური მდგომარეობა უფრო გაუარესდა: მათდამი დავალიანება სამეურნეო ორგანოების მხრივ მატულობს, 30 მილ. მან. გაღებულ იქნა მუშათა საბინაო მშენებლობაზე, საგრძნობი თანხები დაიხარჯა სანატორიუმებისა და კურორტებზე, გაიზარდა დაავადების პროცენტი, რაც იწვევს დამზღ. სალაროების ხარჯების გადიდებას. ზოგიერთ სალაროებში საქმე იქამდე მივიდა, რომ მხოლოდ რამოდენიმე დღის მარაგი დარჩენიათ, ზოგან უფულობის გამო სულაც შესწყვიტეს დახმარების გაცემა.

ამხ. ბ. მილიუტინი „რაბოჩაია გაზეტა"-ში ჩამოთვლის სოციალური დაზღვევის ასეთ ფინანსიური კრიზისის მიზეზებს და აღნიშნავს ზომებს, რომლებიც უნდა იქნას მიღებული მათი აღმოსაფხვრელად:

„პირველი, მთავრობამ ჯერ კიდევ გასული წლის აპრილში, როცა იხილავდა სამეურნეო ორგანოების პრეტენზიებს სოციალურ დაზღვევისათვის გამოსაღებთა შემცირების შესახებ, დაადგინა, რომ სოცდაზღვევისათვის გამოსაღებთა საშუალო პროცენტი, რომლის დროს დამზღვევ სალაროებს შეეძლებათ ყველა თავისი ვალდებულებები შეასრულონ, უნდა უდრიდეს ხელფასის 14 პროცენტს. მაგრამ გამოსაღებთა ეს პროცენტი, ცალკე სამეურნეო ორგანოების მხრით განუწყვეტელი შუამდგომლობათა გამო, სულ მცირდება. ახლა დამზღვევი სალაროები ღებულობენ არა 14 პრ., არამედ 13,6 პრ.

შეწყვეტილ უნდა იქნას შეღავათიან ტარიფის მინიჭების შესახებ შუამდგომლობათა დენა. როგორც წესი, უნდა იქნეს შემოღებული, რომ ერთ სამეურნეო ორგანოსათვის გამოსაღებთა შემცირება დაუშვებელია, თუ ერთდროულად არ იქნება გადიდებული მეორე სამ. ორგანოს გამოსაღებები.

მეორე, დამზღვევი სალაროები ზოგიერთ ამხანაგების შემეცნებაში წარმოადგენენ „მდიდარ ბიძიას": „თქვენ მილიონები გაქვთ"—ეუბნებიან დამზღვევ სალაროებს. ხოლო რაკი ასეა, „თქვენ უნდა გაიღოთ საშუალებები: ბავშთა უპატრონობასთან ბრძოლაზე ბაგეების, თავშესაფარების მოწყობაზე, ქვაფენილების შეკეთებაზე" და სხვ. და დამზღვევი სალაროები ყველაზე ამაზე ხარჯავდენ საშუალებებს.

დამზღვევი სალაროები უნდა განვათავისუფლოთ დასაზღვევ საშუალებათა ხარჯვიდან ისეთ საჭიროებებზე, რომელნიც სოციალურ დაზღვევასთან დაკავშირებული არ არიან.

მესამე, მატულობს ავადმყოფობის გამო სამუშაოს გაცდენის შემთხვევები. განაცდენები იზრდება კარგი ამინდის დროს. რაც უფრო უკეთესია ამინდი, მით უფრო მეტი ავადმყოფობის ფურცლებს იძლევა დამზღვევი სალარო. ეს ხდება იმიტომ, რომ ცუდადაა დაყენებული შეღავათების მინიჭების საქმე, ბევრია სიმულიანტები და სხვ. უნდა შევქმნათ კარგი საექიმო კონტროლი, ისე უნდა მოეწყოს საქმე, რომ ავადმყოფობის ფურცლები მხოლოდ ნამდვილ ავადმყოფებს ეძლეოდეთ. ეს სერიოზული ამოცანაა და აქ თვით მუშებმა უნდა აღმოგვიჩინონ დახმარება.

მეოთხე, წარმოება - დაწესებულებანი პირნათლად ვერ ასრულებენ თავის საგადასახადო მოვალეობას. ლენინგრადში დამზღვევ სალაროებისადმი დავალიანება უდრის 7 მილიონ მან., ნიჟეგოროდში მარტო გომზაზე ითვლება მილიონ-ნახევარი მან. დავალიანება და სხვ. დავალიანებას ლიკვიდაცია უნდა ეყოს. უნდა შევიგნოთ, რომ დასაზღვევ ფულის გაღება ეს იგივეა, რაც ხელფასის გასტუმრება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ხელფასი ეძლევა ჯანსაღ მუშებს, დაზღვევის ფული კი ავადმყოფებს, ინვალიდებს, უმუშევრებს,,.

მუშა-მოსამსახურეთა სოციალური დაზღვევის საქმის ფართოდ დაყენება საბჭოთა ხელისუფლების ერთ უმთავრეს მონაპოვართაგანს წარმოადგენს. ჩვენ ყოველი ზომა უნდა მივიღოთ ამ მონაპოვარის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. ამხ. მილიუტინის მიერ აღნიშნულ ღონისძიებებთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მომჭირნეობის რეჟიმის გატარებას თვით სოცდაზღვევის ორგანოებში. ამ გზით არა ერთი და ორი ასეული ათასი მანეთის გადარჩენა შეიძლება.

ჩვენი მკითხველებისადმი

გაზ. „კომუნისტი"-ს და „მუშა"-ს რედაქციებმა გადასწყვიტეს, მიმდინარე წლის 1 აგვისტოდან გაზეთი გაუწერონ მხოლოდ იმ ხელისმომწერთ, რომელნიც ნაღდათ გადაიხდიან დაწესებულ საფასურს.

ეს გადაწყვეტილება იმით არის გამოწვეული, რომ ნისიათ გაზეთის გაწერის წესმა ვერ გაამართლა იმედები; ბევრი ხელისმომწერი არ იხდის გაზეთის ვალს. ეს ხდება ზოგჯერ თვით ხელისმომწერთა ბოროტი განზრახვით, ზოგჯერ კი მისგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო.

მაგრამ ამის გამორკვევა საქმეს არ შველის; თავი და თავი ის არის, რომ გაზეთზე ხელისმოწერის არსებული წესით რედაქციებს მოსდით აუარებელი ზარალი, რომელიც საბოლოო ანგარიშით, თვით მკითხველისათვისაც საზარალოა.

თუ რამდენად დიდი და საგრძნობია ჩვენი ხელმოკლე გაზეთებისათვის ნისიათ გაზეთის გაწერის წესი, ამის ნათელ საყოფად საკმაოა აღინიშნოს, რომ წარსული 1925 წლის 1 იანვრიდან 1926 წლის 1 ივლისამდე გაზეთ „მუშა"-ს და „კომუნისტი"-ს ხელისმომწერლებს მართებს რედაქციების 80.000 მანეთზე მეტი.

ასეთსავე მდგომარეობაში იყვნენ სულ უკანასკნელ ხანებში სხვა გაზეთებიც მთელ საბჭოთა კავშირში. მაგრამ მათ უფრო ადრე გააჩაღეს ბრძოლა ამ მავნე მოვლენის წინააღმდეგ და გადავიდნენ ხელის მოწერის ნაღდ წესზე.

ამჟამად მთელ საბჭოთა კავშირში თითქმის არ მოიპოვება ისეთი ყოველდღიური გამოცემა, რომელიც ნისიათ უწერდეს მსურველებს გაზეთს.

ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ ქართული გაზეთები.

მისაღებია მხედველობაში კიდევ ის გარემოება, რომ მომჭირნეობის რეჟიმთან დაკავშირებით, საზოგადოთ იკლო რედაქციების შემოსავლის წყარომ; მაგალითად დაწესებულებები არ ბეჭდავენ წინანდებურად გაზეთებში განცხადებებს.

ყველა ამ გარემოებამ აიძულა „კომუნისტი"-სა და „მუშა"-ს რედაქციები დაეყენებიათ და დადებითად გადაეწყვიტათ კიდეც ნაღდ ხელის მოწერის საკითხი.

ორივე რედაქციები დარწმუნებულნი არიან, რომ ეს ნაბიჯი, რომელიც მათ გადასდგეს დაგვიანებით, არავითარ შემთხვევაში არ ავნებს ჩვენი მკითხველის ინტერესებს, რადგან მან, სულ ერთია, დღეს იქნება თუ ხვალ, ხომ უნდა გადაიხადოს გაზეთის ფული; რედაქციებისათვის კი კუთვნილი თანხის დროით მიღება იქნება დიდი შეღავათი, რადგან მათ საშუალება მიეცემათ დროზე და ხელსაყრელ პირობებში შეიძინონ ქაღალდი, დროზე გაუსწორონ ანგარიში სტამბას, მუშებს და თანამშრომლებს და, რაც უმთავრესია, თავიდან აიცილონ ზარალი, რომელიც მათ მოსდით ხელის მოწერის ფულის გადაუხდელობის გამო.

რედაქციები აგრეთვე დარწმუნებულნი არიან, რომ ნამდვილი მკითხველი [illegible]საც გაზეთის კითხვა აუცილებლობას შეადგენს, ყოველ[illegible] [illegible] უმნიშვნელო თან[illegible] [illegible] გაზეთის გამოწერისათვის. ხოლო ისეთ მკითხველებს, რომელნიც, ასე ვსთქვათ წახედულობით იწერენ გაზეთს, იმ იმედით, რომ სულ ერთია, ხელის მოსაწერ ფულს შეინარჩუნებს, ჩვენ რასაკვირველია, ანგარიშს ვერ გაუწევთ.

[illegible] პროფკავშირების წევრთა ეს [illegible] თვიურად [illegible] 334 დაწესებულებებში. [illegible]

სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ ნაღდზე გადასვლას თითქმის არავითარი გავლენა არ მოუხდენია რუსეთის გაზეთების მკითხველთა რაოდენობაზე: მათი რიცხვი ისეთივე დარჩა, როგორიც იყო ნისიობის დროს.

ეს გარემოება იმას მოწმობს, რომ რუსულ გაზეთებს ჰყოლიათ ნამდვილი მკითხველები, რომელნიც იმას კი არ ფიქრობენ, რომ რაიმე აზარალონ თავიანთ გაზეთებს, არამედ დაეხმარონ და ხელი შეუწყონ რითაც კი შეუძლიათ.

ამ მხრივ რუსეთის გაზეთების მკითხველებმა დიდებულად ჩააბარეს განვითარებულ მკითხველის, გაზეთის ჭეშმარიტ გულშემატკივარი ამხანაგისა და შეგნებული მოქალაქის გამოცდა.

დადგა დრო, როდესაც ასეთივე გამოცდები უნდა ჩააბარონ ქართული გაზეთის მკითხველებმა.

ქართული საბჭოთა და პარტიული გაზეთების არსებობის მე-6 წელს ჩვენ უფლება გვაქვს მეტი მოვსთხოვოთ ჩვენს მკითხველებს და ისინიც მოვალენი არიან სათანადოთ შეაფასონ გაზეთის მნიშვნელობა და მეტი ანგარიში გაუწიონ გაზეთების საჭიროებას.

1 აგვისტოდან ხსენებული გაზეთების რედაქციები ნისიათ არავის გაუწერენ გაზეთებს.

ეს არ არის ვისიმე ჟიუტობის შედეგი, არამედ გამოწვეულია თვით გაზეთების არსებობისა და მკითხველის ინტერესებით.

დღეს გაზ. „მუშას" თვიური თვითღირებულება შეადგენს 1 მანეთს. მაგრამ ჩვენ ვუწევთ ანგარიშს იმ გარემოებას, რომ დღევანდელ პირობებში მანეთის გადახდას ყოველთვიურად ვერ შესძლებს ყველა მუშა და მოსამსახურე; ამიტომ გაზეთის ფასი შევამცირეთ თორმეტ შაურამდე. მაშასადამე, გაზეთის ღირებულების ერთ მესამედს ისტუმრებენ სხვა წყაროებიდან; ეს ხდება დიდის გაჭირვებით, დიდის მეცადინეობით და ჭაპან-წყვეტით.

თუ როგორიღა იქნება მდგომარეობა იმ შემთხვევაში, როდესაც ხელის მომწერი დროზე ან სულ არ იხდის გაზეთის ღირებულების ორ მესამედ—თორმეტ შაურსაც, ამას ადვილად წარმოიდგენს ყველა თქვენგანი.

ხელის მოწერის ნაღდ წესზე გადასვლა არის ერთად-ერთი საშუალება გაზეთების მძიმე ნივთიერ პირობების შესამსუბუქებლად.

ამ საქმეში უნდა დაგვეხმაროს ყველა, ვისაც კი გული შესტკივა ჩვენ გაზეთებზე და მათ არსებობას სასარგებლოდ და საჭიროდ სთვლის.

ყველა უნდა დაგვეხმაროს ხელის მოწერის ახალი წესის შემოღებაში.

ეს არის „კომუნისტი"-ს და „მუშა"-ს რედაქციების მოთხოვნა, რომელსაც ისინი უყენებენ თავიანთ მკითხველებს ხანგრძლივი ურთიერთობისა და მტკიცე კავშირის შემდეგ.

„მუშა"-ს რედაქცია.
„კომუნისტი"-ს რედაქცია.

[illegible] ალ. [illegible]

მდგომარეობა საფრანგეთში და კომპარტია

(საფრანგეთის კომპარტიის ცეკას მოწოდება)

სამინისტროები, რომელნიც ერთი მეორეს სცვლიან, უძლურნი არიან, რომ ფრანკის დაცემა შეაჩერონ, უმწეონი, რომ ფინანსიური პრობლემები გადასჭრან. ორმა წელმა ძლივს განვლო 11 მაისის გამარჯვების შემდეგ და მემარცხენე ბლოკი უკვე დაირღვა. ბრიანი, რომელიც მისი დამშლელი ოსტატი იყო, გადადგა, რათა ახალი სამინისტრო შეადგინოს და „უფრო მარჯვნივ" გადაიხაროს.

მმართველებმა უკვე „დააშოშმინეს შეძლებულნი" ე. ი. ბანკები. ამიერიდან ქედი უნდა მოვიხაროთ მათი ტლანქი ბრძანების წინაშე. რეაქციონური მთავრობა, რომელიც ახლა უნდა შესდგეს, ბანკირების მთავრობა იქნება. არასოდ[illegible] საქმეში ასეთი თავხედობით არ ჩარეულან ინგლისის, ამერიკის, საფრანგეთის ბანკირები. ისინი მოითხოვენ სახელ[illegible]ნური პოლიტიკის წარმოებას, აგ[illegible]წიფოს მონოპოლიების [illegible] გარეთვე მთელი ქვეყნიური ფინანსიური დაცემას ანგლო-საქ[illegible]რი [illegible] ამ მთავრობამ

ფრანკის გაფ[illegible] უფრო მძიმე პირობებს საფრანგეთისას, ვიდრე გერმანიამ მი[illegible]ბი უნდა [illegible] ფულის სტაბილიზაციო. ისინის მუშების, გლეხების და [illegible] კლასის ხარჯზე, რომელნიც საშუალო [illegible]ებულნი არიან ინფლიაციის წყალობით.

მშრომელ ხალხს, რომელიც თავს ვეღარ ართმევს ცხოვრების გაძვირებას, კიდევ უფრო მძიმე ფისკალური ტვირთი დააკისრება ამ მთავრობის მიერ, მისი გაჭირვება იმატებს უმუშევრობისა და სამუშაო დღის გადიდების წყალობით.

ამგვარი მთავრობის შედგენის წინააღმდეგ სოციალისტები და რადიკალები თავიანთ კონგრესებზე პლატონიურ პროტესტს უცხადებდენ, თითქო თვითონ არ იყვნენ პასუხისმგებელნი, რომ ბანკირებმა ხელისუფლება დაიპყრეს. განა ამ პირებს უმრავლესობა არ ჰყავთ პარლამენტში? მათ ხომ შესძლეს პუანკარესა და მილიერანის თავიდან მოშორება? ეს მათი თანხმობით ხდება, რომ რეაქციონერები, რომელნიც ხალხმა განდევნა 1924 წლის 11 მაისს, ხელახლა იბრუნებენ ხელისუფლებას.

მუშების და გლეხკაცობის მასსები შეშფოთებულნი არიან ასეთი პერსპექტივის გამო. ნუ თუ უმრავლესობის პარტიები ნებას დართავენ, რომ ასეთი მთავრობა შესდგეს? მშრომელებმა, რომელთაც ხმა მისცეს რადიკალებსა და სოციალისტებს, უნდა აიძულონ მემარცხენე ბლოკი ხელისუფლების სათავეში ჩაუდგეს, რათა თავისი აღთქმა განახორციელოს და ბრძოლა აწარმოოს ბან[illegible] წინააღმდეგ.

კომუნისტური პარტია მა[illegible] შეუშლის ამ მხრივ. როგორსაც მზად [illegible] ნოემბერში, ჩვენი პარტიების შემოტევ[illegible] არის რეაქციის და ბურჟუაზიის ყოვის წინააღმდეგ მხ[illegible] რომელიც იმუშავებივე მთავრობზებისა, კაპიტალებს კაპიტალზე ფინანსიური კრიზი[illegible]ლისტების ხარჯზე.

[illegible]სის დასკვნის პარტიებმა, რადიკალებმა სოციალისტებმა უნდა განაცხადონ, რომ თავიანთ დაპირებას განახორციელებენ. თუ ისინი ამაზე უარს ეტყვიან, თუ ისინი უბრძოლველად ქედს მოიხრიან ბანკირების წინაშე, მათი მიმდევარი მშრომელი მასსები დარწმუნდებიან, რომ 11 მაისის პროგრამას, რომელიც იმთავითვე ნაკლულოვანი იყო, ვერც ერთი მემარცხენე მთავრობა ვერ განახორციელებს ბურჟუაზიულ კანონიერების საზღვრებში, იმ მასსებთან ერთად, რომელნიც კომუნისტური პარტიის გარშემო იყრიან თავს, ისინი გაიგებენ, რომ მხოლოდ კლასთა ბრძოლაში გამოწრთობილ „მუშათა და გლეხთა მთავრობას" შეუძლია აუცილებელი ზომების მიღება:

„სოციალური რეფორმების განხორციელება მუშათა კლასის, გლეხკაცობის, ომის მსხვერპლთა, პენსიონერებისა, წვრილ ხელოსანთა და წვრილ ვაჭართა სასარგებლოდ".

„ბანკებისა და დიდი კაპიტალისტური მონოპოლიების ნაციონალიზაცია, საგარეო ვაჭრობის სახელმწიფოებრივი მონოპოლია, პროგრესიული გადასახადის შემოღება კაპიტალზე".

კომუნისტური პარტია მშრომელებს მოუწოდებს აშკარა ბრძოლისაკენ რეაქციონური მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც მათ უმძიმეს ტვირთს დააკისრებს, ის მათ მოუწოდებს აგრეთვე ემზადონ „მუშათა და გლეხთა მთავრობის" შედგენისათვის.

მათი უშუალო ვალდებულებაა მასსიურად შევიდნენ პროფესიონალურ ორგანიზაციებში და მათი კლასის დამცველ კომუნისტურ პარტიაში და ამრიგად ეს უკანასკნელი ძლიერ იარაღად აქციონ როგორც რიცხვისა, ისე დისციპლინის მხრივ.

ძირს ბანკირების მთავრობა!

გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა მთავრობას!

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

„ლიუმანიტე".

უკანასკნელი ცნობები

[illegible]ების დასაკმაყოფილებლად

[ბე]რლინი, 30 ივნისი. რეიხსტაგმა დაამთავრა მეორეთ წაკითხვა მთავრობის კომპრომისისა, რომელიც ყოფილ პრინცთა პრეტენზიებს აწესრიგებს. მიღებულია სხვადასხვა გვარი პარაგრაფები. მხოლოდ მმართველი პარტიები უჭერდენ მხარს მიღებულ პარაგრაფებს, კონსერვატორები და სოციალ-დემოკრატები კი უმეტეს შემთხვევაში თავს იკერდენ.

საბოლოო გარდაწყვეტილების მიღება გადადებულია მესამე წაკითხვამდე მომავალ კვირისათვის.

განიარაღების საკითხი

ბერლინი, 30 ივნისი. განიარაღების წინასწარი კომისიის სხდომაზე ჟენევაში, დადგენილია, რომ მხოლოდ ნამდვილ სამსახურში მყოფი ჯარები იქნებიან მიღებული მხედველობაში ხმელეთის ძალების შეიარაღებითი აღრიცხვის დროს. ახლად გაწვეულნი და სარეზერვო ჯარისკაცები ხათვალავში არ იქნებიან მიღებული.

ამ დადგენილების წინააღმდეგ გაილაშქრეს მხოლოდ შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა, გერმანიამ და ჰოლანდიამ.

ბერლინის პრესა კონფერენციას ახასიათებს როგორც ფარსს და აღნიშნავს, რომ ზემოხსენებული გარდაწყვეტილება საფრანგეთის სრულ გამარჯვებას წარმოადგენს.

ერთა ლიგა

ბერლინი, 30 ივნისი. ერთა ლიგის საერთაშორისო ფედერაციის საზოგადოებათა კონგრესი, რომელიც ყოველწლიურად იკრიბება სხვადასხვა ქვეყნებში, გუშინ გაიხსნა ებერისვეიტში, ულმში, პოლკოვნიკ დოლფუსის (შვეიცარია) თავმჯდომარეობით; მონაწილეობას იღებენ 22 ერის წარმომადგენლები.

ერთი გერმანელი დელეგატთაგანმა, გრაფმა ბერნსტორფმა თავის სიტყვაში ერთა ლიგის საბჭოს მუშაობის შესახებ განაცხადა, რომ გერმანიის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა სავსებით ლოკარნოს სულის გავლენის ქვეშ იმყოფება.

„ჩვენ არა გვაქვს სხვა პოლიტიკა, სთქვა მან, გარდა იმისა, რომელიც დაიწყო ლოკარნოში, გერმანიამ პირველმა შეიტანა ის წინადადებანი, რომელზედაც დაემყარა ლოკარნოს ხელშეკრულება".

ბერლინი, 30 ივნისი. ლონდონის დიპლომატიურ წრეებში ჰფიქრობენ, რომ ჟენევის განიარაღების კონფერენციის უნაყოფობა უნდა მიეწეროს იმას, რომ ამერიკამ თითქმის სავსებით მიატოვა ლიგა (ორი დელეგატის გარდა) იმის შემდეგ, რაც უარყოფილ იქნა წინადადება საზღვაო შეიარაღების შემცირების შესახებ.

ქემალ-ფაშას მტრები

სტამბოლი, 29 ივნისი. ხურშიდი, ლაზი იზმაილი და ქართველი იუსუფი გამოტყდენ ქემალ-ფაშის წინააღმდეგ შეთქმულობის მომზადებაში. მათ განაცხადეს, რომ ისინი ერთხელ შეეცადენ მის მოკვლას ანგორაში და ბრუსაში. მკვლელობა ვერ მოხდა სათანადო ტეხნიკური საშუალებების უქონლობის გამო.

ბრალდებულებმა განაცხადეს აგრეთვე, რომ იმ შემთხვევაში, თუ შეთქმულება გაიმარჯვებდა, რესპუბლიკის პრეზიდენტად უნდა ყოფილიყო შეთქმულების უმთავრესი ხელმძღვანელი შუკრი, რომელიც ქიაზიმ-კარაბექირთან, რეშეტ-ფაშასთან და რეუფთან შეთანხმებით მოქმედებდა.

მუსოლინის „მოღვაწეობა"

ბერლინი, 30 ივნისი. იტალიის კაბინეტის საბჭომ გამოაქვეყნა დეკრეტი, რომელიც 9 საათის სამუშაო დღეს აწესებს, და აგრეთვე კრძალავს ძვირფას ვილების აგებას და გასართობი ადგილების მოწყობას ერთი წლის განმავლობაში.

მაღაროების მუშათა მოხსნა

ლონდონი, 30 ივნისი. მაღაროების მუშათა აღმასკომმა დღეს დილის სხდომაზე განიხილა საკითხი მაღაროების დამცველი მუშების მოხსნის შესახებ.

პოლიტ. ტუსაღთა განთავისუფლების ცდა

ვარშავა, 29 ივნისი. „ექსპრეს პორანი" იუწყება, რომ ვილნოში ბრბო შეეცადა პოლიტიკურ ტუსაღთა განთავისუფლებას, რომლებიც ქუჩაში მიჰყავდათ. გამყოლი რაზმის დასახმარებლად მოვიდა ცხენოსანი პოლიცია, რომელმაც ბრბო გაჰფანტა.

„დეპუტატის შეუვალობა

საპარლამენტო კომისიამ უარჰყო მთავარი პროკურორის მოთხოვნილება, რომ დეპუტატის შეუვალობა არ იქმნას გავრცელებული მთელ რიგ კომუნისტ დეპუტატებზე.

თანაგრძნობა გაფიცულებს

ბერლინი, 29 ივნისი. უკანასკნელ ხანებში ჰამბურგის ნავთსადგურში მიღებულია 300 ვაგონი რურის ნახშირი, რომელიც ინგლისში უნდა წაიღონ.

ჰამბურგის ნავთსადგურის მუშათა სპეციალურმა კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც მუშები აღშფოთებას გამოსთქვამენ შემთანხმებელ ბელადების შტრეიკბრეხერობის გამო და მოითხოვენ, რომ გერმანიის პროფკავშირები დაუყონებლივ შეუდგენ ინგლისის მაღაროს მუშების დახმარების ფართო კამპანიას.

სილის გარტყმისათვის

ბერლინი, 29 ივნისი. შვეიცარიის მთავრობამ დაადგინა სასამართლოში მისცეს ჰუნგრელი ემიგრანტი გვან უტი, რომელმაც სილა გაარტყა ბეტლენს.

კამათი 8 საათის სამუშაო დღის შესახებ

ლონდონი, 29 ივნისი. გაცხოველებული კამათი თემთა პალატაში 8 საათის სამუშაო დღის შესახებ კანონ-პროექტის გარშემო შესწყდა მაშინ, როცა საზღვაო საქმეთა მინისტრს არ მისცეს ლაპარაკის საშუალება.

კამათის შეწყვეტის შემდეგ მუშათა პარტიის შესწორება უარყოფილ იქნა 355 ხმით 163 ხმის წინააღმდეგ. კანონ-პროექტი მეორე წაკითხვით მიღებულია.

სამუშაო დღის შესახებ

პარიზი, 30 ივნისი. მემაღაროეთა ფედერაციის აღმასკომმა გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც აცხადებს, რომ იგი ყოველგვარ ზომებს მიიღებს, რომ კანონ-პროექტი 8 საათის სამუშაო დღის შესახებ არ გატარდეს ცხოვრებაში.

გერმანია - საბჭოთა ხელშეკრულების რატიფიკაცია

ბერლინი, 29 ივნისი. გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტროში მოხდა სიგელების გაცვლა-გამოცვლა 24 აპრილს ბერლინში ხელმოწერილ გერმანია-საბჭოთა ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ. გერმანიის მთავრობის სახელით სარატიფიკაციო სიგელი წარმოადგინა გარეშე საქმეთა მინისტრმა **შტრეზემანმა**, საბჭოთა ელჩმა—**კრესტინსკიმ**.

პანაშვიდი პეტლიურას ხსოვნის აღსანიშნავად

ვარშავა, 29 ივნისი. გაზეთი „ვარშავსკა პორანა" მოწონავს უძლვნის პეტლიურას ხსოვნის აღსანიშნავად გამართულ სამოქალაქო პანაშვიდს. გაზეთი, აღნიშნავს რომ პანაშვიდს დაესწრენ პოლონეთის ოფიციალური პირები და დასძენს, რომ პეტლიურას ხსოვნის აღსანიშნავად გამართული პანაშვიდი საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო დემონსტრაციაა.

მიწისძვრა სუმატრაზე

ლონდონი, 29 ივნისი. კანდანგში (სუმატრაზე) მიწისძვრის გამო თითქმის ყველა შენობები დაინგრა. მოკვდა 17 კაცი, მათ შორის ერთი ევროპიელი.

პანჩიშინის [illegible] გა[illegible]

ვარშავა, 29 ივნისი. აპელაციონურმა სასამართლომ განიხილა პანჩიშინის საქმე, რომელსაც ბრალი ედება ვეჩერკოვიჩისა და ბაგინსკის გაქცევისათვის ხელის შეწყობაში, და პირველ ინსტანციის სასამართლოს განაჩენით გათვალისწინებული სასჯელი—2 წ. საკატორღო მუშაობა, 4 წლის კატორღით შესცვალა.

პლებისციტის შემდეგ

ბერლინი, 30 ივნისი. ყოფილ პრინცების პრეტენზიების შესახებ მთავრობის კომპრომისის მეორე წაკითხვის დროს, § 2, რომელიც შეეხება სპეციალური ტრიბუნალის სასამართლოს, უარყოფილ იქნა ნაციონალისტების მიერ, რომელთაც ოპოზიციაში ჩაუდგნენ სოციალ-დემოკრატები. აღნიშნავენ, რომ დანარჩენ პარაგრაფების მიღება შესაძლო გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ სხდომაზე იყვნენ ყველა ნაციონალისტები და სოც. დემოკრატი დეპუტატები, ხოლო დანარჩენები ან არ დაესწრენ სხდომას, ან კიდევ თავი შეიკავეს.

ბერლინის პრესა კომენტარიებს უკეთებს შინაგან საქმეთა მინისტრის კიულცის გუშინდელ განცხადებას, რომ მთავრობა არ გაექცევა შედეგებს, თუ კომპრომისი უარყოფილი იქნა. სოციალ-დემოკრატიულ პრესას კაბინეტის გადადგომა შეუძლებლად მიაჩნია. ცენტრის და დემოკრატიულ პარტიების პრესა კიულცის განცხადებაში რეიხსტაგის დათხოვნის მუქარას ხედავს.

ჩინეთის მუშების დემონსტრაცია

კანტონი, 29 ივნისი. **შამინში მომხდარ ხოცვა-ჟლეტის მსხვერპლთა ხსოვნის აღსანიშნავად კანტონში შესდგა დიდი დემონსტრაცია, რომელზედაც გამოვიდა ჩანკაიში. ის მოითხოვდა შეუსუსტებელ ბრძოლას იმპერიალიზმისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ და მხარის დაჭერას ხუნანის ექსპედიციისათვის.** სიტყვები წარმოსთქვეს მუშების, სტუდენტების, გლეხების და ვაჭრების ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, და აგრეთვე გაფიცვის კომიტეტის, სამხედრო საბჭოს, ქალთა ფედერაციის და სხ. წარმომადგენლებმა.

მიტინგზე მიღებული რეზოლიუცია განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ გონკონგის ბოიკოტი უნდა იქმნას გაგრძელებული მანამ, სანამ არ იქნება მიღებული კანტონის მთავრობის მოთხოვნილება შამინში მომხდარ დახვრეტების საკითხის მოწესრიგების შესახებ. რეზოლიუციაში მიტინგის მონაწილეები ფიცს სდებენ, რომ მხარს დაუჭერენ კანტონის მთავრობას ხუნანის ექსპედიციაში იმ მიზნით, რომ მშვიდობიანობა იქმნას დაცული გუან-დუნში. მიღებულია აგრეთვე რეზოლიუცია, რომელიც თანაგრძნობას უცხადებს ინგლისის მაღაროს მუშებს და **პროტესტს აცხადებს ინგლისის მთავრობის წინააღმდეგ იმის გამო, რომ იგი ჩაერია საბჭოთა პროფკავშირების მიერ ინგლისის მუშებისადმი დახმარების აღმოჩენის საქმეში.** მიტინგის შემდეგ შესდგა დემონსტრაცია.

კ. ჩხეიძის თვითმკვლელობის გარშემო

ბერლინი, 29 ივნისი. შესდგა ჩხეიძის ხსოვნის საღამო, რომელსაც რუს და ქართველ მენშევიკებს გარდა დაესწრენ აგრეთვე გერმანელი სოც. დემოკრატები ლებე, შეიდემანი, ლიუდვიგი და სხვები.

ორატორები აღნიშნავდენ ჩხეიძის დამსახურებას ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. შეიდემანმა დაახასიათა ჩხეიძე, როგორც სოციალისტი და პატრიოტი. როგორც შეიდემანის, ისე სხვა ორატორების სიტყვებში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ჩვეულებრივ გალაშქრებებს ბოლშევიკების წინააღმდეგ.

რა ხდება უცხოეთში

შეერთებული შტატები

მანქანების ექსპორტი

1925 წ. შეერთებული შტატებიდან გატანილი იქნა 150 მილიონი დოლარის სხვადასხვა მანქანები.

ვაჭრობის სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობები, რომელშიც აღნიშნავს, რომ მანქანების ექსპორტი შეერთებული შტატებიდან ომის წინანდელ დროსთან შედარებით შესამჩნევად გაიზარდა. ეს იმ დროს, როცა ინგლისსა და გერმანიას კიდევ არ მიუღწევიათ მშვიდობიანი დროის დონემდე.

საერთოდ ამერიკის საამშენებლო მრეწველობის მდგომარეობა ძალიან გაუმჯობესდა მას შემდეგ, რაც გერმანიამ მიიღო დაუესის გეგმა, რადგან ამის შემდეგ გერმანიაში შესამჩნევად გაიზარდა ხარჯები წარმოებაზე და გერმანიას წაერთვა მსოფლიო ბაზარზე შეერთებული შტატებისათვის კონკურენციის გაწევის საშუალება.

ამჟამად შეერთებულ შტატებს აქვს კიდევ ერთი უპირატესობა გერმანიის წინაშე. ეს არის—მანქანების გაყიდვა ნისიათ შეღავათიან პირობებში. გერმანიას კი, საბრუნავი თანხების უქონლობის გამო, ამისი საშუალება არა აქვს.

არაჩვეულებრივად გაიზარდა ამერიკული მანქანების ექსპორტი აზიაში. ომამდე შეერთებულ შტატებს აზიაში გაჰქონდა 4 მილიონი დოლარის მანქანები, ახლა კი 16.500.000 დოლარის გააქვს. ვაჭრობის სამინისტრო თვლის, რომ ეს ჯამი არ არის მაქსიმალური და მომავალში აზიაში მანქანების გატანა კიდევ უფრო გაფართოვდება.

დასასრულ, ვაჭრობის სამინისტრო აღნიშნავს ვაჭრობის გაფართოებას საბჭოთა კავშირთან. ასე მაგალითად მანქანების ექსპორტი 64.000 დოლარიდან (1922 წ.) გაიზარდა 3.678.000 დოლარამდი (1925 წ.)

საბჭოთა კავშირში

რ უ ს ე თ ი

მეორე საგლეხო სესხის განაღდება

მოსკოვი, 30 ივნისი. ფინსახკომი აწყობს მეორე საგლეხო სესხის ნაწილნაწილად გაყიდვას, რათა მშრომელებს გაუადვილოს ობლიგაციების შეძენა.

ნაწილ-ნაწილად გაყიდვა ჩატარდება 200 მანეთამდე თანხით თითო პირზე. ობლიგაციის ყიდვის დროს შეტანება 20% და დანარჩენი თანხის შეტანა განაწილდება 4 თვის განმავლობაში. ობლიგაციის მყიდველი, პირველი შეტანის მომენტიდან ხდება მფლობელი განსაზღვრული ობლიგაციისა, განსაზღვრული ნომერით. მას მიეცემა კვიტანცია, ის იღებს პროცენტებს, ყველა შეძენილ ობლიგაციის თანხიდან და მისი ობლიგაციები მონაწილეობას იღებენ ტირაჟში.

ნაწილ-ნაწილად გაყიდვის დაწყება გამოცხადებული იქნება ცალკე.

ბრძოლა უმუშევრობასთან

მოსკოვი, 30 ივნისი. უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცა უკრაინაში 1926—27 წლისათვის უმუშევრობასთან ბრძოლის მუშაობის გეგმა.

გეგმის მიხედვით უნდა გადადებულ იქნას 7.480.000 მანეთი. მთავარი ყურადღება ექცევა მოზარდ უმუშევრების დახმარებას და უმუშევართა ხელახალ საკვალიფიკაციო კამპანიის ჩატარებას. განსაკუთრებული ყურადღება სოფლის რაიონებს უნდა მიექცეს, რათა შეჩერებულ იქნას უმუშევართა ქალაქში მოზღვავება.

ტეხნიკური გაუმჯობესება

მოსკოვი, 30 ივნისი. რ. ს. ფ. ს. რ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კონკურსზე, სოფლის მეურნეობისთვის საუკეთესო და მარტივ ქარის სანგარის მოწყობისთვის პირველი პრემია მიიღო ინჟინერ დავიდოვის ხის ქარის სანგრების პროექტებმა. ეს მანქანები გამოირჩევა თავისი სიმარტივით, გამძლეობით და იაფია; მას უბრალო სოფლის დურგალიც გააკეთებს. ინჟინერ დავიდოვის მიერ წარმოდგენილია აგრეთვე ლითონის ძრავების პროექტი, რომელთა გაკეთება შეიძლება, ჩვეულებრივ საბაზრო რკინიდან. ყველა ეს მანქანები—მუშაობას თვითონვე აწესრიგებენ და შეიძლება დატოვებულ იქნან მუშაობის დროს ყოველგვარ მეთვალყურეობის გარეშე, რაც მეტად მნიშვნელოვანია საგლეხო მეურნეობის პირობებში.

დემონსტრაცია ავსტრიის მთავრობის წინააღმდეგ

მოსკოვი, 30 ივნისი. ლენინგრადში, ვოლოგდაში, არხანგელსკში და რ. ს. ფ. ს. რ.-ის სხვა ქალაქებში ჩატარდა მუშა-ახალგაზრდობის დემონსტრაცია ავსტრიის მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც აუკრძალა საბჭოთა მუშა-ახალგაზრდობას ავსტრიაში შესვლა.

სეტყვა და ნიაღვარი

როსტოვი-დონზე, 30 ივნისი. სხვადასხვა ქალაქებიდან მოდის ცნობები სეტყვისა და ნიაღვარის შესახებ.

კრასნოდარში საათნახევრის განმავლობაში გამძვინვარებულმა გრიგალმა მეხით და ნიაღვარით ქუჩები დაარბია. ტრამვაის მოძრაობა შეჩერდა. ქარმა ბევრ სახლს სახურავი მოაძრო.

წყალმა გადაიარა სახლებსა და ბოსტნებზე. სამ ოლქში სეტყვამ ძლიერ დააზიანა ნათესები.

„სინიავკა-მორსკაიას" რკინისგზის ნაწილში, გადარეცხილია რკინისგზის ლიანდაგი.

მ ე ხ ი

კალუგა, 30 ივნისი. ქალაქში გავარდა უჩვეულო მეხი. მეხმა ქალაქის შუაგულში დალეწა ხე. ელვამ მოკლა ქალაქის საბჭოს წევრი სოლოვიევი. ელექტრონის სადგურში დაზიანებულია აკუმულიატორები.

მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალი დებულება

მოსკოვი, 30 ივნისი. **გამოქვეყნდა საკავშირო ცაკის და სახ. კომისართა საბჭოს დადგენილება 1926—27 წლის მთლიან სამეურნეო გადასახადის დებულების გატარების შესახებ.**

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მუდმივ და დაქირავებულთა სამუშაო ხელფასი, როგორც შემოსავლის დამოუკიდებელი წყარო იბეგრება მხოლოდ სახელმწიფო შემოსავლის კვალობითი გადასახადის შესახებ არსებულ კანონის წესის მიხედვით. იმ შემთხვევაში, როცა მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების თანახმად, სათანადო ორგანოები საჭიროთ დაინახავენ არასამიწათმოქმედო ხელფასის დაბეგვრას მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადით, სამუშაო ხელფასი, დამოუკიდებლად მისი რაოდენობისა, შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ შემოსავლის იმ ნაწილში, რომელიც შემოდის სასოფლო მეურნეობაში.

მაგრამ ხსენებულ შემოსავლის ხელახლად დაბეგვრის თავიდან ასაცილებლად, სათანადო ორგანოებს ევალებათ ადგილობრივ პირობების მიხედვით შეზღუდონ ზემოდ აღნიშნულ შემოსავლის დაბეგვრა მაქსიმალური დონის შემოღებით.

მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრის დროს უნდა იქნეს გამონანგარიშებული გარეთ სამუშაოდან და სასეზონო მუშაობიდან მიღებული ხელფასი.

სოფლის მოსახლეობის შემოსავალი შინა-მრეწველობიდან მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრილ უნდა იქნეს ისეთი რაოდენობით, რომ შინა-მრეწველობის შემოსავალზე დაწესებულ გადასახადის თანხები არ აღემატებოდეს გადასახადის იმ თანხას, რომელიც უნდა გაიღონ იმავე შინამრეწველობის შემოსავლის კვალობით სარეწაო ბეგარის გადახდის დროს.

იმ მიზნით, რომ გადასახადი უფრო სამართლიანად განაწილებულ იქნეს გლეხობის იმ მეურნეობებზე, რომელთაც აქვთ არამიწათმოქმედო შემოსავალი, ან არა აქვთ ასეთი, დადგენილებით მოკავშირე რესპუბლიკების სახ. კომისართა საბჭოებს უფლება ეძლევათ შესცვალონ დაბეგვრის განაკვეთის 20 პროცენტის ფარგლებში და აგრეთვე **საჭიროთ თვლის განთავისუფლებულ იქნეს მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან უღარიბესი მეურნეობები საგლეხო მეურნეობათა საერთო რიცხვის 20 პროცენტის რაოდენობით.** თვითეულ მოკავშირე რესპუბლიკაში ეს პროცენტი შეიძლება გადიდებულ იქნეს ღარიბ რაიონებისათვის. ამ მიზნით მოკავშირე რესპუბლიკების სახ. კომისართა საბჭოებს უფლება ეძლევათ შესცვალონ მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ არსებულ დებულებით დაწესებული დაუბეგრავი მინიმუმი.

ახალი საბჭოების მუშაობა

ბაქო, 30 ივნისი. დამთავრდა შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატთან არსებული საორგანიზაციო-საადმინისტრაციო თათბირი, რომელმაც აღნიშნა, რომ 4 თვის მუშაობამ გვიჩვენა, რომ საბჭოები წესიერად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

გლეხთა მასები დიდ აქტიობასა და ინიციატივას იჩენენ უმთავრესად კრებებზე და კერძოდ სექციებში, სადაც მუშაობა მიმდინარეობდა პრაქტიკული საქმიანობის კალაპოტით.

თათბირმა აღნიშნა პრაქტიკული ღონისძიებანი საორგანიზაციო ფორმის „დაირას" საკითხის მოსაგვარებლად და საჭიროდ სცნო საქმიანი პრეზიდიუმის შედგენა სამი პირისაგან.

დასახულია ღონისძიებათა მიღება პირველი საფეხურის აპარატის მუშაობის განსახორციელებლად.

მიიღო რა მხედველობაში წარსული წლის მეტად ნაყოფიერი შედეგები პირველი საფეხურის აპარატის ხელმეორე შემზადების საქმეში, თათბირმა საჭიროდ სცნო ერთთვიანი კურსების მოწყობა.

პარტიული ცხოვრება

პარტკონფერენციის დელეგატების ხარჯის შესახებ

მოსკოვი, 30 ივნისი. ყრილობების და პარტკონფერენციათა დელეგატების ხარჯის გასტუმრება წარმოებების მიერ მძიმე ტვირთათ აწვება სამეურნეო ორგანოებს.

ამიტომ საკავშირო კომპარტიის ც[illegible]კამ შე[illegible] რომ ყრილობა-ზე და პარტკონფერენციაზე გა[illegible]ბულ [illegible] მუხლი [illegible]ზე და კონფერენციებზე გასაგზავნემა-მოსამსახურეებისათვის საშუალოელფასის შენარჩუნების შესახებ.

როგორ გაიმარჯვა ღარიბ გლეხობის ჯგუფმა

(სოფ. გურჯაანი, სიღნაღის მაზრა)

ივნისის პირველ რიცხვებში, გურჯაანის თემკომმა, კომპარტიის სიღნაღის სამაზრკომიდან მიიღო სათანადო ინსტრუქცია და თეზისები ღარიბ გლეხების ჯგუფის ჩამოყალიბების და მისი ამოცანების შესახებ. მასალების სათანადოთ დამუშავების შემდეგ, თემკომმა დაადგინა: თემის მასშტაბით ჩამოყალიბებულიყო ღარიბთა ერთი ჯგუფი და ამ ჯგუფის მოწყობის ინიციატივა აეღო ხევისუბნის კომუჯრედს.

თავდაპირველად ხსენებული კომუჯრედის მიერ შედგენილი იქნა ღარიბი გლეხების სია. ღარიბ გლეხების სიის შედგენის დროს, კომუჯ[illegible]ბულობდა ზომებს, ღარიბების ჯგუფში მოქცეოდა უღარიბესი, აქტიური და პატიოსანი გლეხობა. ღარიბების ჯგუფებში შეყვანილი იქნა: [illegible]ების, საკრედიტო ამხანაგობის, გლეხკომის, სათემო საბჭოს წევრი—უღარიბესი გლეხობა, ახ[illegible] ორგანიზაციის პარტიის და კომკავშირის წევრები და აქტიური მოჯამაგირეები. ღარიბების ჯგუფის პირველი კრება მოწვეული იყო კვირას, 13 ივნისს. ამ კრებაზე ღარიბი გლეხებს გარდა დაესწრენ საშუალო გლეხების აქტიური ნაწილი, დაესწრენ აგრეთვე თითო ოროლა კულაკი და ჩარჩები, მაგრამ კრების გახსნის წინ კრების თავმჯდომარის წინადადებით ჩარჩ-კულაკებმა დასტოვეს კრება.

ღარიბების პირველ კრებაზე ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება გააკეთა სამაზრკომის წარმომადგენელმა.

მან გაარკვია პარტიის პოლიტიკა სოფლად. აღნიშნა სოფლის მოსახლეობის ფენებად დაყოფის ფაქტი, კულაკური გავლენის ზრდის საშიშროება და ამ საშიშროების წინააღმდეგ ღარიბი გლეხების ორგანიზაციულად დარაზმვის ბრძოლის საჭიროება.

ამავე დღეს იყო დანიშნული ადგილობრივ გლეხკომის გადარჩევა. ღარიბების კრებაზე დასმული იყო საკითხი გლეხკომის მოღვაწეების შესახებ. ღარიბები გამოვიდნენ და გაბედულად განაცხადეს:—გლეხკომის თავმჯდომარე [illegible]ვიგა ელიზბარაშვილი კულაკია. გლეხკომის [illegible]ანობა ვერ მიჰყავს ღარიბი გლეხების სასარგებლოდ, ლოთობს და ის არ გვინდა სხვა უნდა ავირჩიოთო. გლეხკომის ძველი საბჭოს და გამგეობის წევრების წინააღმდეგ სხვა ბრალდებაც იქნა წამოყენებული. ღარიბების კრებამ [illegible] ხელა ამ საკითხზე და ბოლოს კრების მიერ შემუშავებულ იქნა გლეხკომის საბჭოს და სარევიზიო [illegible] ახალი წევრების სია. ამ სიაში არ [illegible] შეტანილი ძველი თავმჯდომარე გლეხკომის. კრებაზე მოხუცი ღარიბები ამბობდენ: „გვ[illegible]დილაცია, ჩვენ აქ დავადგინეთ, ის, არ ავირჩ[illegible], მამ იმას თავისი კაცები (ბობოლა გლეხები) ჰყავს დამქაშებად და, როდესაც ამ კითხვას საჯარო ყრილობაზე გავიტანთ, თავისას გაიტანს". კრებამ მაინც გადასწყვიტა საკუთარი [illegible] არჩევნებზე.

იმავე დღეს ეგკომის საარჩევნო კრებაზე ღარიბების ახლით წამოყენებული იქნა ღარიბთა კრებაზე შემუშავებული სია. გურჯაანის თემი ცნობილია კულაკებით.

ყრილობაზე კულაკებმაც გამოიჩინეს აქტივობა. გლეხკომის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ელიზბარაშვილმა, აჟარებული შეკითხვების და სიტყვის შემდეგ კულაკებმა წინადადება შეიტანეს „გიგას მუშაობა დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს". ღარიბების ჯგუფმა საწინააღმდეგო რეზოლიუცია შეიტანა. კენჭის ყრის შემდეგ ღარიბების წინადადება გავიდა, გაბრაზებულმა კულაკებმა დაიყვირეს: „ღატაკები ცხვირიამთ რა იციან ბრმად სწევენ თითებსო". ამ გაგონებაზე, როგორც რისხვა ისე შემჯდარ კულაკებს ღარიბებმა. როდესაც კულაკებმა ეგრძნეს, რომ მათი საქმე ცუდად იყო, სათითაოდ გაძვრენ და დასტოვეს კრება. ვინც დარჩა არც იმათ ამოუღიათ. დაიწყო გლეხკომის [illegible] და სარევიზიო კომისიის არჩევნები. ყრობის მიერ უცვლელად იქნა მიღებული ის, რომელიც ღარიბების ჯგუფის მიერ იყო წამოყენებული.

უნდა ითქვას, რომ ღარიბი გლეხების ჯგუფის მოსაწყობად სამაზრკომის მიერ თავიდან სწორი ხაზი იყო აღებული. ღარიბების ჯგუფების ჩამოყალიბება სიღნაღის მაზრის სხვა სოფლებში მიმდინარეობს.

ეჭვს გარეშე, ღარიბი გლეხების ორგანიზაციის გონივრული მოწყობით და ხელმძღვანელობით, კომპარტიის სიღნაღის მაზრის ორგანიზაცია შესძლებს ღარიბი, საშუალო გლეხების და მოჯამაგირეების შეკავშირებას და დარაზმვას კულაკური გავლენის გასაბათილებლად. ამის საუკეთესო მაჩვენებელია სოფელ გურჯაანში არსებული ღარიბების ჯგუფი და მისი პირველი ნაბიჯი.

ხელმძღვანელი.

პარტგანმანათლებელი მუშაობის შედეგები

(ზუგდიდის მაზრა)

პირველ ივნისისათვის უკვე დამთავრდა მეცადინეობა პოლიტ-განათლების სკოლებში. წ. წ. სექტემბრიდან ჩვენს მაზრაში გახსნილ იქნა 34 სხვადასხვა ტიპის პოლიტ-ცოდნის სკოლები და ერთი მარქსიზმ-ლენინიზმის შემსწავლელი წრე. უკანასკნელმა ვერ შესძლო ნაყოფიერი მუშაობის წარმოება. პოლიტ-ცოდნის სკოლებიდან ერთი იყო მოძრავი, რომელიც 1925 წ. ივნისიდან სხვადასხვა ადგილას მოდინა 5 გამოშვება. მოძრავ სკოლებში პირველად ჩაეწერა 227 კაცი, მათგან დაამთავრა 1[illegible]მა, რომელთაგან პარტიის წევრი არის 48, კანდიდატი 31, ა. ლ. კ. კ. წევრი 37, უპარტიო და დანარჩენები კი სხვადასხვა მიზეზების გამო მეცადინეობის დამთავრებამდე გამოვიდენ. [illegible]წილმა კი გამოცდა ვერ დაიჭირა.

მიმდინარე წლის თებერვლიდან მუშაობა სამი სტაციონალური პოლიტ-ცოდნის სკოლა ჯამაგირიანი ხელმძღვანელებით, რომელიც დაამთავრა 82 კაცმა, რომელთაგან პარტიის წევრი არის 24, კანდიდატი 21, ა. ლ. კ. კ. წევრი, უპარტიო 8.

პოლიტ-განათლების დანარჩენ 26 სკოლის ხელმძღვანელები მუშაობდენ უფასოთ. მეცადინეობა აქ დამთავრდა პირველი ივნისისათვის. ამ სკოლებმა პროგრამის გავლა ვერ შესძლეს. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ პროგრამები და სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე ძლიერ დაგვიანებით იქნა მიღებული.

იმ პოლიტ-ცოდნის სკოლებში, სადაც ხელმძღვანელებად ჯამაგიროთ მუშაობდენ და სადაც მეცადინეობა შეუძლებელი იყო წარმოებულ კვირაში ერთზე უფრო ხშირად, ორ თვეში მეცადინეობის მოთავება შეუძლებელი გახდა.

ყველა სკოლებში გარჩეულ იქნა მიწის კოდექსი, პარტიის მე-14-ე ყრილობის დადგენილებანი და მიმდინარე საკითხები.

მაზრის ელა უჯრედებთან (50 უჯრედი) პოლიტ-ცის სკოლების დაარსება შეუძლებელი იყო სათანადოთ მომზადებული ხელმძღვანელების ნაკლებობის გამო. არსებულ სკოლებმა კი ცოტა ნაყოფი მოგვცა. ჩვენ შესძლებიცენი ამხანაგებისათვის პოლიტ-ცოდნის ანბანი მაინც შევგვთვისებია. ეჭვს გარეშეა, რომ მომავალი წლის პოლიტ-სკოლები უფრო მეტ ნაყოფს გამოიღებს.

ტ. ლუკავა.

ჭიათურის პოლიტსკოლები

თებერვალში რონოდის მტვირთავ მუშებში ჩამოყალიბდა ორი პოლიტსკოლა 55 მსმენელით. ასეთივე ორი სკოლა მოეწყო „კარუტოში" 70 მსმენელით. მსმენელთა დიდი უმეტესობა (91) პარტიულები იყო, დანარჩენი კომკავშირელები. მეცადინეობა სწარმოებდა [illegible]უბრის მეთოდით.

ამ ბოლო ხანებში შემჩნეულია, ამ პოლიტსკოლას მსმენელები არ ესწრებიან ხშირ შევებულებების გამო. შემჩნეულია აგრეთვე პროგრამის ძალზე გაზვიადება და გაფართოება. შორაპნის მაზრკომმა გაახდინა სკოლების გაწმენდა უვარგისი ელემენტებისაგან, აგრეთვე დაადგინა დამთავრდეს პოლიტსკოლების მეცადინეობა „კარუტოში" 1 ივლისამდე.

იანეთელი.

ქ ა ლ თ შ ო რ ი ს

ქალთა სადელეგატო კრების მუშაობა თბილისის მაზრაში

(ტექსალებიდან)

ცნობები ქალთა სადელეგატო კრებების შესახებ წარმოდგენილი აქვს თბილისის მაზრის შემდეგ რაიონებს: მანგლისის, ერწოს, [illegible]თის, გარე-კახეთის, ასურეთის და აგრეთვე ოთხი ქალაქის რაიონს. ამ ცნობების მიხედვით ქალთა სადელეგატო კრებები დაარსებულია 47 პუნქტში, რომელშიაც ირიცხება 2.153 დელეგატი-ქალი. სასოფლო რაიონებს თვითეულ პუნქტზე საშუალოდ მოდის 25 დელეგატი-ქალი. ქალთა-დელეგატების სოციალური შედგენილობა შემდეგნაირია: მუშა-ქალები 17, მოსამსახურენი—356, დიასახლისები—264, გლეხი-ქალები—916 და მოჯამაგირე ქალი 32. ეროვნების მიხედვით: ქართველი—795, [illegible]—475, სომეხი—209, და სხვა ეროვნების—[illegible]

ქალთა სადელეგატო კრებებთან დაარსებულია სექციები: კოოპერატიული, პროფმოძრაობის, იურიდიული, ბავშვთა თავდაცვის და სხვა. მეცადინეობა სწარმოებს განსაზღვრული პროგრამით. ამ დრომდე დამუშავებულია შემდეგი საკითხები: ქალთა სადელეგატო კრებების [illegible]ნები და ამოცანები, საბჭოთა აღმშენებლობა, საბჭოთა სასამართლოები და კანონმდებლობა, კოოპერაციის შესახებ, კანონმდებლობა და ბავშვთა საერთაშორისო დღის მნიშვნელობა.

საშუალოდ ქალთა სადელეგატო კრებებზე გარჩეული იქნა—8 საკითხი. გარჩეული საკითხები დელეგატ-ქალებმა დამაკმაყოფილებლად შეითვისეს.

სათემო ქალთა სადელეგატო კრებებზე დღის წესრიგში იდგა ანგარიში ამორჩეულ დელეგატ-ქალისა, ა-კრების სკოლის შესახებ, წერა-კითხვის უცოდინართა მოსპობის, დელეგატ-ქალის მონაწილეობა საბჭოებში, ქალთა დელეგატების მიერ [illegible] შესახებ საბჭოთა დაწესებულებებში და სხვა.

ქალთა დელეგების კრებებზე დასწრება აღწევს 50 პროცენტს.

საბჭოთა მუშაობაში ჩაბმულია დელეგატ-ქალები, როგორც [illegible] შემდგენლობის, ისე ახალი. დელეგატ-ქალები ჩაბმულია აქტიურ მუშაობისათვის ოპერაციაში, გლეხკომებში, [illegible] და სხვა ორგანიზაციებში, ქალები მომზადებულია [illegible] სკოლებზე და პიონერ კოლექტივებზე, თავიანთ მუშაობის შესახებ დელეგატ-ქალები აკეთებენ ანგარიშებს წარმომადგენლობებში და სხვა ორგანიზაციებში. [illegible] მათი მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი. დელეგატ-ქალთა აქტივობა აღრიცხვაზე.

ა—კო.

ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს სესია

ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს სესიის მუშაობა დამთავრდა. სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ყველა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებმა. საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ნინო მახარაძემ.

სესიამ მოხსენების შესახებ მიიღო რეზოლიუცია, სადაც—საბჭოს მიერ აღებული კურსი ცნობილი არის სწორად მიზანშეწონილად. ამასთან ერთად სესიის მიერ საბჭოს მიცემული აქვს მთელი რიგი დირექტივები: სასკოლო ქსელის გაფართოების დროს ყურადღება უნდა მიექცეს ეროვნულ უმცირესობათა, განსაკუთრებით ჩამორჩენილ უმცირესობათა—საჭიროებას. იმ წვრილ ეროვნებათა კულტურულ საგანმანათლებლო საჭიროების დასაკმაყოფილებლად, რომელთაც არა აქვთ თავისი ანბანი და ლიტერატურა, საბჭოს დაევალა მიეცა შეისწავლოს საკითხი და დაუსწყვეტლად წარუდგინოს იგი შესაფერის ორგანოებს. განათლების სახალხო კომისარიატს ეთხოვა სახელმწიფო გამომცემლობასთან მოუყაროს ყველა გამოცემებს ეროვნულ უმცირესობათა სკოლების კულტურულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს რუსული ენის სწავლებას, რომელიც ეროვნულ უმცირესობათა სკოლში დაწყებული უნდა იქნეს მესამე ჯგუფიდან. დადგენილი იქნა აგრეთვე ეთხოვოს განათლების კომისარიატს, რათა განკარგულება გასცეს ერ. უმცირესობათა სკოლების შეკეთების შესახებ და გააძლიეროს აგრეთვე პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობა, განსაკუთრებით,—წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ ეროვნულ უმცირესობათა შორის. ამხ. ნინო მახარაძის თანამომხსენებლად გამოვიდენ ამხ. გ. რუხაძე, ხუკომუტოვი, გედევანიშვილი და ამხ[illegible].

ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს პრეზიდიუმში არჩეული იქნენ: ამხ. კასიანი. (კომუნისტური უნივერსიტეტის რექტორი). ამხ. **ნ მახარაძე**, ამხ. **ნადჯაფოვი** („ენი-ფიქირ"-ს რედაქტორი) და ამხ. [illegible] (მდივნად).

პედაგოგიურ ტეხნიკუმების გამგეთა კონფერენცია

მეოთხე სხდომა

მეოთხე სხდომაზე კონფერენცია შეუდგა ცალკე კომისიაში წინასწარ დამუშავებულ სასწავლო გეგმის გარჩევას.

თავმჯდომარის—ამხ. მარიამ ორახელაშვილის წინადადებით გეგმა გარჩეულ იქნა ზოგადად და შემდეგ დაწვრილებით.

კონფერენციამ დაადასტურა კომისიის წინადადება, რომ პედაგოგიური ტეხნიკუმების პირველ ორ კურსზე უმთავრესი ადგილი დაეთმოს ზოგადი განათლების საგნებს, ხოლო ამ კურსზე იწარმოოს შერეული სწავლება—ზოგადი და პედაგოგიური საგნების, მეოთხე [illegible] კი დათმობილი ექნება პედაგოგიურ პრაქ[illegible]

პრინციპად მიღებულ იქნა აგრეთვე ის[illegible] მოება, რომ პედაგოგიური ტეხნიკუმების [illegible] დებენ მასწავლებლებს ოთხწლედებისათვის, [illegible]ლო დროებით შეიძლება კურსდამთავრებუ[illegible]ბი გაიგზავნონ მასწავლებლებათ 7 წლედებ[illegible]

სასწავლო გეგმის კურსობრივათ წაკ[illegible] შემდეგ გაიმართა

კამათი

ოზურგეთის პედ. ტეხნიკ. გამგე აღნ[illegible] რომ პროგრამებში ქართული ენის გ[illegible]ლებს ცოტა ადგილი ქვს დათმობილი (4 [illegible]) რაც ცუდ შედეგებს მოგვიტანს, რადგანა[illegible] წავლეებმა ქართული ენა საზოგადოთ [illegible] იციან. ორატორი მოითხოვს, რომ ქართ[illegible] დაეთმოს კიდევ ერთი საათი, რათა ეს [illegible] ჰყენებულ იქნეს მსოფლიო კლასიკო[illegible] სასწავლად.

ამხ. გურგენიძე აღნიშნავს საჭიროებას, რომ პროგრამაში აღინიშნოს ზოგიერთი მონათესავე საგნები [illegible] და [illegible] მოხმარდეს სხვა უფრო საჭირო საგნის შესწავლას.

გ. ნათაძე ასაბუთებს კლასიკური ლიტერატურის შესწავლის საჭიროებას და აღნიშნავს, რომ პროგრამებში უნდა [illegible] შეტანილი აგრეთვე საზოგადო მეურნეობ[illegible]

გოგუაძეც აუცილებლად სცნობს ქართული ენის სწავლების კარგად დაყენებას, ხოლო ამისათვის საჭიროდ არ თვლის საათების გამრავლებას, ვინაიდან ყველა საგნების სწავლება ქართულად სწარმოებს.

ამხ. მარიამ ორახელაშვილის სიტყვა.

კამათის დასასრულს [illegible] დასაბუთებული სიტყვით გამოდის ამხ. ორახელაშვილი.

იგი აღნიშნავს, რომ პროგრამაში აღნიშნულია მარტო სასოფლო [illegible], ხოლო იქ [illegible] ნათქვამი [illegible] მეურნეობაზე. გარდა ამისა პროგრამაში [illegible] შეტანილი ზოგადი და ახალგაზრდათა [illegible] საბჭოთა [illegible] და სხ.

კლასიკოსების შესწავლის შესახებ ორატორი ამბობს, რომ მათი [illegible] უფრო სასარგებლო იქნება რუსულად, ვინაიდან რუსულ ენაზე მდიდარი ლიტერატურა არსებობს საამისოდ.

კონფერენციამ მიიღო ორახელაშვილის შესწორებები.

მიხეილ ალექსის ძე ბაკუნინი

(გარდაცვალებიდან 50 წლის შესრულების გამო)

ცნობილი რევოლიუციონერი და ანარქისტი მიხეილ ალექსანდრეს ძე ბაკუნინი, რომელიც გარდაიცვალა 50 წლის წინ, 1876 წ. 1 ივლისს, მე-XIX-ე საუკუნის რევოლიუციონური მოძრაობის ერთი ყველაზე უფრო საინტერესო და ამავე დროს რთულ ფიგურათაგანია. ის თავიდან ბოლომდე წინააღმდეგობის განხორციელება, ამ წინააღმდეგობებით არის სავსე მისი ცხოვრებაც და მუშაობაც, მისი მოძღვრებაც და პირადი ხასიათიც.

მ. ა. ბაკუნინი

რუსი თავადი და ოფიცერი (დაიბადა 1814 წ. სოფელ პრემუხინში, ნოვოტორჟის მაზრა, ტვერის გუბერ.), ის 21 წლის ახალგაზრდა თავს ანებებს სამხედრო სამსახურს. ყოველგვარ საარსებო საშუალებას მოკლებული მიემგზავრება მოსკოვში და იქ არაჩვეულებრივი გულმოდგინებით ეწაფება გერმანულ ფილოსოფიას, განსაკუთრებით ჰეგელისას. ის თითქოს გრძნობს თავის არსებაში რაღაც ძლიერ ძალას, თითქოს ბუნდოვნად წინასწარ გრძნობს თავის მომავალ როლს, ის მიეშურება საზღვარ-გარეთ სულის შემხუთავი ნიკოლოზის რუსეთიდან [illegible] გონებრივ ძიების დროს, რომ [illegible] დასავლეთ ევროპას მოე[illegible] ბაკუნინი ფილოსოფიიდან გადადის პოლიტიკაზე. ეცნობა ყველა გამოჩენილ ოპოზიციონურ და რევოლიუციონურ მოღვაწეებს, პირველად გერმანიაში შემდეგ შვეიცარიაში, საფრანგეთში და ბელგიაში.

მან ჯერ კიდევ 1842 წელს წამოისროლა თავისი ცნობილი აფორიზმი, რომელიც შემდეგ ყველა ანარქისტების ლოზუნგად იქცა: **„დამრღვეველი სული არის ამავე დროს სული შემომქმედი".**

1848 წლის რევოლიუციის ორომტრიალში ბაკუნინი მთელი თავისი არსებით გადაეშვა. მისი განსაკუთრებული ოცნებაა რუსეთის და ავსტრიის მონარქიების ნანგრევებზე საერთო სლავიანთა რესპუბლიკის შექმნა. და როცა პარიზში მყოფ თვითმპყრობელი რუსეთის საელჩოს ფარული ჩაგონებით ვრცელდება ცილისწამება, თითქოს ის რუსეთის მთავრობის აგენტიაო, ბევრს სჯერა ეს, ვინაიდან ძალიან საკვირველი და გამოუცნობი ხდება ეს ფიგურა რუსი თავადისა და მემამულის, რომელიც არაჩვეულებრივი აღტყინებით გადაეშვა რევოლიუციაში, მოითხოვა უკიდურესი ზომების გატარება და ყველა სლავიანთა გაერთიანება, რასაც ნიკოლოზ პირველიც კი მოითხოვდა, მაგრამ ამ უკანასკნელს უნდოდა მათზე გაბატონება.

ბაკუნინი მხნეთ უძღვება ჩახშობილ რევოლიუციის ერთ-ერთ უკანასკნელ ეპიზოდს — 1849 წელს მომხდარ აჯანყებას დრეზდენში. მაგრამ ის ხელში უვარდება საქსონის და შემდეგ ავსტრიის მთავრობას. მას ორჯერ მიუსჯიან სიკვდილით დასჯას, მაგრამ ორივეჯერ აპატიებენ და, დაბოლოს, გადმოუგზავნიან ნიკოლოზ I-ს. პეტროპავლოვსკის და შლისელბურგის ჯურღმულების სამარისებურ სიჩუმეში ის სულიერად ეცემა. ვრცელ „აღსარებაში", რომელიც მან დასწერა მეფის სურვილის თანახმად, ის ნაწილობრივ გულწრფელად, ნაწილობრივ ნიკოლოზის გულის მოსაგებად, ინანიებს თავის რევოლიუციონურ მუშაობას. ხოლო ნიკოლოზის სიკვდილის შემდეგ მის მემკვიდრე ალექსანდრე II-ის ის აძლევს რევოლიუციონერი[illegible] რებელ თხოვნას პატიებ[illegible] [illegible] მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში რევოლიუციონერი ბაკუნინი და მეფის ჟანდარმებიც. ეს საიდუმლოება მჟღავნდება მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, რომელიც დაეპატრონა პოლიციის დეპარტამენტის არქივს.

ციმბირში გადასახლების დროს ბაკუნინი სარგებლობს თავისი ბიძის, ირკუტსკის გენერალ-გუბერნატორის მფარველობით, ემხრობა მას, როცა უკანასკნელი ბრძოლას იწყებს ძველი პოლიტიკური გადასახლებულების „დეკაბრისტების" და „პეტრაშევცების" წინააღმდეგ. ამავე დროს ის კვლავ ოცნებობს რევოლიუციონურ მუშაობაზე, გარბის იაპონიაში და ამერიკაში და 1861 წელს ჩადის ლონდონში, თავის ძველ მეგობრებთან გერცენთან და ოგარევთან, რომელნიც უშვებდენ ჟურნალ „კოლოკოლ"-ს.

ბაკუნინი, რომელიც მოექცა ევროპაში 50-იან წლების რეაქციის შემდეგ აღორძინებულ რევოლიუციონურ მოძრაობის პირობებში, როცა ძლიერდება მუშათა და ნაციონალური მოძრაობა, პოლონეთის 1863 წლის აჯანყების წინ —უკვე გრძნობს, რომ მან ნახა თავისი შესაფერი საქმე. აი რას სწერს მასზე თავისი ჩვეულებრივი ირონიით გერცენი: „ის დავობდა, ქადაგებდა, განკარგულებას იძლეოდა, ყვიროდა, სწყვეტდა, განაგებდა, რაზმავდა და იძლეოდა იმედს მთელი დღის და მთელი ღამის განმავლობაში. იმ იშვიათ წუთებში, რომელიც მას თავისუფალი რჩებოდა, ის მიაშურებდა თავის საწერ მაგიდას, გაასუფთავებდა პატარა ადგილს თამბაქოს ფერფლისაგან და იწყებდა წერას, სწერდა ხუთ, ათ, ხუთმეტ წერილს... მისი მუშაობა, უქმად ყოფნა, მადა და ყველაფერი დანარჩენი, როგორც გიგანტიური ახოვანება და მუდმივი ოფლი, ყველაფერი ეს ზეადამიანური იყო, როგორც თვითონ; თვითონ ის ფაფარაყრილ ლომს ჰგავდა".

1864 წელს ბაკუნინი მარქსმა მიიწვია პირველ ინტერნაციონალში, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობდა; ამ ინტერნაციონალში ბაკუნინმა სცადა დაეპირდაპირებია ამ ინტერნაციონალისათვის თავისი საკუთარი საიდუმლო საერთაშორისო „კავშირი რევოლიუციონურ [illegible]ციალისტებისა". ებრძოდა რა მარქ[illegible] [illegible] ბაკუნინმა თავისი „კავშირის" წესდებაში თავის თავს ამ კავშირის დიქტატორად ამზადებდა. შემდეგ ბაკუნინი გაეცნო რუს რევოლიუციონერს ნეჩაევს, შეადგინა მისთვის „რევოლიუციონური კატეხიზისი", რომელიც თავიდან ბოლომდე გაჟღენთილი იყო იეზუიტური დამოკიდებულებით როგორც მტრების, ისე თანამოაზრეების მიმართ, რევოლიუციონური ორგანიზაციის ფარულ ხელმძღვანელების ვიწრო ჯგუფის გამოკლებით. ბაკუნინი ჩამოშორდა ნეჩაევს მას შემდეგ, რაც უკანასკნელმა სერიოზულად მიიღო ბაკუნინის რჩევა-დარიგება და თავისი მოტყუების, მისტიფიკაციის, შანტაჟის და ტერორის სისტემით თანამოაზრეების და თანამგრძნობთა მიმართ აღაშფოთა არა მარტო ევროპის „პროგრესიული" საზოგადოებრივი აზრი, არამედ აგრეთვე რუსეთის რევოლიუციონური ახალგაზრდობაც. დაბოლოს, ბაკუნინი, — რომელსაც განსაცვიფრებლად შეეძლო თავისი რევოლიუციონური ენტუზიაზმით, თავისი აღტყინებით და ნებისყოფის სიმტკიცით მის ახლო მდგომ ახალგაზრდობის და სხვადასხვა ქვეყნის მუშების თანაგრძნობის დაპყრობა, რომელსაც შეეძლო თავგამოდებულ და ერთგულ თაყვანისმცემელთა და თანამოაზრეთა გაჩენა,—თავისი აუტანლობით, იჭვიანობით და დესპოტიზმით ჰკარგავდა თავის მეგობრებს და მიმდევრებს, თითქმის უ[illegible] რჩებოდა.

და მიუხედავად ამისა, მისი ძალა, დაუშრეტელი ენერგია და მისდამი მიმზიდველობა ზოგიერთ სახელმწიფოს მუშათა მოძრაობის მოღვაწეებს შორის 60-იან წლების ბოლოს და 70-იან წლების დასაწყისში ისეთი იყო, რომ 1872 წელს ბაკუნინის ინტერნაციონალიდან გამორიცხვამ დიდათ შეუწყო ხელი ინტერნაციონალის გაყოფას ორ ნაწილად, ბაკუნისტურად და მარქსისტულად.

ბაკუნინის მთელი მსოფლმხედველობა, მისი ფილოსოფიური და საზოგადოებრივი შეხედულებანი, მისი ანარქისტული მოძღვრება სავსე იყო წინააღმდეგობებით, როგორც მისი ცხოვრება, მუშაობა და ხასიათი. მიუხედავად იმისა, რომ ის თავისთავს „მატერიალისტად" და ისტორიის მარქსისტულ-მატერიალისტურად გაგების „მომხრეთ" სთვლიდა, ამავე დროს ამტკიცებდა, რომ „სანამ არსებობს განათლების ორი ან რამოდენიმე საფეხური საზოგადოების სხვადასხვა ფენებისათვის, მანამდე კლასები აუცილებლად იარსებებენო"*). ე. ი. ის განსხვავებას განათლების მხრივ სთვლის კლასების არსებობის მიზეზად და არა პირიქით. ბაკუნინის ამ ისტორიული იდეალიზმით არის გაჟღენთილი მთელი მისი ანარქისტული მოძღვრების ცენტრალური იდეაც: მისი აზრით, სახელმწიფო როდია საზოგადოების კლასობრივად დაყოფის და კლასობრივი ბრძოლის ნაყოფი, რომელიც თავისთავად უნდა მოკვდეს, რადგან საჭირო არ იქნება კლასების მოსპობის შემდეგ; არა, სახელმწიფო ბაკუნინისათვის—ეს არის დამოუკიდებელი ბოროტება, მიზეზი საზოგადოების კლასებად დაყოფისა და კაცობრიობის ყველა უბედურებათა. ამიტომ ის პირველ ყოვლისა უნდა დაინგრეს და შეიცვალოს „თავისუფალ თემების თავისუფალ კავშირით". დაბოლოს თეორიაში ის გულწრფელი ინტერნაციონალისტი იყო, ოცნებობდა ყველა ხალხთა ძმობაზე, მაგრამ მიუხედავად ამისა ბაკუნინს ეჯავრებოდა გერმანელები და განსაკუთრებით ებრაელები, მის გამოსვლებს მარქსის წინააღმდეგ ხშირად უაღრესად უხეში ანტისემიტიზმის ხასიათი აქვს.

ყველა ამ წინააღმდეგობათა შემდეგ, რითი აიხსნება ის უდიდესი გავლენა, რომლითაც ბაკუნინი სარგებლობდა 1-ლი ინტერნაციონალის ეპოქაში, ის თაყვანისცემა, რომელიც მან დაიმსახურა ბევრ ევროპიელ და რუს რევოლიუციონერებში, ის ლეგენდა, რომელიც მისი სახელის გარშემო შეიქმნა? ბაკუნინი იყო წვრილბურჟუაზიული რევოლიუციონერობის ჭეშმარიტი წარმომადგენელი, იყო იმათი იდეოლოგი, ვისაც ნაცარ-ტუტად აქცევს კაპიტალიზმის სიმძიმე, ვისაც არ შეუძლია პროლეტარიატის დასარაზმავად ხანგრძლივი და შეუპოვარი მუშაობა, ვისაც სჯერა, რომ მოხდება სასწაული და დაუყოვნებლივ „დაინგრევა" სახელმწიფო და მთელი ბურჟუაზიული ცივილიზაცია.

კლასიურად გადაგვარებულ თავადსა და ინტელიგენტს—ბაკუნინს მხარს უჭერდა მასავით კლასიურად გადაგვარებულივე ინტელიგენცია დასავლეთ ევროპაში და რუსეთში, მუშათა კლასის ყველაზე უფრო მოუთმენელი და ნაკლებ გამობრძმედილი ელემენტები და ნაწილობრივ კაპიტალის და სახელმწიფო მოხელეების მიერ განაწამები გლეხური სტიქია. ამიტომ ბაკუნიზმი ყველაზე უფრო ისეთ ქვეყნებში ვრცელდებოდა, სადაც მუშათა მოძრაობა სუსტი და ნაკლებ ჩამოყალიბებული იყო, სადაც რევოლიუციონერები, მაშასადამე, არ ემყარებოდენ კლასობრივი კოლექტივების ძლიერებას, რომელთაც არ ესმოდათ, თუ ამ კოლექტივის ხელში რამდენად ძლიერი იარაღი იქნებოდა სახელმწიფო ხელისუფლება გამარჯვების შემდეგ. მაგრამ გამოხატავდა რა განსაზღვრულ საზოგადოებრივ ურთიერთობას, წარმოადგენდა რა კლასიურად გადაგვარებული ინტელიგენციის რევოლიუციონურ ელემენტების და პროლეტარიატის ჩამორჩენილ, ანუ აგრეთვე კლასიურად გადაგვარებულ ფენების იდეოლოგიას,—ბაკუნიზმი სარგებლობდა გავლენით აგრეთვე იმის გამო, რომ მისი ბელადი დიდ რევოლიუციონურ პიროვნებას წარმოადგენდა, ვინაიდან, როგორც ბელინსკიმ აღნიშნა 1842 წელს, როცა ბაკუნინი პირველად გამოვიდა საზღვარგარეთ პრესაში: „მიშელი ბევრშია დამნაშავე და შემცდარი; მაგრამ მასში არის რაღაც ისეთი რამ, რაც ჩრდილავს ყველა მის ნაკლოვანებებს; ეს არის მის სულის სიღრმეში მყოფი მუდამ მოძრავი საწყისი"; სხვანაირად რომ ვსთქვათ—მისი გულწრფელი, ღრმა და გატაცებული რევოლიუციონერობა.

ბაკუნიზმის მთავარი იდეა, მისი ანარქიზმი საბოლოოდ დაასამარა ოქტომბრის რევოლიუციის და სამოქალაქო ომის დიდმა გამოცდილებამ, მაგრამ ბაკუნინის სახე, როგორც რევოლიუციონერის, როგორც მუდმივ მეამბოხეს ღმერთისა და ბურჟუაზიულ სახელმწიფოს წინააღმდეგ,—კიდევ დიდხანს იქნება შესწავლის საგანი.

ბ. გ.

---

*) იხ. მისი „Избранные сочинения" ტ. IV გვ. 49.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

მეტი ყურადღება შრომის დაცვას

ალაგ ზოგიერთი სამეურნეო ორგანოები მომჭირნეობის რეჟიმის გატარების მიზნით ამცირებენ შრომის დაცვისთვის საჭირო ხარჯებს, რაც მომჭირნეობის რეჟიმის არასწორ გაგებას ნიშნავს.

შრომის დაცვის რიგიანად დაყენება წარმოადგენს ერთს მნიშვნელოვან ღონისძიებას შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად. შრომის დაცვის პრაქტიკამ და მისმა მეცნიერულად შესწავლამ ცხადჰყო რომ შრომის ნაყოფიერების გადიდება პირდაპირ დამოკიდებულია იმ პირობებისაგან, რომელშიდაც მუშას უხდება მუშაობა. რამდენად საქმე რაციონალურად არის დაყენებული, რამდენადაც უკეთესია შრომის სანიტარულ-ტეხნიკური პირობები, იმდენად ნაკლებია მუშათა დაავადმყოფების პროცენტი, ნაკლებია პროფესიონალური ტრავმატიზმის შემთხვევები, იმდენად მეტია მშრომელი მასსების სიცოცხლის ხანგრძლივობა.

დღევანდელს ამოცანას წარმოადგენს შრომის საწარმოო პირობების და საერთოდ მუშათა ყოფაცხოვრების გაუმჯობესება, რომ ამ მიზნით მიღწეულ იქნეს შრომის მაქსიმალური ნაყოფიერება.

შრომის სახალხო კომისარიატი შრომის ინსპექციის საშუალებით იღებს ყოველგვარ ღონისძიებებს წარმოებათა სანიტარულ-ტეხნიკურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. აქ აუცილებელი ხდება მუშათა და პროფორგანოების მხრივ დახმარება და ხელის შეწყობა, რადგან მათ გარეშე ინსპექციას გაუჭირდება მუშაობა.

ვინაიდან შრომის დაცვის კომისიების მუშაობას ფაბრიკა-ქარხნებსა და დაწესებულებებში დიდი მნიშვნელობა აქვს, საჭიროა:

1) კომისიების ავტორიტეტის ამაღლება ადმინისტრაციის და მუშების თვალში, 2) საქარხნო და ადგილკომების მხრივ მეტი ყურადღება კომისიების მუშაობისადმი; 3) კომისიების შედგენა ყველაზე აქტიური და შეგნებული მუშებისგან.

ამ პირობების დაცვა აუცილებლად უზრუნველჰყოფს კომისიების წარმატებულ მუშაობას—რაც აუცილებლად გაადიდებს შრომის ნაყოფიერებას და ასწევს მუშის შრომის უნარიანობას.

ლ. ქ.

ა.-კ. მებამბეობის კომიტეტში

მომჭირნეობის რეჟიმის გატარების მიზნით, ა.-კ. მებამბეობის კომიტეტში შემცირებულ იქნა საკომპენსაციო ფულის მიცემა გამოუყენებელ შვებულებისათვის. [illegible] იქნა თანამშრომელთა ტელეფონებისაგან, როგორც კომიტეტის სამმართველოში, ისე თანამშრომელთა ბინებზე. დამუშავებულ იქნა აგრეთვე მებამბეობის კომიტეტის მიერ საქალაქთაშორისო—ტელეფონის სარგებლობის წესები. შემცირებული იქნა საფოსტო-სატელეგრაფო ხარჯები. საკანცელარიო ხარჯების დარგში გამომუშავებული იქნა ხარჯების თვიური ნორმები, რაც იწვევს წელიწადში 8.220 მანეთის ეკონომიას. შემცირებულ იქნა აგრეთვე სამივლინებო ხარჯები 5.500 მან. ალაგ-ალაგ შემცირებული იქნა მებამბეობის კომიტეტის აპარატები ადგილებზე. ავტომობილის მოხსნამ გამოიწვია 2.143 მან. ეკონომია.

აბრეშუმის ამოსახვევი ქარხანა თელავში

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

დღეიდან თელავში მუშაობას იწყებს აბრეშუმის ამოსახვევი ქარხანა.

ბაღების, ვენახების და წალკოტების ქალაქში ამართა მაღალი ანძას მსგავსი წითელი მილი ქარხნისა, რომელიც ცეცხლის სვეტივით მოსჩანს კახეთის მწვანე, დაბურულ ხეივნების [illegible].

იგი პირველი ნიშანია კახეთის ინდუსტრიალიზაციისა, მხარის ეკონომიური აღორძინებისა.

ძველად კახეთი განთქმული იყო მეაბრეშუმეობით. ამას აღნიშნავდენ ყველა ძველი ისტორიკოსებიც.

საშუალო საუკუნოებში დაპყრობილი კახეთი თავის ყოველწლიურ ხარკს, გასახადს სპარსეთისა და ოსმალეთისათვის ხშირად აბრეშუმით იხდიდა. ამიტომ კახეთის აბრეშუმი მთელ აზიაში განთქმული იყო.

მაგრამ იმ ტრაგედიის შემდეგ, რომელიც კახეთმა განიცადა 1617 წლიდან, როცა კახეთს გული ამოჰგლიჯა შაჰ-აბაზმა, მეაბრეშუმეობის კულტურაც შესამჩნევად მოსპო.

შაჰის ბრძანებით გადაჩეხილ იქმნა თუთის (ბჟოლა) ტყეები და ბაღები, რაც კახეთისთვის მის დოვლათიანობის წყაროს მოსპობას სიმდიდრის აკლებასთან ერთად.

მაგრამ მოსახლეობა დღესაც ძველის მიხედვით მისდევს მეაბრეშუმეობას, რასაკვირველია არა ძველებური მასშტაბით.

ამიტომ დიდათ მნიშვნელოვანია დღეს კახეთში აბრეშუმის ამოსახვევი ქარხნის აგება, რაც მეაბრეშუმეობისათვის ხელის შეწყობა [illegible] ადგილობრივი გლეხობა დიდათ ახარებს.

მე ვინახულე უზარმაზარი ლამაზი შენობა ქარხნისა. რამდენიმე ხნის წინად, იგი აუშენებია ზაქათალელ ზოკს—დროისა და ქარხნის მოწყობაც სდომებია, რომ ომმა და რევოლუციამ ძირშივე მოსპო მისი „კეთილი სურვილები“ კახეთის მრეწველობის აყვავებისა.

შემდეგ საქართ. სახ. მეურნ. მაღლისაბჭო შესდგომია ამ შენობის განახლებას, გაფართოებას და მოწყობას.

სანიტარული პირობების დასაკმაყოფილებლად საგრძნობლად დაუწევია ძირს, რაც აუცია და შიგ ჩაუდგამს 1200 ტონი—მანქანა, რომლის საშუალებითაც, აბრეშუმის პარკი [illegible], ქაფებით იხვეწება და [illegible] ხდება.

დიდი ტრიალი და ფუსფუსია ქარხანაში, მაგრამ ამოდენა ხალხში ერჩევა [illegible] ფიგურა ს. მ. უ. ს. თავმჯდ. მოადგ. ამხ. ბენო კალანდაძე.

— ეს ქარხანა მოვაწყვეთ ახალ ქარხნების მსგავსად და ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვით.

— გვეუბნება ამხ. კალანდაძე,

— ასეთი ქარხანა არაა საქართველოში, ხონის და ოზურგეთის, რაც შეეხება ძველი ზუგდიდის ქარხანას, იგი თავისი მოწყობილობით უკვე დაძველებულია.

— აი, ქვემოდ, ვენახის ბოლოზე—პატარა ჰიდრო-სადგურს ვაწყობთ ქარხნისათვის, აქ ღუმელს გავაკეთებ, იქიდან წყალი გამოგვყავს სისწრაფით გვაძლევს განმარტებას დაუდგრომელი ბენო კალანდაძე და თან დავყვევართ კუთხიდან კუთხემდე.

სწვიმს კოკისპირულად, მაგრამ მისთვის ალბად არ სწვიმს, რომ მივყევართ ვენახში ჰიდრო სადგურის ადგილის საჩვენებლად.

— თითონაც თურმე მუშა ყოფილა!

— მერე რა მხნე, რა გამრჯელი!

— და განა არ სჩანს, კაცო, ერთხელ არ დაჯდება, არ დაისვენებს. აი, მაგისთანა ხალხი რას არ შესძლებს,—ჩურჩულებენ კახეთის გლეხები და თან სიამოვნებით შეჰყურებენ იმ უცხო ადამიანს, რომელიც მოსულა მათი ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

— ქარხანაში იმუშავებს ცვლით 250 მუშა ქალი—გვეუბნება ამხ. ბენო.

მეტად საგულისხმოა ვენახში საბოსტნე კვლები:—აქ ბჟოლის (თუთის) ხეები დათესილი. ხომ იცით კახეთში რა ნაკლებობაა საკვები ბჟოლის. მისი ფურცლის მოსატანად გლეხები ხშირად 10—15 ვერსზე მიდიან. ხშირად ვერც შოულობენ და თუ იშოვეს, რამოდენიმე დღისა ერთად მოაქვთ გზის სიშორის გამო.

ცხადია, ფურცელი დიდხანს ვერ ინახება და მეორე, მესამე დღის გლეხს ჭიისათვის უკვე მოაქვს მჭკნარი და მზისგან დაშრეტილი ფურცელი. რა სავარგისია სათუთისა და ნაზი ჭიისათვის?

— ძველად კახელები მისდევდენ თუთის ხის გაშენებას, ახლა უმოწყალოდ იჩეხება, თორემ ახლად არავინ ჰრგავს. ამ პატარა კვლებით ირგვლივ ბჟოლის ბაღები უნდა მოვაშენოთ და გლეხობაში გადასარგავადაც დავარიგოთ.

თავისთავად ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ პატარა ბოსტნის კვლებს კახეთის მეაბრეშუმეობისათვის.

ქარხანა აგებულია ჩრდილოეთით, თელავის ქვემო უბანში, რომელსაც ზემოდან გადმოჰყურებს ძველი თელავი თავისი ციხე გალავნები ბასტიონებით, ირაკლისა სახლითურთ აქ ძალაუნებურად შედარებას მიმართავ.

პირველი—ძველი საქართველო: დახავსებული კედლებით, პირდაღებული ნანგრევები, წამებისა, სისხლის და მონობის მოწმე.

მეორე—ახალი საქართველო—სასახლე მშვიდობიანი შრომის, სახლი შემოქმედების, სახლი კომუნისტური რესპუბლიკის.

ქარხნის ორთქლი ცხელ გუნდებათ უკვე შევარდა კახეთის განებივრებულს ცაში, დღეს დაჰყვირებს მჭრელი ხმაინი საყვირიც და საუკუნოებით მიძინებულს და სიზმარიან ალაზანის ველს—მყუდროებას შეუშფოთებს—ეს მახარობელი ქვეყნის აყვავების.

ორას ორმოცდაათი კახელი მშრომელი ქალი თავჩაღუნული მუშაობს, ქარხანა გუგუნებს და ყვითელი აბრეშუმის შოლოს ნაკეცები კარში იფინება ოქროს ზოლებივით...

ლეო.

კოოპერაციის დღისათვის

კოოპერატიული ორგანიზაციები უკვე შეუდგენ კოოპერაციის საერთაშორისო დღისათვის მზადებას.

ზოგიერთ კოოპერატიულ ორგანიზაციებს უკვე შემუშავებული აქვთ ამის ჩატარების გეგმა.

კერძოთ ცეკავშირმა ამ ჩატარებისათვის თავის მოკავშირე ორგანიზაციებს დაუგზავნა ცირკულიარი, რომლით ამ უკანასკნელებმა უნდა იხელმძღვანელონ დღის ჩატარების დროს. ცირკულიარი იწყება შემდეგი სიტყვებით:

„გაცნობებთ რა ყველა ზე აღნიშნულს ცეკავშირი იმედოვნებს, რომ [illegible] ჩაატარებთ ამ დღესასწაულს [illegible] ლებით, რომ თქვენ მიერ [illegible] ამ დღისთვის და საერთოდ [illegible] ჩატარების შედეგები გვაცნობოთ უახლოეს ხანებში“.

მეცხვარეთა კოოპერატიული კავშირი „მწყემსი“ ამ დღეს აპირებს მოხსენებების ჩატარებას მეცხვარეთა შორის ახალქალაქის და თელავის მაზრებში, სადაც ისინი იმყოფებიან ამჟამად საზაფხულო საძოვრებზე. მოხსენებების დროს მეცხვარეებს განუმარტავენ კოოპერაციის დღის მნიშვნელობას, კოოპერაციის იდეებს და სხვა.

ა. კ. რკ. გზ. სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოება („ზაკტპო“) კოოპერაციის საერთაშორისო დღეს ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის რკინისგზელთა კლუბში (ყოფ. მუშტაიდი) მართავს საზეიმო კრება-მიტინგს, რომელზედაც გაკეთებული იქნება შესაფერი მოხსენება. მიტინგის შემდეგ გაიმართება წარმოდგენა—დაიდგმება კოოპერატიული შინაარსის 3 მოქ. პიესა „კანდიდატი“.

ადგილობრივი ბიუჯეტი

ა.-კ. ფინ. სახ. კომისარიატის მოხსენების თანახმად, ა.-კ. ეკონომიურმა საბჭომ გამოიტანა დადგენილება ადგილობრივი ბიუჯეტის დებულებისა და შედგენის შესახებ. ეკონომიურმა საბჭომ აღ[illegible] შეუთანხმებლობა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლო და საგასავლო ნაწილებს შორის: [illegible] ორგანოების [illegible] ლობა ჩამოურჩება ხალხის საჭიროებისთვის აუცილებელ ხარჯებს. ამით ადგილობრივი ბიუჯეტები შედგენილია დეფიციტით, რომელიც [illegible] სანახევროდ. ამან კი [illegible] ადგილობრივ ბიუჯეტის საგასავლო [illegible] შემცირება; ვინაიდან ხელფასის [illegible] ბელი არის, საგასავლო [illegible] გავლენა იქონია სამეურნეო [illegible] მუშაობაზე. ა.-კ. ეკონომიური საბჭო საჭიროდ სცნობს დამტკიცებულ იქნეს [illegible] იხელმძღვანელონ საბიუჯეტო [illegible] დაწყებისთანავე. საბიუჯეტო [illegible] ზე დაიწყოს [illegible] კანონმდებლობის წესით ამ თავითვე განისაზღვრის. როგორც ადგილობრივ, ისე სახელმწიფო შემოსავალ-გასავალი იმ მიზნით, რომ ბიუჯეტები შედგენილი იქნეს უდეფიციტოდ და ბიუჯეტის შედგენის დროს ადგილები ხელმძღვანელობდენ მიცემული დირექტივებით. ქსელი უცვლელად უნდა დარჩეს. უცვლელი უნდა დარჩეს აგრეთვე ხელფასის ფონდი. ხელფასის გადიდება ნებადართულია მხოლოდ შტატების შემცირებით. საბჭოს მიერ მიზანშეწონილად არის ცნობილი აგრეთვე ადმინისტრატიულ ერთეულთა გადასინჯვა მათი შემცირების მიზნით. ეკ. საბჭო საჭიროდ სთვლის აგრეთვე რესპუბლიკანური და სამაზრო მოწესრიგების ფონდების შექმნას. მოწესრიგების რესპუბლიკანური ფონდები იქმნება სამრეწველო გადასახადის ანარიცხით, ხოლო სამაზრო ფონდები—სასოფლო-სამეურნეო გადასახადის 30-პროცენტიანი ანარიცხით. მოწესრიგებისა და სასუბვენციო ფონდების განაწილება სახალხო კომისართა საბჭომ და ადგილობრივმა აღმასკომებმა უნდა მოახდინონ ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენის დროს.

ცეკავშირი

ფართალი მეაბრეშუმეებს

ცეკავშირმა მოსკოვში შეიძინა ვაგონი ფართალი. იგზავნება აბრეშუმის [illegible] რაიონებში იმ სამომხმარებლო კოოპერატივების სახელზე, რომლებიც აწარმოებენ დამზადებას.

გარდა ამ, მოსკოვში ცალკე შეძენილ ფართლისა, აღნიშნულ [illegible] ნებს ექნება დამატებითი ფართალი ჩვეულებრივი ნორმიდან.

ჭურჭლეულის [illegible]

ცეკავშირმა „პროდ[illegible]“ მიიღო ერთი ვაგონი ჭურჭლეულობა. [illegible] კოოპერატივებს შორის [illegible] ჭურჭლეულობით [illegible] ვაგონი ამჟამად იმყოფება გზაში.

მაკარონი

ცეკავშირმა მიიღო ერთი [illegible] მაკარონი კავკავიდან და იგი უკვე განაწილებულ იქნა კოოპერატივებს შორის. [illegible] მეორე ვაგონი ამ დღეებში იმყოფება.

[illegible]

ცეკავშირმა შეიძინა [illegible] სათვის 8 ვაგონი [illegible], რომლებსაც იქნება ამა წლის [illegible].

ხელშეკრულება [illegible] სინდიკატთან

ცეკავშირმა დასდო [illegible] სინდიკატთან ახალი ხელშეკრულება [illegible] საჭიროებისათვის—500.000 ფუთის მომარაგების შესახებ.

ფქვილი

ცეკავშირმა დასდო ხელშეკრულება პურის [illegible] დამამზადებელ ორგ. ჩრდილო-კავკასიიდან ყოველთვიურ 100—150 ვაგონამდე ფქვილის შემოტანაზე.

სიმინდი

ცეკავშირმა დამზადა აზერ. კოოპერატივებისათვის [illegible] ვაგონი მათ [illegible] ერთი ვაგონი სიმინდი.

ექსპორტი და იმპორტი

ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარის რწმუნებულის სამმართველომ შეიმუშავა 1926-27 წლის საიმპორტო-საექსპორტო გეგმა, რომელშიაც აღნიშნულია, თუ რა საქონელი უნდა იქნეს შემოტანილი საქართველოში ადგილობრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

გეგმაში გათვალისწინებულია აგრეთვე საქართველოს საექსპორტო შესაძლებლობა; ჩამოთვლილია ის პროდუქტები, რომელთა გატანა შეიძლება საქართველოდან საზღვარ-გარეთ.

ამას გარდა შემუშავებულია სასოფლო-მეურნეობის საიმპორტო გეგმა 1926-27 წლისათვის, რომელიც ამ დღეებში გადაგზავნილი იქნება ცენტრში.

გამოფენაზე

ექსკურსიები

გუშინ გამოფენის დასათვალიერებლად თბილისში ჩამოვიდა 6 გლეხი გორის მაზრიდან, 30 თბილისის მაზრიდან და 11 აფხაზეთიდან.

გამოფენის დასათვალიერებლად გორიდან თბილისში ჩამოვიდა 5 წითელარმიელი.

ახალი ექსპონატები

გამოფენაზე მიღებულია ორი გარმახული ფირმის დაგვიანებული ექსპონატები; ექსპონატების დიდი ნაწილი მეღვინეობა-მევენახეობის დარგიდანაა.

ექსპონატების შეძენა

ამიერ-კავკასიის დატვირთვა-გადმოტვირთვის სააქციო საზ-ბამ გადასწყვიტა შეიძინოს გამოფენაზე გამოტანილი კრუპის ორი საბარგო ავტომობილი.

ექსკურსიების მიღების ვადა

[illegible] ექსკურსიების მიღების უკანასკნელ ვადად დაწესებულია ივლისის 15.

ა.-კ. წყალთა მეურნეობა

ამიერ-კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის 1926—27 წლის ხარჯთ-აღრიცხვა 11.050.000 მანეთის რაოდენობით; ეს თანხა უნდა მოხმარდეს სამუშაოების წარმოებას და ცენტრალური და რესპუბლიკანური აპარატების შენახვას.

ირიგაციის ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმის ცხრილები ამიერ-კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ იცნო წინასწარ საორიენტაციო მასალად, რომელიც კიდევ უნდა დამუშავდეს.

ა.-კ. ფინსახკომს წინადადება მიეცა ბიუჯეტის შედგენის დროს იხელმძღვანელოს ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მასალებით.

ამავე დროს ამიერ-კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ აუცილებლად სცნო, რომ ამიერ-კავკასიის 1926—27 წლის ბიუჯეტში შეტანილი იქნეს თანხები წვრილი სამუშაოების საწარმოებლად, რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამართველოების შტატების შესანახავად და სამეცნიერო—გამოკვლევითი მუშაობის საწარმოებლად.

სამთო-მადნო მრეწველობა

არტანის სპილენძის მადნები

სოფელ არტანის, შილდას და ფშაველის (თელავის მაზრა) მახლობელ მიდამოებში მოიპოვება სპილენძის იშვიათი მადნები, რომელიც შეიცავენ 10-15 პროცენტს ხალასს სპილენძს. ამ მადნების გამოკვლევა დაიწყო ჯერ კიდევ 1910 წელს, ხოლო 1911-12 წლებში მადნების ექსპლოატაცია დაიწყო საფრანგეთის კერძო კამპანიამ. ამ კამპანიის მუშობა დიდხანს არ გაგრძელებულა. და ამჟამად მადნების მდიდარ არტანის რაიონში მუშაობის კვალიც აღარა სჩანს. კამპანიას მუშაობა შეუწყვეტია მსოფლიო ომის გამოცხადების პირველ წელიწადსვე.

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭომ გადასწყვიტა განაახლოს არტანის სპილენძის მადნების ექსპლოატაცია. ამ მიზნით მოწვეულ იქნა ცნობილი გეოლოგი ინჟინერი კონიუშევსკი, რომელსაც დავალებული აქვს არტანის, ფშაველის და შილდას მადნების დაწვრილებით გამოკვლევა და შესწავლა.

ამჟამად ექსპედიცია, რომელშიაც შედის 4 გეოლოგი და რამოდენიმე სტუდენტი-პრაქტიკანტი, ინჟ. კონიუშევსკის ხელმძღვანელობით მუშაობს ზემოხსენებულ სოფლების მახლობლად მდებარე სპილენძის მადნების გამოსაკვლევად. ექსპედიციის მუშაობა გაგრძელდება თვე-ნახევარს.

აფხაზეთის მრეწველობა

მუშაობა აფხაზეთის მრეწველობის განსავითარებლად დაიწყო 1925 წელს. სწორედ ამ წელს აფხაზეთში გადაგზავნილ იქნა თამბაქოს ქარხნის და სპირტის სახდელი ქარხნის მოწყობილობა. ამ ქარხნების მოწყობის შემდეგ შესაძლებელი გახდა აფხაზეთის მთავარი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის—თამბაქოს სამრეწველო დამზადება და სიმინდის და ყურძნის სპირტად დამუშავება.

აფხაზეთის მრეწველობის 1925-26 სამეურნეო წლის პირველ ნახევრის ნაყოფიერების 1924-25 წლის ნაყოფიერებასთან შედარება გვიჩვენებს, რომ ამჟამად აფხაზეთის მრეწველობა განვითარების და ზრდის პროცესში იმყოფება.

ასე მაგ. მიმდინარე წლის ექვსი თვის განმავლობაში ნამუშევარ ადამიან დღეთა რიცხვი უდრის—31.331-ს, 1924-25 წელს კი ნახევარ ადამიან დღეთა რიცხვი მთელი წლის განმავლობაში აღწევდა—37.699; რაც შეეხება პროდუქციის დამუშავებას, მიმდინარე წლ. პირველ ნახევრის პროდუქციამ გადააჭარბა მთელი გასავლელი წლის პროდუქციას. მიმდინარე წლის პირველ ნახევრის პროდუქციის ღირებულება უდრის—374.122 მანეთს,—გასულ წელს კი—368.010 მანეთს არ აღემატებოდა.

აღსანიშნავია აგრეთვე შრომის ნაყოფიერების ზრდა წარმოებებში. პროდუქციის საშუალო დამუშავება ყოველ დღის ერთ ადამიან დღეზე შეადგენს ამჟამად 11 მან. 90 კაპ., შარშან კი შეადგენდა 9 მან. 20 კაპ. ამ ორი ციფრის ერთმანეთთან შედარება ცხადჰყოფს, რომ შრომის ნაყოფიერება 30%-ით გადიდებულა.

ამგვარად აფხაზეთის მრეწველობის განვითარების მტკიცე საფუძველი აქვს დადებული.

აფხაზეთის მრეწველობის განვითარების უახლოესი პერსპექტივები გულისხმობს სატყეო, თამბაქოს და სამთო-მადნო მრეწველობათა შეუჩერებლივ ზრდას.

სტატისტიკურ სამმართველოში

ა.-კ. სტატ. სამმართველოში ცენტრიდან მოსული ცნობით, ა.-კ. ყველა რესპუბლიკებში უნდა მოეწყოს აღწერათა-საგანგებო სამმართველოები. საქართველოსთვის ასეთი სამმართველო ეწყობა ა.-კ. სტატისტ. სამმართველოსთან.

ა.-კავკასიის მოსახლეობის დიდი დემოგრაფიული აღწერა დაიწყება ა.-წ. დეკემბერში.

ამავე ხანებში ა.-კ. ქალაქებში დაიწყება სამრეწველო და სავაჭრო აღწერა. 1927 წლის ზაფხულში მოხდება სასოფლო-სამეურნეო აღწერა.

გროზნო-ტუაპსეს ნავთსადენი

უახლოესი წლების განმავლობაში ნავთის ამოღების და ნავთის პროდუქტების ექსპორტის განვითარებამ აუცილებლობამ დღის წესრიგში დასვა გროზნოსა და ტუაპსეს შორის ნავთსადენის გაყვანის საკითხი. ნავთსადენის გაყვანის საკითხი დაკავშირებული იყო ნავთის საწმენდ ქარხნების მოწყობასთან შავის ზღვის განაპირად. ნავთსადენის გაყვანის საკითხი დადებითად იქნა გადაწყვეტილი. მაგრამ ნავთის ამოღების უახლოესმა პერსპექტივებმა და ფინანსიურმა დაბრკოლებებმა დღის წესრიგში დასვეს საკითხი თუ რამდენად დროულია ნავთსადენის გაყვანა. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა აღძრა საკითხი ნავთსადენის გაყვანის გადადების შესახებ უფრო ხელსაყრელ დრომდე. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის აზრით, ნავთის ამოღების რაოდენობა მახლობელ წლებში სრულებით არ საჭიროებს ნავთსადენის გაყვანის დაჩქარებას.

ნავთის მრეწველობის საბჭომ, გაეცნო რა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის აზრს, წერილობითი განცხადებით მიმართა განსაკუთრებულ თათბირს, რომელსაც დავალებული აქვს მრეწველობის ძირითადი კაპიტალის აღდგენის მოწესრიგება. საბჭო ფიქრობს, რომ მხოლოდ ნავთსადენის გაყვანა და ნავთის საწმენდი ქარხნების აგება შავი ზღვის განაპირად ხელს შეუწყობს ნავთის სამრეწველოების სწორად და რაციონალურად ექსპლოატაციას. ნავთის მრეწველობა მხოლოდ ამ შემთხვევაში შესძლებს თავისი პროდუქტების ექსპორტის გაძლიერებას.

წითელ ჯარში

მოსახლეობის გასამხედროება

(გურია)

მეხუთე ქართულ მსროლელ ლეგიონის მიერ მოწყობილია და ამუშავებული სამხედრო კუთხეები შემდეგ ადგილებში: ოზურგეთში, ლიხაურში, სუფსაში და ნაგომარში. კუთხეებში მოიძებნება საჭირო მასალა საქმის შესასწავლად.

მუშაობას კუთხეებში ხელმძღვანელობენ ხუთი კაცისაგან შემდგარი ბიუროები, რომელნიც იმუშავებენ სამეცადინო გეგმას და ადევნებენ თვალყურს მის ცხოვრებაში გატარებას.

ყურადღებას იპყრობს ოზურგეთის სამხედრო კუთხე, რომელიც მოთავსებულია ქალაქის და სამხედრო გაერთიანებულ კლუბთან.

კუთხეებში შემოღებულია მორიგეობა, ეწყობა კითხვა-პასუხის საღამოები.

კარგათ მუშაობს სამხედრო ცოდნათა შემსწავლი წრე, რომელსაც ჰყავს 50 წევრი.

კუთხესთან არსებობს აგრეთვე ქიმიის უჯრედი, რომლის შემწეობით მოქალაქენი ეცნობიან ქიმიის მნიშვნელობას.

ე.

სამხედრო სასწავლებლებში

თანახმად სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს დადგენილებისა, კურსანტების გამოშვება სამხედრო სასწავლებლებიდან მიმდინარე წელს მოხდება 15 სექტემბერს. კურსანტების მიღება აღნიშნულ სკოლებში იწარმოებს 1-15 ოქტომბერში.

ეროვნული უმცირესობანი ჩვენთან

(მე-6-ე ქართ. მსრ. ლეგიონი)

1902-3 წელში დაბადებულ ცვალებად წითელარმიელთა შეკრებამ მოგვცა დიდი რიცხვი ეროვნულ უმცირესობათა ახალგაზრდობისა. მათი რიცხვი უდრის 385 კაცს.

მათ შორის წერა-კითხვის უცოდინარი იყო 192 კაცი. ლეგიონში მოსვლისთანავე ეროვნულ უმცირესობათა არმიელნი გამოყოფილ იქნენ ცალკე ჯგუფებად და მიეჩინათ თავისი ეროვნების მასწავლებლები, რომელნიც აწარმოებდნენ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას.

პოლიტმეცადინეობა მიმდინარეობს მათ სამშობლო ენაზე ენების მცოდნე პოლიტხელების საშუალებით. ლეგიონს გამოწერილი აქვს გაზეთები სხვადასხვა ენებზე. კედლის გაზეთებში თავსდება ეროვნულ უმცირესობათა არმიელების წერილები.

სკოლის გარეშე განათლება მიმდინარეობს აგრეთვე მათ სამშობლო ენებზე: იდგმება პიესები, იმართება სხვადასხვა ხასიათის საღამო-გასართობები.

ე—ზ.

მოხალისენი წითელ ჯარში

მრავლად მოიპოვებიან ისეთი მოქალაქენი, რომლებსაც არ ეხებათ სამხედრო სამსახური და სურთ ნებაყოფლობით იმსახურონ წითელი ჯარის რიგებში.

არიან კიდევ ისეთი პირები, რომლებმაც მოიხადეს სავალდებულო სამსახური და სურთ დარჩენა ჯარში. ასეთი მოქალაქენი მიიღებიან წითელი ჯარის რიგის შემადგენლობაში წლოვანებით არა ნაკლებ 18 წლის და უმეტეს 34 წლისა.

მოხალისეთათვის დაკანონებულია ერთი წლის სამსახურის ვადა.

სამსახურის ვადის გათავების შემდეგ შეუძლიანთ დარჩნენ მოხალისეთ ჯარის რიგებში უნცროს მეთაუროთა საკადრო შემადგენლობის პირნი 35 წლის მიღწევამდე.

—ე.

ცვალებადელები „რემედასს“-ში და „ავიაქიმ“-ში

(მე-5-ე ლეგ. საკავშირო ასეული)

ჩვენ ასეულში შესდგა ცვალებადელთა საერთო კრება, რომელზედაც გაკეთებულ იქნა მოხსენება „რემედასს“-ის და „ავიოქიმი“-ს მნიშვნელობის შესახებ.

მოხსენებამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა წითელ-არმიელებზე. ცვალებადელებმა განაცხადეს სურვილი აღნიშნულ ორგანიზაციებში წევრებად შესვლის შესახებ. წევრებად ამავე დღეს ჩაეწერა თითქმის ნაწილის მთელი შემადგენლობა.

უჯრედებს აღნიშნულ ორგანიზაციებისა ჰყავთ ენერგიული ხელმძღვანელები, რომლებიც ეწევიან შესაფერ მუშაობას და აგიტაციას წევრთა რიცხვის გამრავლების მიზნით.

გ—ა.

გასამხედროების ფრონტზე.

(ქ. ბათომი).

ქ. ბათომში სამხედრო კუთხე მოწყობილია სანაპირო არტელის მუშათა კლუბში.

კუთხის გამგეთ გამოყოფილია ცვალებადი წითელარმიელი. N ლეგიონის მიერ სამხედრო საქმის საწარმოებლად მიმაგრებულია ოცეულის მეთაური.

კუთხის მუშაობის საღ ნიადაგზე დასაყენებლად შემდგარია ბიურო ხუთი წევრისაგან

ბიურო იმუშავებს ყოველთვიურ გეგმას კუთხეში ტარდება მოხსენებები, საუბრები და ხმამაღალი კითხვა.

ლეგიონის მიერ გამოყოფილია კუთხისათვის სამხედრო წიგნების საჭირო რაოდენობა.

კუთხეს მოსდის ყველა ქართული სამხედრო და სამოქალაქო გაზეთი.

—ს.

საქ. პოლიტექ. ინსტ. ახალი რექტორი

გუშინ საღამოს სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში პროფესორთა საბჭოს სხდომაზე არჩეული იქნა პოლიტეხნიკური ინსტიტუტის ახალი რექტორი და გამგეობა.

ახალ რექტორად ერთხმად არჩეული იქნა პროფ. მიხ. ნიკოლ. სმირნოვი.

შემდეგ არჩეული იქნა პოლიტეხნიკური ინსტიტუტის ახალი გამგეობა, რომელშიაც შევიდა 11 კაცი:

სმირნოვი, ზაიცევი, ზახაროვი, რაზმაძე, პიასეცკი, იუზბაშიანი, ზავრიევი, ასრიბეკოვი, ვინოგრადოვ-ნიკიტინი და ფროლოვი.

კანდიდატები: **გოლსტიანი, განი და კობახიძე.**

სია დასამტკიცებლად გადეცა განათლების სახალხო კომისარიატს.

ა.-კავკ. ეკონომიურ საბჭოში

სას. სამეურნეო კოოპერაციის რევიზია

ა.-კ. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ მიიღო და ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოში დასამტკიცებლად წარადგინა პროექტი დადგენილებისა სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის სავალდებულო რევიზიის შემოღების შესახებ.

დასასვენებელი სახლები

ამ.-კავკ. უმაღლესმა საბჭომ მიიღო და ა.-კ. ცაკში დასამტკიცებლად წარადგინა პროექტი დადგენილებისა იმის შესახებ, რომ აკრძალულ იქნეს საიჯარო ქირის აღება იმ შენობებიდან, რომლებშიაც პროფკავშირებს მოწყობილი აქვთ დასასვენებელი სახლები.

დებულება საკრედიტო დაწესებულებების შესახებ

ა.-კ. ეკონომიურმა საბჭომ მიიღო პროექტი დებულებისა საკრედიტო დაწესებულებების შესახებ და დაადგინა დაავალოს ამიერ-კავკასიის წარმომადგენლობას საბჭოთა კავშირის მთავრობასთან წარადგინოს პროექტი საკავშირო მთავრობის სათანადო ორგანოებში.

მეცხვარეები

ზარალის გამოკვლევა

საზოგადოება „მწყემს“-მა მოახდინა ნიაღვრებისაგან დაზარალებულ მეცხვარეთა გამოკვლევა.

გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ მეცხვარეთა თითოეულ ფარაში, რომელიც შესდგება 2—3 ათას ცხვარისაგან, დაიკარგა 500 სული ცხვარი.

ამჟამად კომისია იკვლევს მეცხვარეთა დაზარალებას ახალქალაქის რაიონში. გარდა აღნიშნულ კომისიისა ეხლა-ხან შესდგა ამავე მიზნით მთავრობის კომისია, რომლის მუშაობის დამთავრებისა და მეცხვარეთა დაზარალების გამორკვევის შემდეგ განზრახულია მეცხვარეთათვის დახმარების აღმოჩენა ზარალის დასაფარავად.

სათიბი მანქანები

გასულ ზამთარში მეცხვარეებს დიდი ზარალი მიაყენა საკვების უქონლობამ. წელს, რომ ეს გარემოება არ განმეორდეს და მეცხვარეებმა მოიმარაგონ საჭირო რაოდენობა თივისა, „მწყემსი“-ს საზოგადოებამ შირაქის ველზე მობინადრე მწყემსებს გადაუგზავნა [illegible] თივის სათიბი მანქანა თივის დასამზადებლად.

სხვათა შორის ეს პირველი მაგალითია მეცხვარეთა შორის.

აბრეშუმი

ერთი კვირის განმავლობაში საქართველოს ყველა კუთხეებში დამთავრდება აბრეშუმის პარკის მოწევა. წინასწარი ცნობებით წელს საქართველოში აბრეშუმის პარკის საუკეთესო მოსავალია, როგორც პარკის ღირსებით, ისე რაოდენობის მხრივ. ჩვენებური გრენისების მიერ დამზადებული აბრეშუმის თესლი მეტად კარგი ღირსების გამოდგა. ყველგან თესლი გამოვიდა სავსებით, გამოჩეკილი ჭიებიც სრულიად ჯანმრთელი გამოდგენ. განსაკუთრებით კარგი ღირსების პარკი იქნა მიღებული ქუთაისის, ოზურგეთის და სამტრედიის რაიონებში, სადაც კლიმატიური პირობები ხელს უწყობდენ აბრეშუმის ჭიების ნორმალურ მუშაობას.

უფრო ნაკლები ღირსების არის აბრეშუმის პარკი ზუგდიდის მაზრაში, სადაც ხანგრძლივმა გვალვებმა და სიცხემ შეაწუხა აბრეშუმის ჭიები.

აბრეშუმის წლევანდელი მოსავალი მიაღწევს 145 ათას ფუთს ნედლს პარკს. აქედან შინაური საჭიროების მოსამარაგებლად დაახლოებით 25 ათასი ფუთი; დარჩენილი 120 ათასი ფუთი გატანილ იქნება ბაზარზე შინაური მრეწველობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად და საზღვარგარეთ გასატანად.

ალაგ-ალაგ 15 ივნისიდან გლეხებმა დაიწყეს აბრეშუმის პარკის ბაზარზე გამოტანა 1 ივლისიდან დაიწყება პარკის მასიური შესყიდვა და დამზადება. შინავაჭრობის სახ. კომისარიატის მიერ პირველი ხარისხის პარკის ფასად დაწესებულია 22 მანეთი ფუთზე და მეორე ხარისხისთვის 20 მანეთი.

სუბტროპიკ. მცენარეები

სასოფლო-სამეურნეო სამმართველომ შეიმუშავა გეგმა დასავლეთ საქართველოში სუბტროპიკულ მცენარეთა მოსაშენებლად.

წინასწარ მოხდენილმა გამოკვლევებმა დაამტკიცეს, რომ დასავლეთ საქართველოს ბევრ რაიონებში საუკეთესო ნიადაგია ასეთი მცენარეების მოსაშენებლად.

პირველ ხანებში გადაწყვეტილია ჩაის დათესვა ასეთ ახალ რაიონებში. ამ საქმეში ჩაბმული იქნება სააქციონერო საზ-ბა „საქართველოს ჩაი“.

აგარაკები

უწერა

აგარაკი უწერა მდიდარია იშვიათი მინერალური წყლებით, რომელიც განსაკუთრებით უხდება მომნელებელი ორგანოებით დაავადებულ ავადმყოფებს. უწერის „მჟავე წყალი“ განთქმულია მთელს საქართველოში და ამიერ-კავკასიაში. ყოველწლიურად დასავლეთ საქართველოდან (განსაკუთრებით სამეგრელოდან) და ჩრდილოეთ კავკასიიდან აქ უწერაში სააგარაკოდ მოდიოდა რამოდენიმე ათეული ათასი კაცი. თავის დროზე კურორტი უწერა გვარიანად იყო მოწყობილი. იყო დასაბინავებელი სახლები. აბანოები, საბანაო აუზები და სხვა—ხანგრძლივი შეუკეთებლობის გამო საბანაო და სადგომი შენობები მოძველდენ და გაუვარგისდენ. ამჟამად აგარაკი უწერა საექსპლოატაციოთ გადაცემული აქვს სამაზრო აღმასკომს, რომელიც სეზონის დაწყებამდე შეუდგა აგარაკის საფუძვლიან შეკეთებას. თვეზე მეტია, რაც მიმდინარეობს გაცხოველებული მუშაობა დასაბინავებელ შენობების, აბანოების, აუზების და მინერალური წყაროების შეკეთება-მოწყობა. სამკურნალო სეზონი უწერაში იწყება ივლისის დამდეგს და გრძელდება ენკენისთვის დამლევამდე.

წყალტუბო

ამჟამად კურორტ წყალტუბოზე მიმდინარეობს გაცხოველებული სამშენებლო მუშაობა.

ორი კვირის წინად დაიწყო დიდი შენობის აგება ჰიგიენური აბანოს მოსათავსებლად. აბანოს ექნება ორი ქალთა და ვაჟთა განყოფილება.

აქვე ყველა ძლიერ რადიოაქტიურ წყაროებზე № 3, რომელსაც ადგილობრივ „კოდის წყალს“ ეძახიან, შენდება ახალი შენობა, სადაც მოთავსებული იქნება აბანო მარმარილოს ვანებით და ცალკე ნომრებით.

შენობის აგება დამთავრდება ივლისის შუა რიცხვებისათვის. ამჟამად კურორტის ყველა შენობები დაკავებულია სამკურნალოდ ჩამოსულ ავადმყოფების მიერ.

გლეხკომები

პირველ ივნისს დაწყებული კამპანია გლეხკომების გადასარჩევად დამთავრდება 15 ივლისისათვის. კამპანია მიმდინარეობს სოც-უზრუნ. კომისარიატის და გლეხ-მების ცენტ. კომიტეტის დირექტივების მიხედვით, ცენტრიდან მიცემული ინსტრუქციის თანახმად გლეხკომების რიცხვის შემცირების მიზნით გაერთიანებული უნდა იქნენ ახლომდებარე სოფლების წვრილი გლეხკომები ერთს მძლავრ ორგანიზაციაში. ყოველ მაზრაში გლეხკომის სამი ტიპის ნაცვლად (სამაზრო, სათემო და სასოფლო) მოეწყობა ორი ტიპის გლეხკომები—სასოფლო და სამაზრო. სათემო გლეხკომები სრულიად უქმდება. ყველა სასოფლო გლეხკომები უშუალოდ იქნებიან დაკავშირებული სამაზრო გლეხკომებთან.

გლეხკომების გადახალისების მიზანია აპარატის გაიაფება და გლეხკომის ცეკის 3 თვის ადგილებზე მუშაობის ხელმძღვანელობის შემსუბუქება.

ჰაერის გამოკვლევა

შრომის დაცვის სანიტარული სექციის ქიმიური ლაბორატორია შეუდგა თბილისის წარმოებებში ჰაერის გამოკვლევას.

ამ დღეებში ასეთი გამოკვლევა ჩატარდა არსენალის სახელოსნოებში.

წარმოებებში ჰაერის გამოკვლევის მიზანია გამორკვევა იმისა, თუ როგორ გავლენას ახდენს იგი მუშის სასუნთქავ ორგანოებზე და ან რა და რა მავნე ელემენტებითაა მოწამლული ჰაერი.

ასეთივე გამოკვლევა ჩატარდება ახლო ხანში თბილისის სხვა წარმოებებშიაც.

ახალი ტრესტი

თბ. აღმასკომს აქვს მრავალი სახის წარმოება. ყოველ ამ წარმოებას ჰყავს თავისი ადმინისტრაცია, აქვს თავის ხარჯთაღრიცხვა და სხ. ეს კი იწვევს დიდ ხარჯებს და ამავე დროს წარმოებანი ვერ იძლევიან სასურველ შედეგს, ვინაიდან მოკლებული არიან საერთო ხელმძღვანელობას.

ამიტომ თბილისის აღმასკომის კომისიას განზრახვა აქვს აღმასკომის ყველა კომუნალური წარმოებანი გააერთიანოს ერთ ტრესტად. ეს კი გააადვილებს ამ წარმოებებზე ხელმძღვანელობას ადმინისტრატიულად და ფინანსიურად.

ხელოვნური წყლების გამოკვლევა

სანიტარულ-ჰიგიენური ინსტიტუტის ლაბორატორია შეუდგა თბილისში ნაკეთებ ხელოვნურ-მინერალურ წყლების და სასმელების გამოკვლევას.

გამოკვლევის მიზანია სასმელების (ლუდი, ლიმონადი, კვასი და სხ.) ფალსიფიკაციასთან ბრძოლა. ქიმიური ანალიზებიდან ირკვევა, რომ სასმელების ფალსიფიკაციას თბილისის ბაზარზე ძალიან იშვიათად აქვს ადგილი.

ფალსიფიკაციას ადგილი აქვს უმთავრესად კვასის წარმოებაში, სადაც ხმარობენ სახარინს და მინერალ. საღებავებს. აღნიშნული საღებავების ხმარება შემჩნეულია აგრეთვე ტკბილეულობის (კამფეტები) წარმოებაში.

ფალსიფიკაციის ყოველ ცალკე შემთხვევაში ფალსიფიკატორებს აძლევენ პასუხისგებაში.

გზატკეცილები

ამჟამად აჭარისტანის მაზრებში მიმდინარეობს გაცხოველებული საგზაო მშენებლობა, რომელიც სწარმოებს ადგილობრივი ორგანოების ინიციატივით და ხელმძღვანელობით. უკვე ორ თვეზე მეტია, რაც დაიწყო მუშაობა გზატკეცილის გასაყვანად ქედი-მერისის შუა. გზატკეცილის სიგრძე უდრის 9 კილომეტრს. მიწის სამუშაოები უკვე დამთავრებულია. აგვისტოს შუა რიცხვებში გზატკეცილის გაყვანა სრულიად დამთავრებული იქნება. ქედა-მერისის გზატკეცილით ისარგებლებს 12 სოფელი, რომელიც მერისის ხეობაში მდებარეობენ.

უკვე დამთავრებულია სხალთის გზატკეცილის გაყვანა.

ამჟამად სწარმოებს მუშაობა ორი დიდი რკინის ხიდის ასაგებად ამ გზატკეცილებზე. მუშაობა დამთავრდება მიმდინარე წლის დამლევისათვის. სხალთის გზატკეცილი გამოსავალს აძლევს იმ სოფლებს, რომელნიც მდ. სხალთის ორივე ნაპირზე არიან გაშენებულნი. ხიდები შენდება მდ. სხალთაზე, რომელიც აჭარის წყალს ერთვის.

აჭარისტანის საგზატკეცილო დისტანციამ დაამთავრა ხიდის აგება მდინარე ჩაქვის წყალზე. ამ ხიდით უკვე სწარმოებს მისვლა-მოსვლა ჩაქვა-ქობულეთს შუა. მუშაობა, ხიდის ასაგებად გაგრძელდა ორ თვეს. ხიდი აგებული იქნა სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი“-ს თანხებით.

ქალაქის კეთილმოწყობა

სამტრედიის ქალაქის აღმასკომმა გამოიმუშავა გეგმა ქალაქის კეთილმოსაწყობად. კეთილმოწყობის გეგმაში შედის ქუჩების მოკირწყვლა და ქვა-ფენილების მოგება, ბაღების გაშენება, აბანოს აგება, სისუფთავის დაცვა, მეეზოვეთა ინსტიტუტის შემოღება და სხ.

ამჟამად აღმასკომი აწარმოებს უმთავრესი ქუჩების მოკირწყვლას და მათზე ქვა-ფენილების მოგებას.

მიღებულია აგრეთვე ზომები ქალაქში ბაღის გასაშენებლად და აბანოს ასაგებათ. აბანოს ასაგები ადგილი უკვე გამორკვეულია და ამჟამად სწარმოებს საამშენებლო მასალის დამზადება.

ხანძრისგან ქალაქის დაცვის მიზნით გადაწყვეტილია მოეწყოს მეხანძრეთა რაზმი და ხანძრის საქრობი იარაღების შეძენა.

სანოვაგის ანალიზი

სანიტარულ-ჰიგიენური ინსტიტუტის ლაბორატორია აწარმოებს ამჟამად საკვები მასალების ანალიზს.

ანალიზში ტარდება ხორცეული, ფქვილის ნიმუშები, ხილეულობა ღვინო და ტკბილეულობა.

ხორცის ანალიზი ტარდება ქიმიკოს მუნბლიტის სისტემით. აღნიშნული ქიმიკოსი თვით ხელმძღვანელობს ანალიზების წარმოებას. მან გამოიგონა ამ ორი თვის წინად ახალი საშუალება ხორცის სიჯანსაღის გამოსაკვლევათ.

უკანასკნელ ხანებში შემჩნეული იყო ბაზარზე ცუდი ხარისხის საკვები მასალების სიმრავლე, რასაც ამჟამად აღარ აქვს ადგილი.

ძლიერ უმჯობესდება ხორცის, რძის და ფქვილების ხარისხი. ფალსიფიკაცია შემცირ

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

„ქართული მარგანეცი“

ფოთი, 30 ივნისი. „ქართული მარგანეცი“-ს საზოგადოება შეუდგა მუშებისთვის ახალი აბანოს აგებას.

აბრეშუმის პარკის დამზადება

ოზურგეთი, 30 ივნისი. წასულ კვირაში დაიწყო ახალ მოსავალის აბრეშუმის პარკის დამზადების სეზონი. ბაზარზე პირველი ადგილი უჭირავს „აბრეშუმი“-ს ფირმის ამხანაგობას. ფასები—ფუთზე, წასულ წლისაზე მეტია 4 მანეთით. შემოტანა ჯერჯერობით ნაკლებია, მაგრამ დღითი-დღე მატულობს.

ყანების გათოხნა

ოზურგეთი, 30 ივნისი. გვიან დათესილ სიმინდის ყანების გათოხნა თითქმის ყველგან დამთავრდა. სიმინდის ზრდა კარგია.

კლუბის გახსნა

ახალ-სენაკი, 30 ივნისი. გაიხსნა პროფკავშირების საზაფხულო კლუბი. კლუბი უშვებს კედლის გაზეთს, აქვს კინო, სამკითხველო, დარბაზი და დიდი ბაღი.

პროფკავშირებში

ახალ-სენაკი 30 ივნისი. მიწა-ტყის კავშირი, შრომის ინსპექტორთან ერთად, მაზრაში აწარმოებს მოჯამაგირეთა კვლევა-ძიებას და შესწავლას, მათი პროფკავშირებში ჩაბმის მიზნით.

გზის გაფართოება

ახალ-სენაკი. 30 ივნისი. ლებარდის და ჩობალას კურორტებზე მიმავალ გზას აფართოებენ.

მუშათა და გლეხთა კორესპონდენტების თათბირი

ახალ-სენაკი, 30 ივნისი. 10 ივნისს ახალ-სენაკში მოწვეულია სამაზრო მუშათა და გლეხთა კორესპონდენტების თათბირი. თათბირში მონაწილეობას მიიღებენ მუშა და გლეხთა კორესპონდენტები, როგორც ცენტრალურ ისე კედლის გაზეთებიდან. თათბირზე ელიან 85 დელეგატის ჩამოსვლას.

მქსოველთა სახელოსნო

ახალ-ქალაქი, 30 ივნისი. კომუნალური მეურნეობის განყოფილება, ქალთა ყოფა-ცხოვრების კეთილ-მოწყობის კომისიასთან ერთად, აარსებს საქსოვ-შინა-მრეწველურ სახელოსნოს. სახელოსნოში იმუშავებენ უმუშევარი მქსოველი ქალები. საქსოვ სახელოსნოსთვის საჭირო ინვენტარის ნაწილი უკვე შეიძინეს.

გზა-ტკეცილების შეკეთება

ახალ-ქალაქი, 30 ივნისი. მაზრაში 1924 წლიდან გზა-ტკეცილების შეკეთება არ სწარმოებდა, ამიტომ გზები ძლიერ გაფუჭდა. ეხლა გზათა სამმართველო შეუდგა ამ საკითხების დამუშავებას.

აჭარისტანი

საქონელი კოოპერაციისთვის

ბათომი, 30 ივნისი. ამიერ-კავკასიის კავშირის ბათომის განყოფილება მოსკოვიდან იღებს ორ [illegible] ლურსმანს და ჭურჭლეულობას სამაზრო კოოპერაციებში გასანაწილებლათ. აჭარისტანის ცეკავშირმა სამაზრო ერთიან მომხმარებელ საზოგადოებებში გააგზავნა 5.000 ფუთი მარილი, 1.000 ფუთი ფქვილი და 2.000 ფუთი შაქარი.

ჩაის ფოთოლის მოკრეფა

ბათომი, 30 ივნისი. დამთავრდა ჩაის ფოთოლის პირველი მოკრეფა, ჩაქვის და სალიბაურის პლანტაციებზე. მოსავალი საშუალოზე მეტია. ნავარაუდევია, რომ 350-400 ათას გირვანქამდე ჩაის ფოთოლი მოიკრიფება.

ოსმალური თამბაქოს შესყიდვა

ბათომი, 30 ივნისი. ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის ბათომის განყოფილებამ, ამიერ-კავკასიის საჭიროებისათვის, ართვინში შეიძინა 11.000 ფუთი პირველი ხარისხის ოსმალური თუთუნი.

კინო-ფაბრიკის დაარსება

ბათომი, 30 ივნისი. ბათომში დაარსდა კინო-ფაბრიკს მომწყობი საზოგადოება. ამ დღეებში საზოგადოების წარმომადგენელი მოსკოვში მიემგზავრება, ექვსი გადამღებ აპარატის და იარაღების შესაძენათ. „საბჭოთა კინოს მეგობართა საზოგადოებასთან“ არსდება კურსები, კინო-მექანიკოსების და კინო-ოპერატორების მოსამზადებლათ.

ბენზინის სადგური

ბათომი, 30 ივნისი. ნავთის სინდიკატთან დამთავრდა ბენზინის ჩამსხმელი სადგურის აგება, მექანიკურ მოწყობილებით ბიდონებში ჩასასხმელათ. დღეში 1000 ბიდონზე მეტის ავსება შეიძლება.

აფხაზეთი

სახალხო მამულების ტრესტი

სოხუმი, 30 ივნისი. „ცესოს“ დადგენილებით დამტკიცდა აფხაზეთის სახალხო ქონებათა ტრესტის წესდება. ტრესტში გადავიდა 5 საბჭოთა მამული და 17 საიჯარო ერთეული.

კურორტი ახტალა

სეზონი გაიხსნა 15 ივნისს. ამ კურორტს დიდძალი ხალხი აწყდება ხოლმე ყოველ წლიურად. მთავარ საკურ. სამმართველომ გაუწია ამას ანგარიში და წლევანდელ სეზონში მიიღო უკვე ზომები რომ, ავადმყოფები უზრუნველ ყოფილ იქნენ, როგორც ტალახით ისევე აბაზანებით. მიმდინარე სეზონში აშენდა სპეციალურად ქალების საბანაო. ეხლა ერთდა-იმავე დროს, აბაზანებს მიიღებენ, როგორც ქალები ისე მამაკაცები და იმდენი ცდა აღარ დასჭირდება საჭირო როგორც წინა სეზონში.

ცივ აბაზანებშიაც გაყვანილია წყალი, მომატებულია სასხურები (დუშები).

კურორტზე გახსნილია ბუფეტი. სადილი პურით ღირს 55 კაპ. ხალხი უკვე ბლომად მოდის მოსალოდნელია, რომ წელს კურორტზე მოსულ ავადმყოფების რიცხვი ერთი ორად იმატებს. კურორტზე არსებობს ამბულატორია, სადაც ავათმყოფებს იღებენ სპეციალისტები მთელ დღის განმავლობაში.

ფასები შედარებით ზომიერია, როგორც აბაზნებზე ისე სურსათ სანოვაგეზედ.

გ. ქ.

სახალხო ქონება იღუპება

(წითელ ქალაქი)

წითელ ქალაქში ძველათ აუარებელი თავადაზნაურობა სცხოვრობდა. მათ ფუფუნებით ცხოვრება უყვარდათ და ამისათვის მშვენიერ კარ მიდამოს იშენებდენ. რევოლიუციის შემდეგ ბატონები განდევნილ იქნენ თავიანთ ბუნაგებიდან, ხოლო მათი კარ-მიდამო ხალხის ხელში გადავიდა. შენობების მშვენიერ აღნაგობას და სპარსულ, იტალიურ და როკოკოს სტილს, მნახველი განცვიფრებაში მოყავს. ზოგიერთ შენობებში სულ არავინ არ ცხოვრობს, ხოლო იქ სადაც ცხოვრობენ, შენობებს აფუჭებენ. ზოგიერთ ჩაუსახლებელ გლეხებს სრულიად დაუჩეხიათ იატაკიც და აივანიც. ამას გარდა შენობებში ჩამოდის წყალი და ლპება მთელი ხის მასალა. აღმასკომს ესმის ეს მდგომარეობა, მაგრამ რა ქნას რომ არვითარი საშუალება არ აქვს ეპატრონოს შენობებს.

წითელ ქალაქი ცნობილია როგორც ნახევრათ საკურორტო ადგილი. და კარგი იქნება, თუ ჩვენი პროფკავშირები მუშათა დასასვენებელ სახლებათ გამოიყენებენ ამ ძვირფას შენობებს. სადგ. მეტეხიდან 4 ვერსია ამ სოფლამდის.

იმედია, ამ წერილს გამოეხმაურება დასასვენებელ სახლების გამგეობა და შეუდგება საქმეს.

წერილები

ხორშის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი

(სენაკის მაზრა)

ხორშის თემში მდებარეობს, ლუარსაბ ლოლუას მამული, ზომით 200 ქცევამდე.

ამჟამად იქ გახსნილია სასოფლო სამეურნეო სასწავლებელი, [illegible] დიდი ღვაწლი მიუძღვის ამხ. კაკას.

ამხ. ალ. კაკამ, მისი დაუზარებელი მეცადინეობით სამაზრო აღმასკომისა და აგრეთვე გლეხობის დახმარებით, ხსენებულ მამულში, ააშენა სკოლისათვის ორი სართულიანი სახლი, 10 დიდი ოთახით და შესაფერისი დერეფნით. ქვედა სართული სახლისა არის აგურისგან აშენებული და ზედა სართული კი ხისაა. იქვე არის აშენებული ორი თვალი ხის სახლი ყავრით დახურული და ერთი დიდი სასიმინდე. ხსენებული სასწავლებლიდან მდ. ცივამდე გაყვანილია ფართე შარა-გზა, რომელიც უერთდება სოფ. მუხურის შარა გზას. სამწუხარო ის არის, რომ უსასრობის გამო, ხსენებული სასწავლებლის შენობის მოწყობა ჯერჯერობით არ არის დამთავრებული. მას აკლია კარ-ფანჯრები კიბე და სასწავლებლისთვის საჭირო ინვენტარი.

ხორშის თემში არის 7 წლედი შრომის სკოლა.

სასურველია, სახალხო განათლების კომისარიატი, ამ თავითვე მიაქცევდეს ყურადღებას ზემოხსენებულ სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელს და გადააკეთებდეს მას შვიდ წლედის პრინციპზე აგებულ სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმად, ვინაიდან მისი ბუნებრივი მდებარეობა და ადგილის სივრცე საშუალებას აძლევს უკანასკნელს გააფართოვოს თავისი მოქმედება მეურნეობის ყოველ დარგში და გახდეს სამეურნეო ცოდნა განვითარების ბაზად.

რაც შეეხება ხორშის თემში არსებულ 7 წლედის სკოლას ის უნდა გადაკეთდეს პირველ საფეხურის სასოფლო სამეურნეო სკოლად, მაგრამ რადგანაც ხორშის თემს უკვე მზათ აქვს სამეურნეო სასწავლებლისათვის შესაფერისი ადგილი და შენობაც, ამისათვის სახალ. განათლ. კომისარიატმა ხსენებული სკოლის შენობა და ინვენტარი უნდა შეუერთოს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელს.

ხორშის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის სამეურნეო მოქმედებას, არ განისაზღვრება რომელიმე სოფლით ან კუთხით არამედ მას დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი მაზრისათვის. ამიტომ განათლების კომისარიატმა და მაზრამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მას.

ჩქიმატონი.

წერილებიდან

გემის გადარჩენა

17 ივნისს, შავზღვაზე მოულოდნელად ატყდა დიდი ქარიშხალი. სტიქიის მსხვერპლი უსათუოდ შეიქმნებოდა ერთ-ერთი დამზვერავი გემი რომელიც სოხუმიდან ფოთის ნავთსადგურში მიდიოდა და ქარიშხალის დროს გზაში მოხდა.

დილის 4 საათზე ფოთის ნავთ-ს სამორიგეომ მიიღო ცნობა, რომ დამზვერავი გემი ფოთიდან 15 ვერ. მანძილზე (ანაკლიის ახლოს) იმყოფებოდა და თუ შველა არ იქნებოდა აუცილებელი დაღუპვა მოელოდა.

ნავთსადგურიდან სასწრაფოდ გაგზავნილ იქნა მაშველი გემი „მუშა“ რომლის მეზღვაურებმა იშვიათი განწირვით იხსნეს დაღუპვის პირზე მიმდგარი გემი და ეკიპაჟი.

მიშა-კალე.

ხაშური

უნდა აიკრძალოს. ქ. ხაშურში ვიღაც ჩარჩს მოუწყვია „ლატარეია“.

ერთ-ერთ გლეხმა გაყიდულ ხარის საფასური 80 მან. წააგო ამ „კარგ საქმეში“. ასეთი შემთხვევები არ არის იშვიათი. მეტად სამწუხარო ის არის, რომ „ლატარეიაზე“ თამაშს დაეჩვიენ ბავშვებიც.

ლატარეიის პატრონს ნებართვა აქვს მიღებული გორის მაზრაღმასკომის სოც. უზრ. განყოფილებისაგან. საჭიროა ეს ნებართვა მას ჩამოერთვას და აეკრძალოს ხალხის მოტყუება.

ი. ბარელი.

მუშათა ცხოვრება

მუშათა კლუბებში

მუშათა კლუბები სიკოსავით მოფენ საბჭოთა რესპუბლიკებს. დიდი ყურადღებაც ექცევა დღეს ამ კლუბებს. ეს ასეც უნდა იყოს.

კლუბი დღეს მუშის უნივერსიტეტია, ინსტიტუტია, სათამაშო და დროს გასატარებელი ალაგი. [illegible] რესტორანი.

მუშათა კლუბები რევოლიუციის მონაპოვარია. ძველად კლუბები იყო. მაგრამ იქ მუშა ვერ შევიდოდა. იქ ჩვენი მტრები ზეიმობდენ, დროს ატარებდენ.

მუშა-კი სწავლობდა ციხარდებოდა, ემზადებოდა ჩუმად ფარულად ბნელ სარდაფებში. რევოლიუციამ, მშრომელთა გამარჯვებამ, მოგვცა საშუალება, საბჭოთა რესპუბლიკებში თავისუფლად დავეწყობოდ სწავლა-განათლება. ეს დარგი მშრომელისათვის უკვე აღარ არის აკრძალული. პირიქით დიდი ყურადღება ექცევა მშრომელთათვის შენება-განათლების მიწვდენას.

აი მუშათა კლუბებიც ამ დანიშნულებისთვის არიან მოწყობილი. ამართლებენ თუ არა ჩვენი კლუბები ამ დიდ დანიშნულებას?

ამართლებენ ოცი-ოცდაათი პროცენტით და არა სავსებით.

საჭიროა და სასურველიც არის კლუბებში მუშაობა გაწყობდეს ისე, რომ მან თავისი დანიშნულება სავსებით გაამართლოს, აასრულოს.

სამწუხაროდ, ეს ვერ ხდება დღეს და ამის მიზეზი მრავალია.

ერთი უმთავრესი ხელის შემშლელი მიზეზი აქ არის ის გარემოება, რომ ვერა გვყავს შესაფერისი მომზადებული და გამგეები ამ კლუბებისათვის. გამგეზე-კი ბევრი რამ არის დამოკიდებული. რაც უნდა კარგი და საქმის მცოდნე გამგეობის წევრები ჰყავდეს კლუბს,—გამგეზე მაინც ბევრი რამაა დამოკიდებული. ის არის ბატონ-პატრონი კლუბისა. ის მუდამ კლუბშია (ყოველ შემთხვევაში უნდა იყოს მუდამ აქ). ხედავს კლუბის ავსა და კარგს, თუ აქვს ამას შნო და უნარი.

რასაც იგი ხედავს ავსა და კარგს მხარეებს, უნდა ამას ანგარიში უწევდეს. უნდა ცდილობდეს შეაყვაროს კლუბში მისვლა მუშებს. ჩვენი გამგეობა-კი უფრო „ადმინისტრატორობენ“. კლუბის სტუმრებს უცქერიან მედიდურათ. თითქმის ყოყოჩობენ და ბევრს გულს უცრუებენ კლუბში მოსვლაზე.

ამ გარემოებას უნდა ჩაუკვირდენ კლუბის გამგეები და მოქცევა, მოპყრობა კლუბის სტუმრებისადმი უნდა იყოს სრულიად ამხანაგური და თავაზიანი.

მეორე დიდი ნაკლი, რაც უშლის კლუბებში მუშაობას ხელს—ეს არის შენობის სიპატარავე. ბევრ კლუბს ჰყავს ორი-სამი ათასი წევრი. შენობა—კი იტევს—500—1000 კაცს.

ამიტომ არის შემთხვევა, რომ კლუბის შენობა ვერ იტევს ყველა მოსულს და ეს გარემოება ჰბადებს უსიამოვნება-უკმაყოფილებას. კლუბის წევრებში.

აქაც ბევრი რამეა გამგეზე დამოკიდებული. —ის ზრდილობიანობაზე, ქცევაზე. კლუბის წევრი და მისი ოჯახობა, რომელიც ვერ შევიდა კლუბში, არ უნდა წავიდეს უკან გაჯავრებული, არამედ მას უნდა აუხსნას საქმის ვითარება და არა ხელი ჰკრან, უკუ აგდონ—ისინი, როგორც ეს დღეს ხშირად ხდება.

დასავლეთ საქართველოს გამსახლი

ჩვენი გამსახლები წარმოადგენენ სწავლა-განათლების და აღზრდის კერას. წინააღმდეგ ბურჟუაზიულ ციხეების ბიუროკრატ მოხელეებისა, რომელთა მიზანია დამნაშავისადმი ყოველმხრივ ტანჯვის და წამების მიყენება, ჩვენი გამსახლის თანამშრომლები, რევოლიუციონური სულით გაჟღენთილები, ყოველმხრივ სხვადასხვა სასიათის ფსიხოლოგიურ ზეგავლენის საშუალებით ცდილობენ დამნაშავე პატიმრების სულიერ გარდაქმნას, მათ გამოსწორებას, პატიოსან ცხოვრებასთან შეგუებას. საბჭოთა გამსახლი არ აყენებს პატიმარს უსამართლო ტანჯვას, პირიქით, გამსახლიდან იგი გამოდის გასწორებული, ცხოვრებას დაკვირვებული, სწორ გზაზე შემდგარი წერა-კითხვის მცოდნე და დარბაისელი. ზემოდ მოყვანილ საპატიმრო ადგილების სანიმუშოდ შეგვიძლია ავიღოთ დასავლეთ საქართველოს, ქუთაისის ცენტრალური გამსახლი.

სანამ შევეხებოდეთ ხსენებულის დადებით მხარეებს, არ შეგვიძლია გვერდი აუხვიოთ და ხაზგასმით არ აღვნიშნოთ ამ გამსახლის უფროსის ამხ. გოგსაძის უანგარო, დარბაისელი და თავდადებული მუშაობა. ის თავის შრომას არ უკავშირებს ჯილდოს და არც რაიმე წარმატებას, არამედ ყოველთვის მზად არის მთელი თავისი გამოცდილებით და ცოდნა უნარით. პატიმრისადმი ლმობიერ მოპყრობით გარდაქმნას სულიერად მოროტმომქმედი. ამ სამაგალითო მუშაკს თავის ირგვლივ შემოუკავშირებია მასავით პატიოსანი პირები, როგორც არიან მისი ამხანაგი ძუკუა, მორიგი თანაშემწენი ჯოთანოვა, შანიძე და სხვები.

ზემოხსენებულ პირთა შრომით და გამასწორებითი ზეგავლენით გამსახლის პატრონებს ეტყობათ გამოსწორება.

ამას გარდა გახსნილია სხვადასხვა სახელოსნოები და სწარმოებს ენერგიული კულტ-მუშაობა დაუღალავი და უჩინარი მუშაკის ფურცხვანიძის მეთაურობით.

კულტწრე შესდგება პატიმრებისაგან: მათში მასწავლებლობა კადრი საკმაოა.

ინტენსიური ტემპით სწარმოებს მუშაობა სხვადასხვა წრეებში და სექციებში; იმართება წარმოდგენები, ლექციები, ლიტერატურული გასამართლებანი და მრავალი სხვა გასართობები.

ყოველივე ზემოხსენებულს პატიმრები სინდისიერად და ხალისიანად ეკიდებიან.

გამსახლში პატიმართათვის მეცადინეობა სავალდებულოა, განსაკუთრებით წერა-კითხვის არ მცოდნე პირთათვის. მეცადინეობა სწარმოებს სამ ჯგუფად; პირველ ჯგუფში ირიცხებიან წერა-კითხვის არ მცოდნენი, მეორეში მცირე მცოდნენი და მესამეში კარგად მცოდნენი. აქ სწავლობენ აგრეთვე ბუღალტერიას.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გამსახლის წიგნთსაცავი მეტად ღარიბია, რასაც დახმარების აღმოჩენა უნდა.

უკვე მიღებულია ზომები და ვიმედოვნებთ, რომ მდგომარეობა გაუმჯობესდება. ჟურნალგაზეთებს პატიმრები ყოველდღე ღებულობენ და გამსახლს აქვს სამკითხველოც.

აქ აქვს ადგილი ერ დიდად სამწუხარო მოვლენას. ვინ არ იცის, რომ თითო მახინჯი ოჯახში ყოველთვის გამოერევა, ეს გახლავთ უფროსი მორიგე თანამშრომელი ვინმე **კოწია ბრეგაძე** ყოფილი „პრაპორჩიკი“ ამ უდიერი და უზრდელი პიროვნების მორიგეობის დროს მთელი გამსახლი გმინავს, როგორც ნიკოლოზის რეჟიმის დროს მას თავისი თავი ახლაც პრაპორჩიკი გონია და ყველას უხეშად და უდიერად ეპყრობა. საჭიროა ამ „ჩინოვნიკ“ ჭკუა ასწავლონ.

ყოფ. პატიმართ-გამასწორებელი.

შენიშვნები

ეს დარგი აუცილებლად საჭიროებს მოგვარებას

ა.-კ. რკინის გზებზე უბედური შემთხვევები თითქმის პროგრესიულად იზრდება. აქ ყოველწლობით შავდება, ინვალიდდება რამოდენიმე ასეული მუშა-მოსამსახურე. ეს აშკარად სჩანს ამ.-კავ. რკინის გზების დამზღვევ სალაროს სტატისტიკურ ცნობებიდან. ზოგ მუშას მძიმედ დაზიანებული აქვს ხელები, ზოგს—ფეხები, ზოგს თვალები, ყურთა სმენა და სხ. მსუბუქი დაშავებათა რიცხვი პირდაპირ დამაფიქრებელია. იგი აღემატება ათასსაც. უბედურ შემთხვევათა მთავარ ბუდეთ ითვლებიან რკ. გზ. მთავარ სახელოსნოები. აქ მანქანების და საერთოდ წარმოების მოუგვარებლობის გამო ახალგაზრდა და ჯერ კიდევ გამოუცდელ მუშების დაშავება იღებს კატასტროფიულ ხასიათს.

გარდა ამისა, სახელოსნოებში, როგორც წესი და რიგია არ არის სათანადოთ დაცული შრომის სანიტარულ ჰიგიენური და ტეხნიკური პირობები, რის გამო აქაური მუშები ხშირად ავადმყოფობენ.

ამგვარად წარმოებას აკლდება ყოველდღიურათ რამოდენიმე ასეული მუშა-ხელი. ეს კი წარმოების გამანადგურებელია და რკ. გზის მეურნეობას დაღუპვას უქადის.

საჭიროა დაუყოვნებლივ მიღებულ იქნეს ყოველგვარი ზომები ამ საშინელ მოვლენების მოსასპობად და ამ უდიდეს მეურნეობის ნორმალურ პირობებში დასაყენებლად.

უნდა გამოიცეს მუშკორთა სახელმძღვანელო ლიტერატურა

მთელი საკავშირო რესპუბლიკების ტერიტორია მოფენილია მუშკორ-გლეხკორებით და მათი ორგანიზაციებით. ყოველ გაზეთს ჰყავს რამოდენიმე ასეული მუშკორი და გლეხკორი. მუშკორ-გლეხკორთა ორგანიზაციებს განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა ხელმძღვანელი პარტია და საბჭოთა ხელისუფლება: იცემა აუარებელი სახელმძღვანელო ლიტერატურა მუშკორ-გლეხკორთათვის. სამწუხაროდ, ეროვნულ გაზეთებს ასეთი სახელმძღვანელოები ძალზე ნაკლებათ მოეპოვებათ. განსაკუთრებით ამ მხრივ მოისუსტებს ჩვენი მხარე. ჩვენ ქართულ ენაზე ასეთი სახელმძღვანელოები არა გვაქვს.

საჭიროა ეს ნაკლი ახლო მომავალში გამოსწორებული იქნეს და ქართულ ენაზე გამოიცეს სახელმძღვანელოები ჩვენი მუშკორების და გლეხკორებისათვის.

გამანი.

დასასვენებელი ახალშენები

უმაღლეს სახელმწიფო და პროფესიონალურ ორგანოების გადაწყვეტილებით ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში ეწყობა დასასვენებელი ახალშენები.

საკითხი დასასვენებელი ახალშენების მოწყობის შესახებ წარმოიშვა იმიტომ, რომ უახლოეს წლებში შეუძლებელი ხდება იმდენი დასასვენებელი სახლის მოწყობა, რომ დააკმაყოფილოს მუშათა მთელი მასსები და მშრომელი ახალგაზრდობა. ამავე დროს კი ახალგაზრდა მუშებს შორის, როგორც უკანასკნელი გამოკვლევიდან სჩანს დიდია დაავადმყოფების პროცენტი. აუცილებელი ხდება ღონისძიებათა მიღება ახალგაზრდობის გასაჯანსაღებლად.

ერთს ასეთ ღონისძიებად ცნობილ იქნა ახალგაზრდებისათვის დასასვენებელი ახალშენების მოწყობა. ახალშენების დანიშნულებას წარმოადგენს მუშა-ახალგაზრდობას და მოზარდ თაობას მათი მორიგი შვებულების დროს მისცეს დასვენების ნორმალური პირობები.

მუშა-ახალგაზრდობის დასასვენებელი ახალშენების მოწყობა დავალებული აქვს დამზღვევ კასას, რომელიც სამუშაოდ ამ საქმეში იწვევს აგრეთვე კომკავშირის ორგანიზაციებს.

მუშა-ახალგაზრდობას დაეხმარება ახალშენების მოწყობა და შენახვაში ჩაბმულ იქნებიან აგრეთვე პროფკავშირები, აღმასკომები, სამეურნეო ორგანოები, ჯანმრთელობის ორგანოები და სხვები.

გადაგზავნა დასასვენებელ ახალშენებში ხდება მხოლოთ წარმოებაში უშუალოდ ჩაბმულ მუშა-ახალგაზრდების წრიდგან.

ამასთანავე ერთად პირველ რიგში გაიგზავნებიან ისინი, რომელნიც მძიმე და მავნებელ წარმოებებში მუშაობენ, და აგრეთვე საფაბრიკო-საქარხნო სკოლის შეგირდები.

ერთი ნაწილის [illegible]

პროფკავშირებში

პროფკავშირებში ახალი წევრების მიღების შესახებ

საქართველოს ყველა პროფორგანიზაციებს

ძვირფასო ამხანაგებო!

პროფკავშირთა საბჭოს მოსდის მრავალი ცნობა იმის შესახებ, რომ ადგილობრივ პროფკავშირებში ახალი წევრების მიღების საქმეს მეტის-მეტად აძნელებენ და აჭიანურებენ. ამ ცნობების უმეტესობა გამოკვლევის შემდეგ მართალი გამოდგა.

ჩვეულებრივათ იმის შემდეგ, რაც შეაქვს განცხადება პროფკავშირში წევრად ჩარიცხვის შესახებ, სანამ მიიღებდენ პროფკავშირის წიგნაკს, გადის ორი-სამი თვე და ხშირად მეტიც.

ზოგიერთ კავშირებში, როგორიცაა, მაგალითად, მედსანშრომის, განათლების, ხელოვნების მუშაკთა, აღმშენებელთა და სხ. კავშირებში ასეთ მოვლენებს მიღებული აქვს მასიური ხასიათი.

ამ გარემოებას ისინი იმით ხსნიან, რომ ახალი წევრის მიღების უფლება აქვს მხოლოდ საზოგადო კრებას, რომელიც არც ისე ჩქარ-ჩქარა იკრიბება.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს სავსებით დაუშვებლად მიაჩნია კავშირის ახალი წევრის მიღების საქმის გაჭიანურება, რისთვისაც წინადადებას აძლევს საქართველოს პროფორგანიზაციებს—აწარმოონ სასტიკი ბრძოლა საქმეთა გაჭიანურების და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ.

კავშირში წევრის მიღება, ან არ მიღება უნდა ხდებოდეს არა უგვიანეს ერთი თვისა იმ დღიდან, როდესაც ამის შესახებ შემოტანილი იქნება განცხადება.

საკავშირთაშორისო და ხელმძღვანელ პროფორგანიზაციებს წინადადება ეძლევათ—განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საქმეთა გაჭიანურებასა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლას და სისწორით განახორციელონ ეს დირექტივა.

საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე
გ. ჟურულიშვილი.
საორგანიზაციო განყ. გამგის მოადგილე
მარკმანი.

სენაკის სამაზრო პროფბიუროში

პროფბიურო აერთიანებს შემდეგ კავშირებს: მიწა-ტყის—750 წევრით, ხის დამმუშავებელთა—339 წევრით, აღმშენებელთა—541 წევრით, რკინისგზელთა—209 წევრით, ტრანსპორტის—148 წევრით, ფოსტის—57 წევრით, სამედ-სანიტარო—115 წევრით, განათლების—712 წევრით, საბჭოთა და სავაჭროთა—561 წევრით და კომუნალური—41 წევრით; იგი აერთიანებს სულ პროფკავშირების—3.413 წევრს 10 კავშირში.

პროფკავშირების წევრთა ეს რიგები გაბნეულია 334 დაწესებულებაში [illegible] საბჭოთა კავშირის.

სამაზრო მუშაობას ხელმძღვანელობს ბიურო, რომელშიაც შედიან კავშირების გამგეობათა თავმჯდომარეები და ზოგიერთი პასუხისმგებელი პროფმუშაკები. ბიუროსთან არსებობს: კულტურული, საორგანიზაციო, საეკონომიო და შრომის დაცვის კომისიები.

ბიუროს სხდომები ხდება კვირაში ერთხელ და საკითხების გადაწყვეტაში მთლიანი კოლექტივი ღებულობს მონაწილეობას.

ბიუროს თავმჯდომარეა ამხ. ალ. ოჩიგავა, რომელიც

ქრონიკა

ამხ. ფილიპე მახარაძის და შ. მათიკაშვილის გამგზავრება

გუშინ, ცაკის თავმჯდომარე ამხ. ფილიპე მახარაძე და შინაგან საქმეთა სახ. კომისარი ამხ. შალვა მათიკაშვილი გაემგზავრენ ფშავეთში და მთიულეთში.

პურის შემოტანა

მიმდინარე საბიუჯეტო წელში საქართველოში რუსეთიდან შემოტანილ იქნება 4 მილიონი ფუთი პური, ბქედან ქალაქებისათვის 3½ მილიონი.

ფართლეულობა

მიმდინარე საბიუჯეტო წელში საქართველოში შემოტანილი იქნება 430 ვაგონი ფართალი. უმთავრესად ღლეჯური ფართლეულობა.

შაქარი

1 ოქტომბრამდე საქართველოში შემოტანილი იქნება 800 ვაგონი შაქარი.

საქონლის შემოტანა უცხოეთიდან

ა.-წ. 17 ივნისიდან 29 ივნისამდე ა.-კ. სახ. ვაჭრობის სამმართველომ უცხოეთიდან შემოიტანა შემდეგი საქონელი: თერმომეტრები, ავტომობილების ნაწილები, და სხვადასხვა საწარმოო და სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

თბ. აღმასკომში

— მიკროსკოპიული სადგური. განზრახულია გადატანილი იქნეს სასაკლაოსთან, დასაკლავად მორეკილ საქონლის ჭირთან ბრძოლის გასაძლიერებლად.

— საზაფხულო მეცადინეობა. მაზრაში შრომის სკოლებსა და გლეხ სკოლებში ზაფხულის განმავლობაში მეცადინეობა იწარმოებს აგრონომიულ და ბუნების მეტყველების დარგებში.

— ახალი ლაბორატორია. ახლო ხანში გაიხსნება წარმოებებში მავნე ჰაერის შემსწავლელი ლაბორატორია.

უმუშევრობის წინააღმდეგ

— მკერავთა კოლექტივს მუშაობის გასაძლიერებლად შრომის ბირჟამ გადასცა 5 ათასი მანეთი.

— ტრიკოტაჟის ქარხანა. ტრიკოტაჟის ქარხანა-კოლექტივს შრომის ბირჟამ ასესხა 4 ათასი მანეთი, 2 ათასი მან. კი ასესხა შრომის სახ. კომისარიატმა.

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატში

— იარაღები. შემუშავებულია 26—27 საოპერაციო წლისათვის სასოფლო-სამეურნეო იარაღების შემოზიდვის გეგმა.

— თბ. ბოტანიკური ბაღი ზუგდიდში მიურატისეულ მამულში ხსნის სუბტროპიკულ განყოფილებას.

— გამოკვლევა. დამთავრდა მესაქონლეობის გამოკვლევა ქართლში, სამხრეთ-ოსეთში და სამეგრელოში.

ჯანმრთელობის კომისარიატში

— სამალარიო ყრილობა. ნოემბრის მეორე ნახევარში თბილისში შესდგება სამალარიო ყრილობა. ყრილობას დაესწრებიან წარმომადგენლები მეზობელ რესპუბლიკებიდანაც.

— მთავარი საკურორტო სამმართველო შეუდგა სანიტარულ ჰიგიენურ პირობების გამოკვლევას სანატორიუმებში და დასასვენებელ სახლებში.

— ცენტრალურ კლინიკურ ინსტიტუტში ამჟამად მოწყობილია 260 უფასო საწოლი.

სხვადასხვა

— ექსკურსია. განათლების მუშაკთა სახლი აწყობს ექსკურსიას 5 ივლისს ქუთაისში, ტყიბულში, შიათურაში. მსურველნი უნდა გამოცხადდენ წინასწარ სხდომაზე 1 ივლისს სღ. 7 საათზე გან. მუშ. სახლში.

— გაფლანგვა. დამაღებათა კოლექტივში მომუშავე ზოგიერთი პირები გადაეცეს სასამართლოს გაფლანგვისათვის.

შეცდომების გასწორება

გუშინ ჩვენ გაზეთში მოთავსებულია ა.-კ. პროფსაბჭოს დადგენილება ხელფასის მოწესრიგების შესახებ.

მეორე აბზაცში ნათქვამია—პროფსაბჭო შესაძლებლად სცნობს ხელფასის რეფორმის გატარებას; უნდა იყოს: პროფსაბჭო შეუძლებლად სცნობს ხელფასის რეფორმის გატარებას.

ახალი წიგნები

— „კოოპერატივის დუქნის მოწყობა“. გამოვიდა შ. ზ. გოგებაშვილის წიგნაკი, „კოოპერატივის დუქნის მოწყობა“, გამოცემა ცეკავშირის. წიგნაკი ღირს 20 კაპ.

— „შრომის მეცნიერული ორგანიზაცია ანგარიშ-წარმოებაში“. გამოვიდა ნ. ა. ბოგდანოვისა და ნ. ვ. ფუსის წიგნი „შრომის მეცნიერული ორგანიზაცია ანგარიშ წარმოებაში“, თარგმანი გ. ნ-ის, ა. ინწკირველის რედაქციით, გამოცემა თბილისის 1-ლი სამრეწ.-ეკონომ. ტეხნიკუმის.

შემთხვევები.

მოჩხუბარი ხალხი

გუშინ, საღამოს 9½ საათზე, რუსთაველის პროსპექტზე გამოჩნდა მთვრალი კომპანია, რომლებიც ქუჩაში ლანძღავდენ ქალებს.

განსაკუთრებითი ნიჭი ამ მხრივ გამოიჩინა ვინმე ბ. პავლოვმა, რომელიც ქალების მხლებლებს ცემით უმასპინძლდებოდა, ხოლო ქალებს—უხეში სიტყვებით.

მილიციელებმა იგი დააპატიმრეს, მაგრამ „გმირი“ არ დაემორჩილა მათ და მილიციელებს მოუხდათ მისი შეკვრა და ისე დაწყნარება.

სკანდალის დროს პავლოვმა ხელით შეურაცხყოფა მიაყენა მილიციის წარმომადგენლებს.

ცეცხლი

გუშინ. საღამოს 9 საათზე ცეცხლი გაუჩნდა ოლღას ქუჩაზე მოთავსებულ ერთ-ერთ რესტორანის საკვამლე მილს (შემელის აფთიაქთან).

ცეცხლი საშიშ ხასიათს ღებულობდა, მაგრამ სასწრაფოდ გამოძახებულმა მეხანძრეთა რაზმმა იგი მყისვე ჩააქრო.

„გასტროლიორი“

დიდი ხანი არ არის, რაც „საქმიან წრეებისაგან“ ფრიად მნიშვნელოვან დავალებებით თბილისს ესტუმრა ვინმე კოვარსკი. ყოველ შემთხვევაში ასე აცნობდა თავს კოვარსკი თბილისის ყველა ფოტოგრაფებს, რომლებიც მან პირველ რიგში მოიარა.

შვენიერი ტანისამოსით, მოხდენილი ქცევით, ის ფანტავდა ყოველგვარ ეჭვს და მცირე საუბრის შემდეგ, ასრულებდა „დავალებას“—ძვირფას ნივთების მოპარვას.

ფოტოგრაფების შემდეგ მან შემოიარა კომინტერნის ქუჩაზე მოვაჭრეები, რომლებთანაც იგივეე განიმეორა.

უკვე თბილისიდან გასამგზავრებლად მომზადებული, ის წაიწყდა სისხლის სამართლის მილიციის აგენტებს.

ამჟამად კოვარსკი დატუსაღებულია სისხლის სამართლის მილიციაში, სადაც არკვევენ მის მიერ მოპარულ ნივთების რაოდენობას.

— თავის მოწამვლა. 29 ივნისს კახეთის ქ. № 12 თავი მოიწამლა გაიანე ღვინაძემ.

— ტრამვაის ქვეშ. 29 ივნისს მუხრანის ქუჩაზე ტრამვაის რონოდა № 2 დაეჯახა ალექსანდრე აბრამიშვილს და მძიმედ დააშავა.

— ცეცხლი. 29 ივნისს მიმოსვლის ქ. № 4 სადილის გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლის მქრობელმა რაზმმა.

— შეპყრობა. 29 ივნისს ჯიბგირობისათვის შეიპყრეს ჯალი ალა-მისტან-ოღლი.

— გაძარცვა. 29 ივნისს პლეხ. პრ. № 171 თავს დაესხენ 3 შეიარაღებული ბოროტმოქმედი და გაძარცვეს.

— დაჭრა. 29 ივნისს უცაბედათ ფეხში დაიჭრა ავჭალის თემმილიციის თანამშრომელი გიორგი ბურდული.

— გაუპატიურება. სოფ. მაისში შეიპყრეს არსენ ბიძინაშვილი, რომელსაც უნდოდა გაეუპატიურებია გამროშვილის 16 წ. ქალი.

— ქურდობა. 29 ივ. ნადგომი ქ. № 16 გაქურდეს მარიამ როსომის ბინა.

— სასტუმრო „ელადიკავკაზში“ გაქურდეს ავაზეი-ოღლის ოთახი.

— 29 ივნისს დღით გაქურდეს გიორგი გამყრელიძის ოთახი.

— ამავე დღეს ლაზარევის ქ. № 4 გაქურდეს ვართანოვის სავაჭრო.

მუშკოოპის თეატრი

თბილისის მუშკოოპის ინიციატივით, თბილისში შემოდგომიდან დაიწყო თავისი მუშაობა „მუშკოოპის სანიმუშო-სახვენებელმა კოოპერ. თეატრმა“.

თეატრის მიზანს შეადგენს კოოპერატიული იდეების პოპულარიზაცია მუშათა ფართო მასაში.

მომავალი საერთაშორისო კოოპერატიული დღის ჩატარებაში აღნიშნული თეატრი მიიღებს ფართო მონაწილეობას.

მუშათა კლუბებში მოეწყობა თეატრის გამოსვლები; 3 და 4 ივლისს თეატრი გამართავს თავის წარმოდგენებს ცენტრ. მუშ. კლუბში მოწყობილ კოოპერატიულ გამოფენაზე.

სასამართლო

ქალის გაუპატიურება

კიტიას საქმე

მხარეთა კამათი

გუშინ გაიმართა მხარეების კამათი. პროკურორი კიკაბიძე მხარს უჭერს კიტიას წინააღმდეგ წარმოდგენილ ბრალდებას და ამტკიცებს, რომ კიტიამ ისარგებლა თ. ჯ-ნის სპეტაკი, იდეალური სიყვარულით და ძალდატანებით გააუპატიურა ის. პროკურორი მოითხოვს კიტიას დასჯას.

სამოქალაქო მოსარჩლე ტატიშვილი აღნიშნავს პროცესის საზოგადოებრივ მნიშვნელობას, ხაზს უსვამს კიტიას მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედების სიმძიმეს და მხარს უჭერს ბრალდებას.

დამცველი ჯაფარიძე ამბობს, რომ თ. ჯ-ნს უყვარდა კიტია და იქ, სადაც სიყვარულია, ძალდატანებით გაუპატიურებას არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი. დამცველი აკრიტიკებს ექიმ-ექსპერტების დასკვნას კიტიას მიერ თ. ჯ-ნის ძალდატანებით გაუპატიურების შესახებ.

დამცველი ღვამიჩავა აღნიშნავს, რომ კიტია ამ საქმეში დამნაშავე არ არის და ყველაფერი მოხდა თვით თ. ჯ-ა თანხმობით. აკრიტიკებს რა ექიმ-ექსპერტების დასკვნებს, მას მოჰყავს ცნობილ ექიმების აზრი იმის შესახებ, რომ ერთ ადამიანს ძალდატანებით ქალის გაუპატიურება არ შეუძლია.

დამცველი შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე, რათა ბრალდებული კიტია იქნეს გამართლებული.

განაჩენი

გუშინ, საღამოს 12 საათზე სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რომლითაც ბრალდებული კიტია დამნაშავეთ იქნა ცნობილი თ. ჯ-ს გაუპატიურებაში, რისთვისაც მას მიესაჯა წლინახევრით თავისუფლების აღკვეთა წინასწარი პატიმრობის ჩათვლით.

სუსლინის, ტარასისა და მასხულიას საქმე

მეოთხე სხდომაზე დაკითხულ იქნა მოწმე ფოკასი (რუსეთ-აზიის ბანკის ყოფილი დირექტორი), რომელმაც უამბო სასამართლოს, რომ ფოთის ნავთსადგურის ტერიტორიაზე მყოფი შავი-ქვის რამოდენიმე პლატფორმა დაახლოებით 700.000 ფუთი მადანით იყო ნაყიდი რუსეთ აზიის ბანკის კლიენტის გომერ-ავგორიონისაგან; ღირებულების 75 პროც. გადახდილ იქნა „რუსეთ-აზიის ბანკის“, ხოლო 25% კი „კლაიდესდალ ბანკის“ მიერ.

ამის გამო რუსეთ-აზიის ბანკი ვალდებული იყო აღნიშნული მადანი „კლაიდესდალ ბანკის“ ნებადაურთველად არავისთვის მიეყიდა ან გადაეცა.

რუსეთ-აზიის ბანკმა დაადასტურა შეთანხმება გომერ-ავგორიონისა „კლაიდესდალ ბანკისათვის“ 15.000 გირვანქა სტერლინგის გადაგზავნის შესახებ და გამაცხადა აგრეთვე თანხმობა, რომ ფულს გადასცემდა რუსეთ-აზიის ბანკის დამოუკიდებლად. ამ ვალის ანგარიშში ჭიათურიდან ქ. არხანგელის გზით გადაგზავნილ იქნა ინგლისში 500 ტონა პეროქსიდი (გაწმენდილი მარგანეცი), რომელსაც არ მიუღწევია დანიშნულებისამებრ.

მოწმეების დაკითხვა გრძელდება.

ქეთროვანთა სახლი

ჯანმრთელობის კომისარიატში ჩვენს თანამშრომელს ქეთროვანთა სახლის ღირექტორის და არსების შესახებ აცნობეს შემდეგი:

ქეთროვანთა სახლის დაარსების საკითხი დაისვა ამიერ-კავკასიის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ მუშაკთა თათბირზე. თათბირმა მიზანშეწონილად სცნო ქეთროვანთა სახლი მოეწყოს აზერბეიჯანში, რადგან ამიერ-კავკასიის რესპუბლიკიდან ქეთრი ყველაზე უფრო გავრცელებულია აზერბეიჯანში და ამავე დროს აზერბეიჯანში უფრო მეტი საშუალებაა სახლის მოსაწყობად.

ამ სახლში ქეთროვანები გაიგზავნებიან ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკიდან.

ქეთროვანთა სახლის დაარსებაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის ჯანმრთელობის სახ. კომისარიატები.

ქეთროვანთა სახლი მოეწყობა განმარტოებულ ადგილას, როგორც ახალშენი.

ავადმყოფებს უმკურნალებენ მედიცინის უკანასკნელი მიღწევების მიხედვით.

ფეხბურთი

ბათომი—„დინამო“

ამ დღეებში თბილისში ჩამოვა ბათომის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი.

კვირას ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება ბათომის ნაკრები გუნდის და თბილისის „დინამო“-ს შეჯიბრი.

დასაწყისი საღამოს 5 საათზე.

ბათომი-თბილისი

სამშაბათს, საღამოს 5 საათზე, იმავე მოედანზე გაიმართება ბათომის და თბილისის ნაკრები გუნდების ტრადიციული მატჩი.

თბილისის ნაკრები გუნდი გამოდის შემდეგი შემადგენლობით:

პაპკოვი, ფრუიძე, თედეევი, ანიკინი, ჟორდანია, გონელი, ქებაძე, ვაჩნაძე, მდივანი, გუჩია და პარამონოვი.

საქართველოს ცილობა ფეხბურთში

საქართველოს ტანვარჯიშული ცილობა, რომელიც უნდა დაწყებულიყო 30 ივნისს, აღარ ჩატარდება. ტანვარჯიშული შეჯიბრი მოიხსნა იმიტომ, რომ საკმაო თანხის მიღება ასეთი მრავალრიცხოვანი ცილობის ჩასატარებლად, საბჭომ ვერ შესძლო.

ნაცვლად ამ ცილობისა, ივლისის შუა რიცხვებში თბილისში ჩატარდება საქართველოს ცილობა ფეხბურთში იმ მიზნით, რომ გამოიყოს საქართველოს საუკეთესო გუნდი ამიერ-კავკასიის ჯომარდულ ცილობაში მონაწილეობის მისაღებად.

საქართველოს ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს განზრახვა აქვს საქართველოს ფეხბურთის ცილობა ჩაატაროს შემდეგნაირად: სოხუმის ფეხბურთელთა გუნდი შეეჯიბრება ბათომის გუნდს ქალ. ბათომში, ფოთის გუნდი შეეჯიბრება ქუთაისის გუნდს ქალ. ქუთაისში, გამარჯვებული გუნდები ჩამოვლენ თბილისში და აქ გაიმართება ცილობა ამ გუნდებს შორის თბილისის გუნდის დამატებით.

თბილისის სახელით გამოვა პირველობის ამღები გუნდი; ცილობა ჩატარდება ოლიმპიური სისტემით (დამარცხებული გუნდი გამოდის გათამაშებიდან).

წინასწარ თქმა იმისა, თუ რომელი გუნდი აიღებს პირველობას, ძნელია, რადგან ყველა დასახელებული გუნდები თანასწორ ძალას წარმოადგენენ.

ჯომარდული ოლიმპიადა

16—28 ივლისში თბილისში ჩატარდება კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის მე-5 ჯომარდული ოლიმპიადა. ოლიმპიადას ექნება საიუბილეო ხასიათი და გაიმართება ლენინის მოედანზე და ვაკეზე.

ოლიმპიადის დასრულების შემდეგ ოლიმპიადზე ფეხბურთში პირველობის ამღები გუნდი შეეჯიბრება თბილისის ნაკრებ გუნდს.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონების გამოყენების წესისა, პირობებისა და ვადებისათვის წესების დამტკიცების შესახებ

ა.-კ. ს. ფ. ს. რ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სახელმწიფო მიწების იჯარით გაცემის შესახებ“ 1924 წ. დეკემბრის 22-ს თარიღით გამოცემული დადგენილების განსავითარებლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი წესები სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონების გამოყენების წესისა, პირობებისა და ვადების შესახებ.

თავი 1.

სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონების გამოკვლევა

1. რათა გამორკვეულ და გამოსაყენებლად მოგვარებულ იქნეს ის სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონებანი, რომელნიც იჯარით გაცემას შესაძლებელია, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი მოახდენს ამ ქონებათა გამოკვლევას და რეგისტრაციას.

2. გამოკვლევა უნდა მოხდეს ისე, რომ აღინუსხოს სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონების სივრცე და მასში შემავალი სახნები, შენობები და უძრავი და სულიერი ინვენტარი.

სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონება. გამოკვლევისთანავე, ჩაიწერება საგანგებო საინვენტარო დავთარში, რომელიც წარმოებულ უნდა იქნეს იმ ფორმით და იმ წესით, რასაც დაამყარებს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, საქართველოს ს. ს. რ. ფინსახკომთან შეთანხმებით.

3. სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონების გამოკვლევა მოხდება იმ მიწის მოსარგებლის ხარჯით, რომელიც ამ ქონებას სარგებლობს. იმ სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონების გამოკვლევის ხარჯი, რაც არავის სარგებლობაში არ არის ან რასაც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ისეთი დაწესებულება სარგებლობს, რომელიც ფინანსიურად სახელმწიფო ბიუჯეტზეა, აგრეთვე თავისუფალი სათადარიგო მიწების გამოკვლევის ხარჯი მიეწერება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისათვის ხარჯთაღრიცხვით გადადებულ კრედიტებს.

თავი 2.

საბჭოთა მეურნეობა

4. სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონების საბჭოთა მეურნეობად და საშემოსავლო ქონებად დაყოფას მოახდენენ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ორგანოები საქართველოს ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

შენიშვნა. საბჭოთა მეურნეობაში წარმოადგენენ მოწყობილ სასოფლო-სამეურნეო საწარმოოდ და დანიშნულების მიხედვით განიყოფებიან:

ა) საცდელ-სანერგედ და სხვა სპეციალური დანიშნულების საბჭოთა მეურნეობა, რომელიც ხელს შეუწყობს ცდის საშუალებით, სასოფლო-მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარების საქმის შესწავლას და ადგილობრივ მოსახლეობაში მეურნეობის უაღრესად განვითარებულ ფორმების პროპაგანდას. და რომელიც აგრეთვე დააკმაყოფილებს სასწავლო. კულტურულ-განმანათლებელ, სამკურნალო და სხვა სპეციალურ საჭიროებას;

ბ) სამრეწველო საბჭოთა მეურნეობად, რომელიც დააკმაყოფილებს სამრეწველო საწარმოების წარმოებითი საჭიროებას მით, რომ დაამუშავებს სამრეწველო-სანედლეულო მცენარეულობის სასოფლო-სამეურნეო კულტურებს (თამბაქოს და ბამბის პლანტაციები და ვენახები);

გ) საპროდუქტო საბჭოთა მეურნეობად. რაც წარმოადგენს რაციონალურად დაყენებულ მეურნეობას და იძლევა სასურსათო პროდუქტებს იმ დაწესებულებისა, საწარმოო და ორგანიზაციისათვის, რომლის ხელშიაც ეს საბჭოთა მეურნეობაა.

5. საბჭოთა მეურნეობის ექსპლოატაციას აწარმოებს უშუალოდ თვით საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი ან იგი მეურნეობა სარგებლობისათვის გადაეცემა ამა თუ იმ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციას, დაწესებულებას და საწარმოოს ხელშეკრულებით ან საჯარო ვაჭრობით; ხოლო კერძო პირთა სარგებლობათ მეურნეობა გაიცემა მარტოოდენ საჯარო ვაჭრობით.

შენიშვნა: აკრძალულია საბჭოთა მეურნეობის იჯარით მიცემა ყოველი მეფლობელისათვის, და, საზოგადოდ, არამშრომელი ელემენტისათვის.

6. ხელშეკრულება საბჭოთა მეურნეობის სარგებლობად გაცემის შესახებ დაიდება თანახმად იმ ტიპიური ხელშეკრულებისა, რომელსაც შეიმუშავებს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი საქართველოს ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით; დადებული ხელშეკრულების ასლი წარედგინება საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო შემოსავალთა განყოფილებას.

7. საბჭოთა მეურნეობის სარგებლობისათვის გადახდევინებულ უნდა იქნეს საიჯარო სასყიდელი, რომელიც გამოიანგარიშება მარტოოდენ ფულად; საიჯარო სასყიდლის გამოანგარიშების საფუძველი განისაზღვრება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და საქართველოს ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით. მასალები და ასლი წარედგინება საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო შემოსავალთა განყოფილებას.

8. ხელშეკრულებას საბჭოთა მეურნეობის იჯარით გაცემის შესახებ დაამტკიცებს საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი.

9. საბჭოთა მეურნეობის იჯარით გაცემა შეიძლება ვადით არა უმეტეს 12—წლისა და მხოლოდ ვენახის გაშენებისა, ხეხილის ჩაყრისა, ჩაის პლანტაციის მოწყობისა და სხვ. ძვირფას მონოკულტურულ მცენარეთა გაშენებისათვის მეურნეობა იჯარით შეიძლება გაიცეს ვადით არა უმეტეს 20 წლისა. ხოლო კაპიტალური სამეურნეო ნაგებობისა და შენობების დადგმისათვის იჯარით ვადა შეიძლება გაგრძელებულ იქნეს 30 წლამდე.

წარმოებითი გეგმის შესრულებას კონტროლს გაუწევს სოც. საბჭ. რესპ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ორგანოები.

(დასასრული ხვალ)

იურიდიული დახმარება

სამსახურთა შეთავსების ჯილდოს შესახებ

კითხვა

მე ვმუშაობ ა.-კ. რკ. გზების სამმართველოს [illegible] სამსახურის ერთ-ერთ დარგში და ერთ და იგივე დროს შეთავსებით ვასრულებ სამ თანამდებობას: ვარ რეგისტრატორი, მოანგარიშე და საქმის მწარმოებელი, შრომის ხელფასს კი ვღებ მხოლოდ ერთი თანამდებობის შესრულებისათვის.

გთხოვთ მიპასუხოთ, მეკუთვნის თუ არა სამივე სამსახურის შესრულებისათვის სრული ჯილდო (ე. ი. სამი ჯილდო).

რკინიგზელი კოჩა.

პასუხი

ერთ და იგივე დარგში რამოდენიმე თანამდებობის ასრულება არ ითვლება თანამდებობათა შეთავსებად და სამ ჯილდოს ვერ მიიღებთ. თქვენ გაქვთ უფლება მოითხოვოთ მხოლოდ ამ თანამდებობათა შორის უმაღლეს კვალიფიკაციის თანამდებობის ერთი ჯილდო. (იხ. შრომ. კანონთა კოდექსის მუხლი 62 და ამ.-კავ. შრომის სახ. კომ-ტის 1926 წ. პირველ აგვისტოს დადგენილება № 64).

სამსახურთა შეთავსებად ითვლება სამსახური სხვადასხვა დაწესებულებებში სხვადასხვა დროს. აქ შრომის ჯილდო მიიღება ყოველ სამსახურის ასრულებისათვის ცალკე. ჯილდოს რაოდენობა კი აღნიშნულ შემთხვევაში დამოკიდებულია დამქირავებლის და დაქირავებულის ერთი-ერთის შორის შეთანხმებაზე.

ბინის ქირის შესახებ

კითხვა

ვცხოვრობ კალოუბნის ქუჩაზე № 16 მიჭირავს ერთი ოთახი 50 კვ. არშინი. ვარ განათლების მუშაკთა კავშირის წევრი—უმუშევარი.

გთხოვთ მიპასუხოთ—რამდენი უნდა გადავიხადო თითოეულ კვადრატიულ არშინზე ბინის ქირა.

ვ. ხ.

პასუხი

თითოეულ კვადრატიულ არშინზე იხდით ერთ კაპეიკს.

პარტიული კალენდარი

დღეს, 1 ი[illegible] დილის 10 საათზე შესდგება საქართველოს [illegible] ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა. [illegible] წევრების და [illegible] კანდიდატების დასწრება.

დღეს, 1 ივლისს საღამოს 7 საათზე თბილისის აღმასკომის დარბაზში შესდგება საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმი რაიკომის ბიუროს წევრებთან და თბილისის ორგანიზაციის მსხვილ უჯრედების მდივნებთან ერთად.

დღის წესრიგში სდგას:

1. მეთოთხმეტე პარტყრილობის გადაწყვეტილებათა დამუშავების შედეგების შესახებ.
2. სახალხო განათლების განყოფილების მოხსენება.

— თბილისის კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას აძლევს ყველა ამხანაგებს, რომელთაც შემოტანილი აქვთ განცხადებები კომუნივერსიტეტში მიღების შესახებ, გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში ხუთშაბათს, 1 ივლისს დილის 9 საათზე.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ყველას, ვისაც აქვს რაიმე ამხ. პეტრე ხოლოშვილის წინააღმდეგ გამოგზავნონ ცნობა თბილისის კომიტეტში ამხ. საკოვთან. ამხ. ხოლოშვილი მტკიცდება კომპარტიის კანდიდატად.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომი იუწყება, რომ ხვალ ა. წ. 1 ივლისს, საღამოს 5 საათზე რაიკომის ბინაზე შესდგება ამღები კომისიის სხდომა.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე მიხეილ დეე ეკატერინე, ძმები: გიგო, ნიკო და ილიკო მეუღლეებით: თამარ და მარუსიათი აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, ოთხშაბათს, 30 ივნისს გარდაიცვალა მათი უძვირფასესი

ანა ბესარიონის ასული
კიკნაძია

გასვენება მოხდება პარასკევს, 2 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათზე, (პუშკინის ქ., № 11) ვერის სასაფლაოზე. ნ. 2—1

გულდათუთქული ცოლი ვალენტი, რძალი-ბარბალე და ძმა ბესარიონი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 28 ივნისს გარდაიცვალა საყვარელი და დაუვიწყარი

ვალენტინ ბენდუქიძე

გასვენება დღეს ნაშუადღევის 4 საათზე, ბინიდგან ერმოლოვის ქუჩა № 9 კუკიის სასაფლაოზე 2992

დასავლეთ საქართველოს ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება გულის წუხილით იუწყება, რომ 27 ივნისს გარდაიცვალა ამ საზოგადოების წევრი, ექიმი

აბესალომ სიმონის ძე წარკვიანი

სამოქალაქო პანაშვიდი ყოველ-დღე საღამოს 7 საათზე, ქუთაისში წერეთლის ქ. საბჭოთა სახლი (ყოფ. ფიფიასი) გასვენება და დაკრძალვა მოხდა 26, შაბათ საღამოს 5 საათზე ნ. 1498

საზაფხულო
აპოლო
(ბაღი „არტო“, პლეხ. № 105).
საზაფხულო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
ზოლეი
ნ. 1466 0—1

მსოფლიო შედევრი 4 სერიათ
ნიბელუნგები
1 და 2 სერია ერთად
კინოს ბილეთის შემძენი ბაღში უფასოდ შედის კინოს შენობა გადახურულია
შეუდარებელი მერი პიკფორდი პრემიერაში
„სინათლე სიბნელეში“
თუ ცუდი ამინდი იქნა სეანსი გაგრძელდება არფასტოში
საუკეთესო სურათი
„ამერიკელი ქალის თავგადასავალი“
რუკ როლანის მონაწილეობით. არაჩვეულებრივი ტრიუკები, მიმზიდველი სიუჟეტი.

თანახმად ა.-კავ. სახკომსაბჭოს 1925 წ. აპრილის 2-ს დადგენილებისა № 16 „ერთიანი სავაჭრო რეესტრის შესახებ“

ა.-კავ. შინავაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველო აცნობებს

ქ. თბილისის სავაჭრო სამრეწველო საწარმოთა

მეპატრონეებს

რომლებსაც დღევანდლამდე რეგისტრაციაში არ გაუტარებიათ თავისი საწარმო, რომ ისინი ვალდებულნი არიან გაატარონ რეგისტრაციაში თავისი საწარმო—ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოში (ტროცკის ქ. № 20) ქვემოდ მოყვანილი წესის თანახმად.

კომისარიატ. დასახელება	რეგისტრაციის დრო	კომისარიატ. დასახელება	რეგისტრაციის დრო
1 კომ.	ივლისი— 5, 6, 7.	7 კომ.	აგვისტო— 7, 9, 10.
2 „	„ — 8, 9 და 10-ს	8 „	„ —11, 12, 13, 14, 16.
3 „	„ —12, 13, 14, 15, 16, 17.	9 „	„ —17, 18, 19, 20.
4 „	„ —20, 21, 22, 23.	10 „	„ —21, 22, 24, 25.
5 „	„ —24, 26, 27, 28, 29, 30.	11 „	„ —26, 27, 28, 30.
6 „	აგვისტო—3, 4, 5, 6.	12 „	სექტემბ.—1, 2, 3, 4—6.

1. რეგისტრაციაში უნდა გატარდეს ყველა სავაჭრო და სავაჭრო-სამრეწველო ორგანიზაცია და პირები, რომლებიც ვაჭრობას ეწევიან, ამხანაგობები, ძირითადი კოოპერატივები და საწარმოო არტელები აქვთ პატენტი მე 3 ხარისხისა და ზევით.
2. რეგისტრაციის დროს წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი საბუთები:
   ა) განცხადება რეგისტრაციის შესახებ (ანკეტა): ანკეტის ფორმა გამოქვეყნებულია გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ 1925 წ. ნოემბრის 5-ს № 1021 (დადგენილება № 6 (62, მუხ. მე-5).
   ბ) ქვითარი სარეგისტრაციო გამოსაღების ხაზინაში შეტანის შესახებ.
   გ) პატენტი (სარეწავი მოწმობა).
3. საბუთების წარმოდგენა ნებადართულია რწმუნებულთა მეშვეობით, ჯგუფობრივ, არა უმეტეს 15 კაცისა; პირადი გამოცხადება სავალდებულო არ არის.
4. რეგისტრაცია სწარმოებს დილის 9 საათიდან 11 საათამდე.
5) ცნობების მიღება შეიძლება იქვე იმავე საათებში.
6. განცხადების ფორმის (ანკეტის) მიღება შეიძლება იქვე.
7. ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველო აფრთხილებს იმ პირთ, რომ ვინც არ შეასრულებს ა.-კ. სახკომსაბჭოს აღნიშნულ დადგენილებას „ერთიანი სავაჭრო რეესტრის შესახებ“ და რეგისტრაციაში არ გატარდება ამ განცხადებით დანიშნულ ვადებზე, პასუხის გებაში იქნება მიცემული თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონის სათანადო მუხლისა.

ა.-კავ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ახმეტელი
საქმეთა მმართველი აბესაძე
ნ. 1499

ვანო სარაჯიშვილის სახელობის ხელოვნების სახლი
(ოპერის გვერდით)
დღეს, 1 ივლისს, შესდგება ამხ. სუტირინის მოხსენება
კინო, როგორც მეთოდი მხატვრულ შემოქმედებისა
მოხსენების შემდეგ კამათი.
დასაწყისი ს. 8 ნახ. საათზე. ნ. 1500

ახალი წიგნები

1. ბალანსოლოგიის საფუძვლები—პროფ. ლეკუტრეჟი. ფასი 1 მ. 50 კაპ.
2. შრომის მეცნიერული ორგანიზაცია ანგარიშწარმოებაში—ბოგდანოვი და ფუსისა. ფასი 60 კაპ.

წიგნები ნათარგმნია ა. ინწკირველის რედაქციით.
2994. 2—1.

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საბინაო
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.
მკურნალობა „914“. ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ., საღამოს 5-დან—9 საათამდე. ქალები 12—2 საათ. დღისით.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), გერონტივის ყოფილი ძველ მახლობლად. 25—1



СЕКАРОВСКАЯ ЖИДКОСТЬ
ПРИГОТОВЛЕННАЯ ПО СПОСОБУ
ПРОФЕССОРА Д-РА БЮХНЕРА

დიდის წარმატებით იყენებს მედიცინა

ხერხემლის გახმობის, ყველა სახის ნევრასტენიის, ათაშანგის, მშობიარობის, ოპერაციის, სისგულის ავადმყოფობის, სიავმხრის (худосочие), დაღლილობის, სიბერისაგან დაავადების, პოდაგრის, რევმატიზმის, სისხლნაკლებობის, არტერიოსკლეროზის, დიაბეტის, თავის ტკივილის, უძილობის, სქესობრივ უძლურების, მადის დაკარგვის და გულის მუშაობის ქრონიკულ სისუსტისა და აგრეთვე სხეულის სისუსტის დროს, ინფლუენციის, ათაშანგის, მშობიარობის, ოპერაციის, სისხლის დაკარგვის და სხვა ავადმყოფობის დროს.
ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ნებართვა № 8.262.

სეკარის სითხე იყიდება
საბჭოთა კავშირის სანიტარიის და ჰიგიენის ყველა აფთიაქებში და მაღაზიებში

ფლაკონის ფასი 2 მ. 50 კაპ. გადაგზავნის გარეშე. ფოსტით იგზავნება არა ნაკლები 4 ფლაკონისა, თუ მიღებული იქნება ბე 25 პროც. რაოდენობით. 8 და მეტი ფლაკონის დაკვეთის დროს შეხვევა და გადაგზავნა უფასოა. კოოპერატივ „გალენ მოსკვა“-ს წარმომადგენლობა საბჭოთა საქართველოში დასტურებში: თბილისი, თავისუფლების მოედანი, № 2 მეორე სართული, ყოფილი თამამშევის პასაჟი.

ЗАКАЗЫ ПИСЬМА И ДЕНЬГИ АДРЕСОВАТЬ ТОРГ. ОТД. КООПЕРАТИВА „ГАЛЕН-МОСКВА“ МОСКВА ул. ГЕРЦЕНА № 5 кв. 3 ПОЧТ. ЯЩ. № 1025
8—2 ნ. 1470

ანონსი:
ამ დღეებში
კინო
ეთერი
პირველად თბილისში
„ქალი ნიღაბში“
კოვანკოს, რიმსკის და კოლინის მონაწილეობით.
პირველად თბილისში
თვალყური ადევნეთ აფიშებს.
ნ. 1501

მოწაფეთა სახელმძღვანელო
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34
0—1

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

აცხადებს, რომ სოფ. ნაგარევში, ქუთაისის მაზრისა, დანიშნულია 24 ივლისს 1926 წ. დღით 12 საათზე საჯარო ვაჭრობა იოველ ამბროლაძის ქონების, ხის ზღელის გადასატანი, სახლის კოჯების, ღვინის და საპოლე ფიცრების შეფასებული სულ 60 მანეთი.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან და ქონება გაიყიდება ცალ-ცალკე ქუთაისის კოოპერატიული ბანკის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. ნ. 1498

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

აცხადებს, რომ სოფ. რიონში, ქუთაისის მაზრისა, დანიშნულია 20 ივლისს 1926 წ. დღით 12 საათზე საჯარო ვაჭრობა ალექსი მორჩილის ერთი სასახლის ხის სახლის, ერთი განყოფილებიანის შეფასებული გადასატანათ 70 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან ქუთაისის კოოპერატიული ბანკის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. ნ. 1498

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

აცხადებს, რომ სოფ. მეჩხერში, ქუთაისის მაზრისა, დანიშნულია 20 ივლისს 1926 წ. დღით 4 საათზე საჯარო ვაჭრობა ლეონტი ტუკვამის ერთი-ერთ სართულიანი მოუთავებელი ხის სახლის შეფასებული გადასატანათ 200 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან ქუთაისის კოოპერატიული ბანკის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. ნ. 1498

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

აცხადებს, რომ სოფ. რიონში, ქუთაისის მაზრისა, დანიშნულია 20 ივლისს 1926 წ. დღით 10 საათზე საჯარო ვაჭრობა გერასიმე ტურაბელიძის ქონების, ფუტკარის, ლორეულის, ღვინის, სტანისლავის შკაფის, სკამების და სხვების შეფასებული სულ 78 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან და ქონება გაიყიდება ცალ-ცალკე ქუთაისის კოოპერატიული ბანკის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. ნ. 1498

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

აცხადებს, რომ სოფ. გოდოგანში, ქუთაისის მაზრისა, დანიშნულია 24 ივლისს 1926 წ. დღით 10 საათზე საჯარო ვაჭრობა ვლადიმერ მარგველაშვილის ქონების ფიცრის სასიმინდის გადასატანათ, ბამბის, ღვინის, ცხვრების და ღორის შეფასებულს სულ 54 მანეთად.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან და ქონება გაიყიდება ცალ-ცალკე ქუთაისის კოოპერატიული ბანკის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. ნ. 1498

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

აცხადებს, რომ სოფ. ბროლის ქედში, გოდოგნის თემისა, ქუთაისის მაზრისა, დანიშნულია 24 ივლისს 1926 წ. დღით 2 საათზე საჯარო ვაჭრობა ივანე ბურჯანაძის ერთი უბრალო ერთ-ოთახიანი აივნით ხის სახლის, შეფასებულის გადასატანათ 60 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან ქუთაისის კოოპერატიული საბანკო განყოფილების პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. ნ. 1498

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

აცხადებს, რომ სოფ. ზარათში, ქუთაისის მაზრისა, დანიშნულია 20 ივლისს 1926 წლ. დღით 2 საათზე საჯარო ვაჭრობა გრიგოლ ძოწენიძის ქონების, ტანისამოსის შკაფი, უნაგირი, სპილენძის ქვაბის, ნოხის, ლამფების და სხვების შეფასებული სულ 77 მანეთი.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან და ქონება გაიყიდება ცალ-ცალკე ქუთაისის კოოპერატიული ბანკის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. ნ. 1498

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ქ. ძამოევი

ამით აცხადებს, რომ 3 ივლისს 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში № 14 არუთას ქუჩაზედ საჯარო ვაჭრობით გაყიდის არონ შამშილაშვილის მოძრავ ქონებას: სამოვარს და სხვ. შეფასებულს 110 მანეთად, ზაკატერეგის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-3 უბნ. სახალხო სასამართლოსაგან 15 ივნისს 1925 წ. თარიღით, № 2855, გაცემულ აღმსრულებელ ფურცლისა. 2993

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

აცხადებს, რომ სოფ. ჭოგნარში ქუთაისის მაზრისა, დანიშნულია 31 ივლისს, 1926 წ. დღით 4 საათზე საჯარო ვაჭრობა ვარლამ ლახიავას ქონების, ძროხის, ხბოების, ღორის და გრამაფონის გასაყიდათ, შეფასებული სულ 130 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან და ქონება გაიყიდება ცალ-ცალკე კოოპერატიული ბანკის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. ნ. 1498

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

აცხადებს, რომ სოფ. ნაგარევში, ქუთაისის მაზრისა, დანიშნულია 31 ივლისს 1926 წ. დღით 2 საათზე საჯარო ვაჭრობა ნიკოლოზ სებისკვერაძის ქონების მაგიდის, კამოდის, ღვინის, ხის სასიმინდის გადასატანათ და სხვების შეფასებულ სულ 54 მანეთი.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან და ქონება გაიყიდება ცალ-ცალკე ქუთაისის კოოპერატიული ბანკის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. ნ. 149

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელ ს. ბოჭორიშვილი

აცხადებს, რომ სოფ. ნაგარევში, ქუთაისის მაზრისა, დანიშნულია 31 ივლისს 1926 წ. დღით 10 საათზე საჯარო ვაჭრობა იუსტინე ხუციშვილის ქონების, ღვინის, ხის სასიმინდის გადასატანად, უშობლის და სხვების შეფასებული სულ 7 მანეთი.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან და ქონება გაიყიდება ცალ-ცალკე ქუთაისის კოოპერატიული ბანკის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. ნ. 149

ექ. ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 12—2 საათ. დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთვ. პროსპ. № 18 შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან.

ექიმი მ. ა. ლუკომსკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე.
ხაპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—1

ექიმი ბ. მ. ფხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606“—„914“)
ავადმყოფების მიღება: კაცების— დილით 8—9 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ., № 4 ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ). 25—18

ექიმი ი. ი. ბერიშვილ
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ქალებისთვის ცალკე შესავალი. სტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მი ილის შესახვევი, № 8. 25-

სათვალეების მორიგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახელმწ. ვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—4-დე. პლეხანოვის გამზ. № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი). ტელ. 13—63.

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელ
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბონ-მონდი“).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნე, ზუასილის, სქესობრივი სისუსტე, პერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

ქუთაისში დაბრუნდა ექიმი
ა. ჩიჩილაშვილი
და განაახლა შინაგან ავადმყოფების მიღება. სპეციალ.-ფილტვების სნეულებანი მიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 4—7 საათ. ქ[illegible]ძის ქ. № 9.
12—1 2858

ექიმი
ბ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3.

ექიმი ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
მიღება დილის 8—11, საღ. 6—8. პლეხანოვის პროსპექტი, № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. 25—12

კბილის სნეულებათა
კლინიკაში
(პლეხანოვის პროსპ. № 126)
დაიწყო მუშაობა
ტგენის კაბინეტმა
ება კბილების და პირისახის ის გაშუქება და მათი სურათის გადაღება. 2799. 25—1

სურამი
ნ. ა. ჯანდიერი
მიიღებს ავადმყოფებს შინაგან (ბავშვებსაც) და ქალთა სნეულებებით.
ყოველ დღე: დილით 2 საათამდის საღამო 5 საათიდამ—7 საათამდის მარ.: აგარაკი მეიერისა. 25—1

დაიკ. მატრიკული გაცემული საქ. უნივერსიტ. მარიამ ბერძენიშვილზე, ჩ. გ. 2988

დაიკ. საქ. სახ. სოც. უზრუნველყოფის ყოფილებიდან მოცემული ვალენტინის მოწმობა № 173, სამსონ თოდაძეს სახელზე, ჩ. გ. 2986

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 117 ვასილის-ძე იორამიშვილზე, ჩ. გ. 2990

დაიკარგა სამხედრო სააღრიცხვო ბარათი 19 და თვითმშრომელთა კავშირის წიგნაკი № 212, სუმბათ ხაიან სახელზე, ჩ. გ. 2989

დაიკარგა მრტ. ბილეთი № 493708, უჯრედის და ავიოქიმიის ბინადრობის მოწმობა, სამეურნეო ბანკიდან სამნეურნეო გადასახადის ქვითრები სოფ. კეხიჯვრის ქალის თა მცხოვრებ როსებ ბართის-ძე ცილაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2989

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 33 და სხვ. საბუთები ადამ ივანესას სახელზე, ჩ. გ. 2991

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი რიამ სირეს სახელზე, ჩ. გ. 2987

დაიკარგა განცხადება არაყის გახდის შესახებ № 183, მოცემული ანდალის აიმონის აქციზის მიერ 5 ოქტომბრიდან 1925 წ. შაქრო ბალიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2995

დაიკარგა პირადი წიგნაკი № 169, ფხაკაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1498

დაიკარგა საწარმოო წიგნაკი, ბილეთი № 1782972 და მოწმობა № 40537, გრიგოლ არსენის-ძე ჩოხანვაძეს სახელზე, ჩ. გ. ნ. 1498

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კალის ქუჩა, 68